



# ციბეხანი

№ 9 – 22 დეკემბერი / 2009

ფოკუსი - არჩევნები არჩევნებამდე **33. 10**

50%-იანი ბარიერი : მაღენი VS რამიშვილი **33. 20**

ანტიმონოპოლიური რეგულირება – VS **33. 8**

ფინანსური პოლიციის მეორე სიცოცხლე **33. 30**

კოსმეტიკური გამომძიება **33. 34**

ადამიანებით ვაჭრობის ახალი ფორმატი **33. 38**

პროგრესი თუ ჩიხი მთიან ყარაბაღში? **33. 42**

გამძრალი გომგომები **33. 47**

ელიტისტური ლიბერალიზმი **33. 51**

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი



გაზეთ „ბათუმელების“ საქმე **33. 24**

# თბილღვინო მრავალი ქვეყნის რჩეული ღვინო



☒ 1 ღვინის ექსპორტიორი  
კომპანია 2009 წელს\*

**TBILVINO**

\*2009 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდში



ფოტო: თემო ხაჩიძე/ლიბერალი


**წიგნის შიგნით:**

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 ვრცლად
- 8 ორი აზრი  
უნდა დაბრუნდეს თუ არა ანტიმონოპოლიური რეგულირება?  
დავით ონოფრიშვილი v.s. ვახტანგ მეგრელიშვილი  
**ფოკუსი – არჩევნები არჩევნებამდე**
- 10 ახალი თბილისელები
- 12 სკოლა როგორც პოლიტიკური იარაღი როგორ ირჩევს სკოლა
- 14 მერიამ მოსახლეობის გამოკითხვა დაიწყო მერის ანკეტა
- 16 ადმინისტრაციული რესურსი არჩევნებში  
ნაციონალური მოძრაობის გამარჯვების ფორმულა

- 18 ცვლილებები საარჩევნო კოდექსში  
შენწყვეტილი თანამშრომლობა
- 20 თვალსაზრისი თბილისის მერის არჩევნებში 50%-იანი ბარიერი აუცილებელია მარკ მალენი, ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ყოფილი დირექტორი
- 21 თვალსაზრისი 50%-იანი ბარიერის წინააღმდეგ ლევან რამიშვილი, როგორ ირჩევს სკოლა ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარე
- 22 ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეკომენდაციები ის, რაც აუცილებელია საარჩევნო გარემოს შესაცვლელად

- პოლიტიკა**
- 24 „ბათუმელების“ საქმე
- 26 ინტერვიუ ჩვენ ვისნავლით საკუთარი თავის დაცვას  
*ეთერ თურაძე, გაზეთ „ბათუმელების“ მთავარი რედაქტორი*  
**ადამიანის უფლებები და სამართალი**
- 28 ცვლილებები კონსტიტუციის წინააღმდეგ
- ეკონომიკა**
- 30 ექსპერიმენტების მეორე წრე
- 32 ეკონომიკური კრიზისი -5,5% – ახალი ევროდიაგნოზი  
**ჟურნალისტური გამოძიება**
- 34 კოსმეტიკური გამოძიება
- კონფლიქტები**
- 38 ადამიანებით ვაჭრობის ახალი ფორმატი

- მეზობლები**
- 40 ტერორიზმი რუსეთში ბრუნდება
- 42 მთიანი ყარაბაღი პროგრესი თუ ჩიხი?  
**საზოგადოება**
- 44 ფსონი – ეკონომიკაზე თუ ადამიანზე?!
- 47 გენდერული დისბალანსი გამქრალი გოგონები  
**საუბრები ლიბერალიზმზე**
- 51 ელიტისტური ლიბერალიზმი
- ბარაკაძე:**  
გაზეთ „ბათუმელების“ საქმე ილუსტრაცია: თათია ნადარეშილი ნიგნის სახელოსნო



## გამოხმაურება

ლიბერალის მა-13 ნომერი გამოქვეყნდა  
სატაიხაზ „რა შირს მდინას?“

„კომპანია „ბილანის“ რადიო „ჰერეთთან“ ხელშეკრულება სარეკლამო მომსახურებაზე 2008 წლის 24 მარტიდან ჰქონდა გაფორმებული. ხელშეკრულებას ვადა 2009 წლის 1 იანვარს გაუვიდა, რის შემდეგაც „ბილანის“ რადიო „ჰერეთთან“ აღარ გაუგრძელებია სარეკლამო ურთიერთობა.

2009 წლიდან კომპანია „ბილანის“ შეცვალა მარკეტინგული სტრატეგია რადიოგანთავსებასთან დაკავშირებით და რეიტინგებზე დაყრდნობით, ექსკლუზიური ხელშეკრულება გაუფორმა კომპანია „რადიო საქართველოს“, რომლის პოლიდინგის წევრები არიან „ფორტუნა“, „ფორტუნა+“, „არ დაიდარდო“, „ავტო რადიო“.

შესაბამისად, რადიო „ჰერეთის“ ხელმძღვანელის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ „ბილანისმა“ მათთან სარეკლამო ურთიერთობა პოლიტიკური მოტივებით შეაჩერა, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული“.

კომპანია „ბილანის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი თეონა ბაბუაძე



მაშინ, როდესაც საარჩევნო კამპანიას ხელისუფლება ხუთი თვით ადრე იწყებს და ლიბერალს ადმინისტრაციულ რესურსს, როდესაც დამოუკიდებელი გაზეთის ჟურნალისტს „სოდ“-ი ამანტაჟებს, როდესაც ეკონომიკის ორ უმნიშვნელოვანეს სემინტში სახელმწიფო აუქმებს ლიბერალურ რეფორმებს და დავობენ თემაზე – საჭიროა თუ არა ანტიმონოპოლიური სამსახური, ოდნავ რთულია, აღიქვა იმ ამბის მნიშვნელობა, რომელზეც ამ ნომერში თიკო ცომიაი წერს. საქართველო პროცენტული მაჩვენებლით პირველ ადგილზე იმ ქვეყნებიდან, სადაც სქესებს შორის თანაფარდობა ირღვევა. ჩვენთან ახალშობილებში ყოველ 128 ბიჭზე მხოლოდ 100 გოგონა მოდის. ამ მონაცემს მეცნიერები სქესობრივი დისკრიმინაციის ინდიკატორად განიხილავენ და ახალშობილთა მკვლელობებთან აკავშირებენ. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ჩვენთან ყოველწლიურად 2 ათასზე მეტი ქალი იკეთებს აბორტს იმ მიზეზით, რომ გოგოს გაჩენა არ სურს. გენდერული დისკრიმინაცია რომ არსებობდა, ამაში ეჭვი არასდროს მეპარებოდა, თუმცა, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ეს პირდაპირ ექსკლუზიის კაბინეტებში იგეგმებოდა.

სულეტიურ აბორტებსა და ქართული საზოგადოების სტერეოტიპებს შორის კავშირი იმდენად ცხადია, რომ ახლა მაფიქრებინებს, იქნებ ეს საკითხი უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ის თემები, რაც ძირითად საინფორმაციო ნაკადში ექცევა, თუნდაც განსხვავებული, მწვავე აქცენტებით.

ვფიქრობ, რომ ჩვენი მოვალეობაა, ვწეროთ მარგინალურ თემებზე, რომლებიც

მიმდინარე პრობლემების ფონზე გაუფერულებულია. ამას არანაირი ეთიკის ქარტია არ სჭირდება – ჟურნალისტი ისედაც უნდა ცდილობდეს, მივინყებულის, მაგრამ ღირებულის გამოუქებას, რაც საზოგადოებას უსარგებლო ფასეულობების გადაფასებაში დაეხმარება.

4 დეკემბერს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას ხელი მოვანერე, მაგრამ მაინც ხშირად მახსენდება ჟურნალისტთა დაცვის კომისიის აღმასრულებელი დირექტორის, ჯოელ საიმონის სიტყვები, რომ „პრესის საბჭოები ეფექტურად ფუნქციონირებენ იმ საზოგადოებებში, რომელთაც უკვე აქვთ ჩამოყალიბებული სხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტები – ეს კი ის ქვეყნებია, რომელთაც მედიის თვითრეგულირება ყველაზე ნაკლებად სჭირდება“. რამდენად გამოასწორებს ქართული მედიის პრობლემებს ახლად დაფუძნებული საბჭო, ჯერ ძნელი სათქმელია. თუმცა, ესეც პროცესია. მთავარია, ამ პროცესში საზოგადოება ჩაერთოს. მთავარია, საზოგადოება გამოეხმაუროს პრობლემებს, რომლებიც მას პირადად ეხება და განვითარებაში ხელს უშლის. „ლიბერალს“ მსგავსი გამოხმაურებების რამდენიმე პრეცედენტი უკვე აქვს. იმედია, თიკო ცომიაი სტატიაც გახდება ერთი სერიოზული დისკუსიის დასაწყისი, რომელიც საბოლოოდ სურათსაც შეცვლის.

მოგვწერეთ,  
თამარ ბაბუაძე,  
საზოგადოების განყოფილების რედაქტორი  
tamar.babuadze@liberali.ge

რედაქტორი: მთავარი რედაქტორი შორენა შვერდიაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯავახიშვილი / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ჭავჭავაძე / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუჯია / ჟურნალისტური გამოძიება ბესი კურტანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბუჩქიშვილი / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი რედაქციის: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე ბამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბიანიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია ბამომცემპლანი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge სსპა ბამომცემპლანი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია. ბამომცემპლანი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი. www.liberali.ge





TELIANI VALLEY

გთმზადებთ  
ღამის-სად  
ყველა!



TELIANI VALLEY  
მუკუზანი  
Mukuzani  
RED DRY  
2006





■ ია ანთაძე ჟურნალისტური ეთიკის ქართვის ხელმოწერის ცერემონიაზე, თბილისი, 4 დეკემბერი 2009

ფოტო: თემო პარაჩხაძე

## ეთიკის ქარტია ამოქმედდა

4 დეკემბერს მედიის 140-მა წარმომადგენელმა ხელი მოაწერა ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას და აირჩია საბჭო, რომელიც საზოგადოებისგან მიღებულ საჩივრებს განიხილავს და ამ ფორმით გააკონტროლებს, რამდენად იცავენ ხელმოწერი ჟურნალისტები ეთიკის ფუნდამენტურ პრინციპებს.

ეს მედიის თვითრეგულირების მესამე მცდელობაა. ამჯერად ქარტიის ტექსტი ევროპის საბჭოს ექსპერტებთან წლინახევრიანი კონსულტაციებისა და ქართველ ჟურნალისტებთან რეგულარული შეხვედრების შედეგად დაინერა.

ქარტიის თითოეული ხელმოწერი მხოლოდ საკუთარ თავს წარმოადგენს და არა ორგანიზაციას. ამით იზრდება ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ხარისხი და ხელმოწერა არ კარგავს აზრს არც იმ შემთხვევაში, თუკი ჟურნალისტი სამუშაო ადგილს იცვლის.

ქართული მედიის თვითრეგულირების მექანიზმს პირველად ეყობა მხოლოდ ჟურნალისტებით დაკომპლექტებული საბჭო. 9 ადგილი საბჭოში ახლა ასე გადანაწილდა: 6 წევრი რეგიონული მედიიდან აირჩიეს, 3 კი – თბილისიდან.

თბილისიდან საბჭოს წევრები გახდნენ: სტუდია „მონიტორის“ დამფუძნებელი ნინო ზურიაშვილი, გაზეთ „რეზონანსის“ ერთ-ერთი რედაქტორი, ელისო ჩაფიძე და კავკასიის მედიასკოლის დეკანი ლია ჩახუნაშვილი. რეგიონებს კი საბჭოში წარმომადგენენ: გაზეთ „ბათუმელებიდან“ ეთერ თურაძე და თედო ჯორბენაძე, „25-ე არხიდან“ მერაბ მერკვილაძე, ქუთაისის გამოცემა „ახალი გაზეთის“ ჟურნალისტი მაია მეცხვარიშვილი, რადიო „პირეთის“ წარმომადგენელი ხათუნა გოგაშვილი და ირაკლი აბსანძე ფოთიდან.

ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტმა ალექო ელისაშვილმა საკუთარი კანდიდატურა იმ მოტივით მოხსნა, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს მის მიუკერძოებლობაში ეჭვი არ შეჰპარვოდა.

„მაგონი, ავირჩიეთ ისეთი საბჭო, როგორზეც შეიძლება, ვერც მეოცნება“, – აცხადებდა არჩევნების დასრულების შემდეგ ია ანთაძე. ქარტიაზე ხელმოწერი ჟურნალისტები შეთანხმდნენ, რომ საბჭო ზუსტად იმ ადამიანებით დაკომპლექტდა, რომელთა პროფესიონალიზმსა და გამბედაობაში საზოგადოებას ეჭვი არ შეეპარება. მათი ვარაუდით, საბჭოს მიმართ ნდობა ისეთი მაღალი იქნება, რომ, წინა წლებისგან განსხვავებით, საზოგადოება ჟურნალისტების ყველა შეცდომას გამოეხმაურება.

140 ჟურნალისტს შორის უმრავლესობა რეგიონული მედიის წარმომადგენელია. მხოლოდ თითო-ორი ადამიანმა მოაწერა ხელი ნამყვანი ნაციონალური არხებიდან. ია ანთაძე ამბობს, რომ ამით „რუსთავი 2“ და „იმედი“ ქარტიას არც გაემიჯნენ, მაგრამ ჯერჯერობით არც უერთდებიან. რეალურად კი, ანთაძის თქმით, ქარტიის ასოციაცია ერთმანეთისგან გამიჯნავს პასუხისმგებლობიან და უპასუხისმგებლო მედიას და ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჟურნალისტური სტანდარტების ამაღლებას. პროფესიული სტანდარტი – ეს ის კატეგორიაა, რომელსაც ჩვენთან მართლაც უამრავი პრობლემა აქვს. ეს პრობლემები, შესაძლოა, მედიაზე განხორციელებული პოლიტიკური ზენოლის ფონზე არც იმდენად მნიშვნელოვანი ჩანდეს, მაგრამ მანც დროულად მოსაგვარებელია. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია მედიის სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის მცდელობა იქნება.

## შვიდიდან ხუთ კვოტას არასაპარლამენტო ოპოზიციის „მედია კლუბისთვის“ ითხოვს

პარლამენტში საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატურების ნუსხა შევიდა. პრეზიდენტის მიერ კანდიდატების წარდგენის შესახებ დავით ზაქრადემ განაცხადა და ოპოზიციას საერთო კანდიდატებზე შეჯერებისკენ მოუწოდა. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მის სახელზე საკანონმდებლო ორგანოში წერილი შევიდა, რომელსაც ხელს აწერს რამდენიმე არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი („კონსერვატორები“, „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, „ხალხის პარტია“, „საქართველოს გზა“ და „ქალთა პარტია“), რომლებიც სურვილს გამოთქვამენ, მონაწილეობა მიიღონ საბჭოს დაკომპლექტების პროცესში. მისი თქმით, ამ პარტიებს სურთ, მხარი დაუჭიროონ არასამთავრობო სექტორისა და „მედია კლუბის“ მიერ წარდგენილ კანდიდატურებს, და თუ საპარლამენტო უმცირესობა უარს არ იტყვის თავისი წარმომადგენლების დანიშვნაზე, მაშინ არასაპარლამენტო ოპოზიციისათვის შეიძლება ხუთი კვოტის დათმობას მოითხოვს და ხუთივე ადგილზე „მედია კლუბის“ კანდიდატურებს უჭერს მხარს. შემდეგი კონსულტაციები ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე პარლამენტში წარიმართება.



### „მისტრალი“ – ახალი საფრთხე საქართველოსთვის

„ასეთი გემების ერთადერთი დანიშნულების ადგილი შავი ზღვაა. შედეგები, შესაძლოა, დამლუპველი აღმოჩნდეს“, – ასე განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ საფრანგეთში ვიზიტისას. მან უსაფრთხოების გარანტიებიც მოითხოვა საფრანგეთში, თუ ამ ქვეყნისგან რუსეთი სამხედრო ხომალდ „მისტრალს“ შეიძენს.

ვაშაძემდე პარიზში სამხედრო და ენერგეტიკული თანამშრომლობის საკითხებზე მოსალაპარაკებლად რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი იმყოფებოდა. სწორედ ამ ვიზიტის დროს განიხილეს რუსულმა და ფრანგულმა მხარეებმა წყალბმელეთა მოიეროშე ხომალდის – „მისტრალის“ ყიდვის შესაძლებლობები. ნოემბრის ბოლოს „მისტრალი“ სანკტ-პეტერბურგშიც გამოჩნდა. რუსული მხარე აპირებს, რომ შეიძინოს ეს ხომალდი და მომავალში მისი კლასის კიდევ რამდენიმე გემი თავისსავე ქვეყანაში დაამზადოს, თუმცა როგორ და რა ტექნოლოგიებით, ჯერჯერობით გაურკვეველია. ფრანგულ მხარეს ამასთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

„მისტრალის“ კლასის გემს შეუძლია გადაზიდოს 16 მძიმე და 35-მდე მსუბუქი ვერტმფრენი, 4 სადესანტო ტრანსპორტი, 900 ჯარისკაცი და 70-მდე ერთეული სამხედრო სატრანსპორტო საშუალება, მათ შორის – 40 ტანკი. ასევე შესაძლებელია მისი გამოყენება მართვისა და კონტროლის ცენტრად.

ეს გარიგება ნატო-ს წევრის მხრიდან რუსეთისთვის სამხედრო-საზღვაო ტექნოლოგიების გადაცემის უპრეცედენტო შემთხვევა გახდება. სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთისთვის ეს ყველაზე დიდი უცხოური შენაძენი იქნება. ეს კი ამერიკის შემფოთებას იწვევს. ფრანგულ მხარეს ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია.

ექსპერტების შეფასებით, მსგავსი შეთანხმება საფრანგეთის მხრიდან პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება, რაც ამერიკისთვის მიუღებელია.



რისხვეპი

**150** მილიონი ლარით ფინანსდება ბიუჯეტიდან ყოველწლიურად სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული წამგებინი სანარმოები.

**100** მილიონ ლარს შეიტანს „საქართველოს რკინიგზა“ წელს ბიუჯეტში.

**5000** ტონა მანდარინი უკვე გაიტანეს აფხაზეთიდან რუსეთში ამ სეზონზე.

### სიტატები



„უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს საქართველოში არც ერთი სატელევიზიო არხი, რომელსაც რაღაც ტიპის სახელმწიფო დახმარების გარეშე მუშაობა შეეძლოს. ასე რომ, გარკვეული დოზით სამთავრობო ჩარევა გარდაუვალია“.

**გრიგოლ ვაშაძე**  
**14 ოქტომბერი, ლონდონი**

„შეუძლებელია, ვილაპარაკოთ თავისუფალი არჩევნებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ინფორმაციას იღებს ტელევიზიიდან, რომელიც ხელისუფლების ხელშია, ან თუ საკუთრებაშია, მაშინ ან ხელისუფლების ლიდერთა მეგობრები ფლობენ მას, ან მათი ოჯახები... თუ ამ ქვეყნებში საზოგადოებრივი მაუწყებელი არსებობს, ისიც, ფაქტობრივად, პროპაგანდის ინსტრუმენტადაა ქცეული ხელისუფლების ხელში“.

**მიკლოშ ჰარაშტი (Miklos Haraszti) ეუთო-ს წარმომადგენელი**  
**მედიის თავისუფლების საკითხებში**  
**26 ნოემბერი, AP**

„ჩვენ გულქვა მთავრობა ვართ და მარტო ნორმატივებით ვხელმძღვანელობთ? თუ ვარდების რევოლუცია იმიტომ მოხდა, რომ შევარდნაძესავით სულ მიზეზი გვქონდეს, რატომ არის ხალხი საღორეში. ზამთარში რომ ბავშვი გაყინება და მოკვდება, ბოდიში, ყველას ჯვარი წერია, მერე რა ვქნათ? როგორც ჩანს, ჩვენთან საქართველოში გაჩნდა და გამოვიყვანეთ კასტა ბიუროკრატების, რომელსაც, ბოდიში და, ყველაფერი ფეხებზე კიდა, გარდა რაღაც საჩვენებელი ღონისძიებებისა“.

**მიხეილ სააკაშვილი**  
**30 ნოემბერი, ქუთაისი**

„ადამიანს, რომელიც ჩვენ კოლეგას ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებს, აგინებს, არ უნდა მივცეთ საშუალება, რომ თავი თანაბრად იგრძნოს და პარლამენტის სხდომებს შეუზღუდავად დაესწროს“.

**დავით ბაქრაძე**  
**1 დეკემბერი, საქართველოს პარლამენტი**

# მფლობელების შესახებ ინფორმაცია ისევ საჯაროა

დამფუძნებლების შესახებ ინფორმაციის საჯაროობა ბიზნესის გამჭვირვალობას ბოლომდე ვერ უზრუნველყოფს. ქართული კომპანიების ნაწილს ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული ფირმები ფლობენ.

## მაია ნიკლაური

ქართულ ეკონომიკურ ბაზარზე სამენარმო რეესტრის ბაზიდან მფლობელისა და მენილეების შესახებ ინფორმაციის ამოღების გამო გაუგებარი რჩებოდა თუ ვისი დაფუძნებელია ესა თუ ის კომპანია. თუმცა სამენარმო რეესტრის ბაზაში მფლობელებისა და მენილეების შესახებ ინფორმაცია 2010 წლის 1 იანვრიდან კვლავ ღია იქნება. ამით გაუქმდება ფინანსთა მინისტრის 2008 წლის მისის ბრძანება, რომელმაც ეს აკრძალა დააწესა. მთელი საინფორმაციო ბაზა კი ფინანსთა სამინისტროდან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გადავა.

ხშირია შემთხვევები, როცა ქართული კომპანიის ფაქტობრივი მფლობელები არ ჩანან და გაურკვეველია, თუ ვინ მართავს მათ სინამდვილეში. ეკონომიკური ექსპერტების აზრით, ინფორმაციის გახსნილობა ხელს ბიზნესის გამჭვირვალობას შეუწყობს, რაც, თავის მხრივ, ვაგლენას მომხმარებელზე, ხელი-სუფლებზე, პარტნიორებსა და ინვესტორებზე მოახდენს. დანტერესებულ პირებს შეეძლება დინამიკაში ადევნონ თვალი, თუ როგორ მოხდება წილების გადანაწილება, დამფუძნებლების ცვლილება სხვადასხვა კომპანიაში.

ინფორმაციის გამჭვირვალობის მიზნით, „მენარმეთა შესახებ“ და „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონებში ცვლილება ნოემბერში შევიდა. ამ ცვლილების მიხედვით, ნებისმიერი მსურველი საჯარო რეესტრის ვებ-გვერდიდანვე იოლად შეიტყობს ინფორმაციას მენარმეთა და არასამენარმო ოფრიდიულ პირთა საქმიანობის, მათი პარტნიორთა ქონების, მათი ოფიციალური წარმომადგენლებისა და უფლებამოსილების შესახებ. ამ სიახლემ ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესგარემოს გამჭვირვალობას, რაც რეესტრის ხელმძღვანელის სოსო ნიქარიშვილის თქმით, ხელისუფლების სურვილიც იყო

და საზოგადოების დაკვეთაც.

თუმცა, ირკვევა, რომ გამჭვირვალობას ამჯერადაც მხოლოდ სანახევროდ მივიღებთ. ყველაზე მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზი, რაც ხელისუფლებას მედიაზე კონტროლის საშუალებას აძლევს, არ გამოსწორებულა. საჯარო რეესტრში მენარმეთა ბაზის გადატანის შემდეგაც უცნობი დარჩება, მაგალითად, იმ ოფშორული კომპანიების რეალური მფლობელების, მენილეებისა და პარტნიორების შესახებ ინფორმაცია, რომლებიც ტელეკომპანია ფლობენ. მათ შორის არიან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 70%-ის მფლობელი ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული Degson Limited და, თუნდაც, ტელეკომპანია „საქართველოს“ მფლობელი, ასევე გაურკვეველი წარმოშობის კომპანია Denal Union. ფინანსთა მინისტრის მოადგილე ირაკლი ღვალაძე ადასტურებს, რომ ქართული კანონმდებლობით, ოფშორული კომპანიების მფლობელების ვინაობის დადგენა შეუძლებელია. „ოფშორში რეგისტრირებული კომპანიების დამფუძნებლები, როგორც წესი, ოფშორულ ზონებშიც არ არის ცნობილი. მათი კანონმდებლობა ამ ინფორმაციას არ ითვალისწინებს“, – ამბობს ღვალაძე. თუმცა, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მფლობელების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას არც საქართველოს კანონმდებლობა ითხოვს. ამიტომ კითხვა – დგანან თუ არა ტელევიზიების უკან პოლიტიკური ინტერესების მქონე მფლობელები ან მონოპოლისტები, კვლავაც ღიად რჩება.

იურისტი თამარ გურჩიანი მიიჩნევს, რომ ამ სფეროში რადიკალური ცვლილება არ მომხდარა, – „აღნიშნული ნორმები არც 2008 წლის მისამდე და არც ახლა არ არეგულირებს რეალურ სიტუაციას. კანონი მაშინაც და უკვე ახლაც აკეთებს მხოლოდ იმის დეკლარირებას,

რომ სამენარმო რეესტრი არის საჯარო. თუმცა ვერ განსაზღვრავს თვითონ სამენარმო რეესტრის ფორმულარს“.

რეესტრის ფორმულარი, ანუ რა ვადებში, რა ფორმით და როგორ უნდა გასცეს სააგენტომ ინფორმაცია, ის საკითხია, რომელსაც კანონი კი არა, მინისტრის ბრძანება არეგულირებს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურისტის კობა ბახტურიძის თქმით, მინისტრის ბრძანება გამოქვეყნდება, თუმცა კონკრეტული თარიღი უცნობია (კანონში არ არის მითითებული, თუ რა ვადაში უნდა გამოქვეყნდეს ბრძანება). მისი თქმით, კომპანიები ვალდებული იქნებიან, ადრე განხორციელებული ცვლილების შესახებაც აცნობონ რეესტრს. თუ კომპანიები არ წარმოადგენენ ინფორმაციის შეცვლილი მფლობელების ან გადანაცვლებული წილების შესახებ, მათ კანონი პასუხს მოსთხოვს.

თუმცა, თამარ გურჩიანის თქმით, ჯერ მინისტრის ბრძანების პროექტიც არ არსებობს. „ამიტომ, სიტყვაზე ვერავის ვენდობი და ვერ დავიჯერებ, რომ ღია გახდება ყველა ის ცვლილება, რომელიც მფლობელობის მხრივ 2008 წლის მისიდან 2009 წლის ნოემბრამდე მოხდა“. ამიტომ ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, გაიგებს თუ არა საზოგადოება, ამ პერიოდის განმავლობაში როგორ და ვის შორის ხდებოდა წილების გადანაწილება. არადა, „რუსთავი 2“ ბოლოს სწორედ 2009 წლის ივნისში გასხვისდა.

ასე რომ, ინფორმაცია იხსნება, თუმცა შეზღუდულად. მხოლოდ ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ გახდება კიდევ უფრო ცხადი, ინფორმაციის საჯაროობა ჩვენ ქვეყანაში მხოლოდ დეკლარირებული ღირებულებაა, თუ ის, რაც საჯარო რეესტრის ვებგვერდზე სრულიად კანონიერად შეგვიძლია მივიღოთ წამებში.



# 14 კითხვა მთავრობას, 27 – პატრიარქს

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილმა ხელისუფლებასა და პატრიარქს იმ შეკითხვების ჩამონათვალი გადასცა, რომელზე პასუხიც, მათი აზრით, ლუსტრაციის დასაწყისი გახდება.

## ნათია ახალაშვილი



ფოტო: თამარ ბაჩალიაშვილი

ბექა მინდიაშვილი, თეა თუთბერიძე, დავით ამირეჯიბი, ვასილ კობახიძე, ოთარ ქაშაყაშვილი და კიდევ 230 ადამიანი ხელს აწერს შეკითხვებს, რომლებზე საჯარო მსჯელობაც ქართული პოლიტიკური და რელიგიური რეალობის საბჭოთა მემკვიდრეობისგან გათავისუფლების წინაპირობა უნდა გახდეს.

თეა თუთბერიძე ამბობს, რომ შეკითხვების საფუძველი გახდა უშიშროების არქივებიდან ამოღებული მასალა, რომელიც მას მიანოდეს. თუთბერიძის თქმით, კითხვების ჩამონათვალი რამდენიმე ვებგვერდზე იყო განთავსებული და ხელმოწერებიც იქვე გაკეთდა.

ადრესატებთან კითხვარის მიტანამდე მცირერიცხოვანი აქცია მოეწყო პეტრინის ძეგლთან (ბარათაშვილის ქუჩაზე), სადაც საინიციატივო ჯგუფის წევრები ცდილობდნენ, ხმა მაღლა წაეკითხათ კითხვები. აქციაზე მისული რამდენიმე ადამიანი კი მათთვის ხელის შეშლას ცდილობდა. ისინი ამბობდნენ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი არიან.

ხელისუფლების მიმართ დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა, საინიციატივო ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და

კანონის უზენაესობის დამკვიდრებისთვის. „ეთვლით, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობა წინააღმდეგობაში მოდის სეკულარული სახელმწიფოს ძირეულ პრინციპებთან. ჩვენ, მოქალაქეები შეშფოთებას გამოვთქვამთ და მოგმართავთ რამდენიმე კითხვით“, – ნათქვამია მიმართვაში.

საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელთა თქმით, ეკლესიამ პასუხი უნდა გასცეს იმ კითხვებს, რომელიც საზოგადოებაში არსებობს და ამ საკითხებზე საჯარო მსჯელობით საფუძველი უნდა დაუდოს ქართული პოლიტიკისა და რელიგიური რეალობის საბჭოთა მემკვიდრეობისგან გათავისუფლებას, ლუსტრაციის პროცესის დაწყებას.

საპატრიარქოში შეკითხვებზე პასუხების გაცემას არ აპირებენ. „შეკითხვების ავტორებს ჩვენ საზოგადოების ნაწილად არ ვთვლით და არ ვაპირებთ მასზე პასუხების გაცემას“, – აცხადებს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მამა დავით შარაშენიძე.

პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძე ამბობს, რომ ხელისუფლებისთვის დასმულ შეკითხვებს პირადად მიხილ სააკაშვილი უპასუხებს.

## იქნება თუ არა მეორე ტური?

### ანტონ კრივენიუკი, სოხუმი

საპრეზიდენტო არჩევნებზე ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული რესურსის ამოქმედების შემთხვევაში, აფხაზეთი შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე აღმოჩნდეს.

აფხაზეთი ოპოზიცია დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი ბალაფში 12 დეკემბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ადმინისტრაციულ რესურსს სრულად ამოქმედებს, რათა კიდევ 5 წლით დარჩეს ქვეყნის სათავეში.


ოპოზიციის აზრით, საარჩევნო კარუსელის დატრიალებას ხელისუფლება განსაკუთრებით საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებზე შეეცდება.

აფხაზეთის ფარგლებს გარეთ ორი საარჩევნო უბანი გაიხსნება – მოსკოვსა და ჩერქესკში. მიახლოებითაც კი არაფერ იცის, რამდენი ამომრჩეველი მივა ამ უბნებზე. არც ისაა დათვლილი, ზოგადად, აფხაზეთის რამდენი მოქალაქე ცხოვრობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ოპოზიცია ირწმუნება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს ამინებენ და აიძულებენ ხმა ბალაფს მისცენ.

ადგილობრივ დამკვირვებელთა თქმით, არჩევნების დროს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებამ, შესაძლოა, 2004 წლის მოვლენების განმეორება გამოიწვიოს, როდესაც ხელისუფლებისათვის ბრძოლა ლამის სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა.

სოციოლოგების მტკიცებით, ამომრჩეველი მაღალ აქტივობას გამოიჩინებს, თუმცა შედეგების გამოქვეყნების შემდეგ კონფლიქტის საშიშროება მაღალია. ბალაფში შტაბში ირწმუნებიან, რომ პირველივე ტურში გაიმარჯვებენ. ოპოზიცია კი ამბობს, რომ თუ ეს მართლაც ასე მოხდა, მხოლოდ დადასტურდება, რომ ხელისუფლებამ ადმინისტრაციული რესურსი მაქსიმალურად გამოიყენა. არც ერთ ოპოზიციონერ კანდიდატს ეჭვი არ ეპარება, რომ აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური შედგება.





მომხრე

დავით ონოფრიშვილი

პარტია „ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები“, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ფინანსთა მინისტრი 1999-2000წწ.

დღეს საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში მონოპოლიზირებულია მაღალი კონტროლირებადი ფასებით ერთი ან ერთმანეთთან მორიგებული რამდენიმე კომპანიის მიერ. ფაქტობრივად არ არსებობს ან შეზღუდულია თავისუფალი საბაზრო კონკურენცია.

2005 წელს საქართველოს ხელისუფლებამ ყოველგვარი დებატების გარეშე მოულოდნელად გააუქმა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, რომელიც ჯერ კიდევ 1996 წელს მიიღო პარლამენტმა და რომელიც მნიშვნელოვნად პასუხობდა საერთაშორისო გამოცდილებისა და პრაქტიკას.

შესაბამისად, გაუქმა ანტიმონოპოლიური სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია იყო კონკურენციის უზრუნველყოფა და ბაზარზე მონოპოლიური საქმიანობის აღკვეთა; მომხმარებელთა უფლებების დაცვა; სარეკლამო საქმიანობის რეგულირება; სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიზი.

რეალური ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის სანაცვლოდ, მიღებულ იქნა კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ და შეიქმნა შეზღუდული უფლებების მქონე ეკონომიკის სამინისტროს საექვეყნეობა დანესებულება – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო.

ახალი კანონი უკვე აღარ არეგულირებს მონოპოლიურ საქმიანობას და არ ზღუდავს მას. ახლად შექმნილ სააგენტოს აღარ ეხება ზედამხედველობის ისეთი მნიშვნელოვანი ფუნქციების განხორციელება, როგორიცაა ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულებების და შეთანხმებული საქმიანობის შესწავლა; კომპანიების შესყიდვა და შერწყმა მონოპოლიური საქმიანობის განსახორციელებლად და ა.შ.

ფსევდოლიბერალური იდეებით ეგზალტირებულმა მთავრობამ, იმის მაგივრად, რომ დროთა განმავლობაში ინსტიტუციონალურად გაეძლიერებინა ანტიმონოპოლიური სამსახური და არსებული მონოპოლიური სტრუქტურები შეეზღუდა ბაზარზე, პირიქით, შექმნა ადგილობრივი და სხვადასხვა პროდუქციის იმპორტიორი მონოპოლისტები, რის გარდაუვალი შედეგიცაა სამომხმარებლო ბაზრის მონოპოლისტური სეგმენტებზე ფასების ზრდა და პროდუქციის ხარისხის გაუარესება.

მთავრობამ მიზანმიმართულად შეწყვიტა, ერთი მხრივ, მონოპოლიზირებული სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ანალიზი და, მეორე მხრივ, გააუქმა პროდუქციის ხარისხზე კონტროლის სამსახური. ამგვარი მდგომარეობის შექმნით მნიშვნელოვნად გართულდა საექსპერტო დონეზე მონოპოლისტური სეგმენტების სრულყოფილი ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა. თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვის მხრივ კი მდგომარეობა შესასწავლია საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის – კომუნიკაციების (მობილური, ინტერნეტი), ნავთობპროდუქტების, ფარმაცევტული, სხვადასხვა სახის საიმპორტო პროდუქციის საქონელზე, ასევე ბუნებრივი მონოპოლიების სასაქონლო ბაზრის მიმართულებით და სხვა.

საბოლოო ჯამში, გაუაზრებელი, არაკვალიფიციური და ქვეყნის ეკონომიკისათვის საზიანო გადაწყვეტილების შედეგად ნაგებული დარჩა საქართველოს მოსახლეობა, რომელსაც დღეს უფრო მეტი თანხის გადახდა უწევს ხელოვნურად გაძვირებულ პროდუქციამ.

ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის არარსებობის გამო, ევროკავშირი და ევროკომისია საკუთარ კრიტიკულ დასკვნებში საქართველოს ხელისუფლებას მიუთითებენ, რომ ქვეყანაში არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ვითარება ვერ უზრუნველყოფს სამართლიან და თავისუფალ კონკურენტულ გარემოს, რაც თავისუფალი



უნდა დაბრუნდეს თუ არა ანტი

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპის უგულვებლყოფა.

ახალი 2005 წლის კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ ძირითადად არეგულირებს სახელმწიფო დახმარებისა და მიზობრივი პროგრამების საკითხებს და ნაკლებად ეხება ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და არაკეთილსინდისიერ კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს არ გააჩნია რეალური ბერკეტები, რათა ბაზარზე შეზღუდოს ანტიმონოპოლიური საქმიანობა და ფაქტობრივად წარმოადგენს საკონსულტაციო დანესებულებას.

ბოლო წლებში, საზოგადოებას არც ერთხელ არ გაუგია ისეთი შემთხვევის შესახებ, როდესაც რომელიმე ბიზნეს სტრუქტურა ან რომელიმე კომპანიის საქმიანობა ნაწილობრივ მაინც ყოფილიყო შემწეული ანტიმონოპოლიურ საქმიანობაში და მის მიმართ შესაბამისი ღონისძიება გატარებულიყო. პრაქტიკულად, არ არსებობს ზუსტი ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიის მიერ მონოპოლიური საქმიანობის შესახებ, რაც 2005 წლის საკანონმდებლო ცვლილების პირდაპირი უარყოფითი შედეგია. შესაბამისად, ბოლო წლების განმავლობაში ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მქონე არაერთმა კომპანიამ მიიღო ზემოგებები არსებული „ლიბერალური“ გარემოსა და მოსახლეობის ხარჯზე.

ამ მდგომარეობიდან ერთი გამოსავალია – საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის მიღება. უნდა აღდგეს რეალურად მოქმედი ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც შეზღუდავს მონოპოლიურ სტრუქტურებს და შექმნის პირობებს ჯანმრთელი კონკურენციისათვის, რაც მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს მოსახლეობას სამომხმარებლო ბაზარზე არჩევანის გაკეთებას, ხელმისაწვდომი ფასისა და ხარისხის მრავალფეროვნების შესაბამისად. **▲**





ილუსტრაცია: სოფო აიროსაძე, ნინო სხედლაძე

# მონოპოლიური რეგულირება?



**მონინალმდევე**  
**ვახტანგ მეგრელიშვილი**  
თავისუფალი უნივერსიტეტი

ცნობილი გამოთქმა „ჯოჯოხეთისაკენ მიმავალი გზა კეთილი სურვილებით არის მოკირწყლული“ ზუსტად ახასიათებს სახელმწიფოს ანტიმონოპოლიურ რეგულირებას.

ითვლება, რომ ანტიმონოპოლიური რეგულირების მიზანი კონკურენციის უზრუნველყოფაა. რამდენად შედის ბაზრის დიდი წილის მქონე კომპანიის ინტერესში, ხელოვნურად გაზარდოს ფასი უფრო დიდი მოცულების მიღების მიზნით ან ხელოვნურად დაწიოს ფასი კონკურენტების ბაზრიდან გაქვევების მიზნით? რამდენად საჭიროა ბუნებრივი მონოპოლიებისა და კომპანიების შერწყმის საკითხებში სახელმწიფოს ჩარევა?

კონკურენციის შეზღუდვის შედეგად მონოპოლიის ან კარტელის ჩამოყალიბება შესაძლებელია მაშინ, როდესაც არსებობს: 1. ბარიერები ვაჭრობაში; 2. ბაზარზე შესვლის ბარიერები; 3. პრივილეგიის მინიჭება სხვისი დისკრიმინაციის ხარჯზე. სამივე სახელმწიფოს საქმიანობასთანაა დაკავშირებული და ხშირად მომხმარებლის უსაფრთხოების დაცვითაა მოტივირებული.

თუ ბიზნესისათვის ხელოვნური დაბრკოლების შექმნა მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია, მაშინ საჭიროა მისი შეზღუდვა. თუ სახელმწიფო რომელიმე ბიზნეს-სექტორში მდგომარეობის გამოსწორებას შეეცდება კომპანიების საქმიანობაში ჩარევით, გამოდის, რომ ის ცდილობს სხვა სახელმწიფო ორგანოების საქმიანობით გამოწვეული შედეგების გამოსწორებას, ხოლო თუ მცდელობა მიმართულია კონკურენციის შეზღუდვით მიზნის გამოსწორებაზე, მაშინ ყურადღება უნდა გადავიტანოთ სექტორის იმ მარეგულირებელ სახელმწიფო ორგანოებზე, ვისი საქმიანობაც პრობლემას იწვევს.

2005 წელს ანტიმონოპოლიური სამსახური გაუქმდა და შეიქმნა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო. რეფორმის მიზანია, შეეზღუდა სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობა, შეექმნათ ხელოვნური ბარიერები ან ერთი კომპანიისათვის მიეცათ პრივილეგიები კონკურენტის დისკრიმინაციის ხარჯზე.

რეფორმის მონინალმდევეები ძველი ფორმატის ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმებას ქვეყნისათვის დიდ დანაკარგად მიიჩნევენ. თუმცა მისი საქმიანობის შედეგები ბუნდოვანია. ანტიმონოპოლიური სამსახური ვერც კი იოცნებებდა ძლიერი „მაგთის“ ან „ჯეოსელის“ მსგავსი კომპანიების შეზღუდვაზე მათი გულშემატკივარი სახელმწიფო ჩინოვნიკების გავლენის გამო, ამიტომ ის წვრილმანი კორუფციით დაკავდა.

სახელმწიფოს მიერ კონკურენციის შეზღუდვის კარგი მაგალითია ფარმაცევტული ბაზარი. იკრძალებოდა სხვა ქვეყნებში დაშვებული წამლის იმპორტი, თითქოს მომხმარებლისთვის გაუგებარი იქნებოდა ინგლისელი მომხმარებლისათვის დანერგილი წამლის ინსტრუქცია. ან ქართველი ხალხის ჯანმრთელობაზე უფრო კომპეტენტური ჩინოვნიკები ზრუნავდნენ, ვიდრე ამერიკელი ჩინოვნიკები არიან. პრივილეგირებულ კომპანიას ეფექტურად შეეძლო კონკურენტების დისკრიმინაცია. სააფთიაქო ბიზნესისათვის არაკონკურენტული გარემოს შექმნა სახელმწიფომ ჰიგიენური და პროფესიული სტანდარტების დანესებით მოახერხა. შედეგად შეიზღუდა კომპანიების და მალაზხარისხიანი პროდუქციის რაოდენობა, რამაც ბუნებრივია გაზარდა წამლის ფასი.

1996-2005 წლებში, ანტიმონოპოლიური სამსახურის არსებობის დროს, ფარმაცევტულ ბაზარზე სამი ყველაზე მსხვილი კომპანიის საბაზრო წილი 65% იყო. სამსახურის გაუქმების შემდეგ მათი წილი 10,1%-ით შემცირდა. კონკურენციის გაძლიერების მიზეზი 2005 წელს ფარმაცევტული სექტორის სახელმწიფო რეგულირების ოდნავი შემსუბუქებაა.

წამლის ბაზარზე კონკურენციის გაზრდის მიზნით, ცვლილებები „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონში 2009 წელს შევიდა და ბევრი შეზღუდვა გაუქმდა. უახლოეს მომავალში რეფორმის შედეგი წონადი არგუმენტი გახდება სწორი პოლიტიკის შესახებ დებატებში.

თავისუფალი ბაზრის პირობებში, შეუძლებელია, კომპანიამ ბაზარზე მიღწეული მდგომარეობა ბოროტად გამოიყენოს, ვინაიდან ხელოვნურად გაზრდილი ფასი მომენტალურად იწვევს კონკურენტების სტიმულირებას, მიიღონ ბაზარზე შესვლის გადაწყვეტილება. ხოლო თუ ე.წ. „მონოპოლისტი“ კომპანია ეფექტურია და მხოლოდ მისი მომსახურების დაბალი ფასი უკარგავს კონკურენტს ბაზარზე შესვლის სურვილს, გაუგებარია, რა უფლებით უნდა ჩაერიოს სახელმწიფო მის საქმიანობაში და აღკვეთოს „მონოპოლია“. თავისუფალი ბაზარი თავად ახდენს მონოპოლიების „დემონოპოლიზაციას“.

ფასების შემცირება კონკურენციის ტექნოლოგიაა, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, აირჩიოს მასზე უკეთესი მორგებული პროდუქტი – განსაზღვრავს ფასისა და ხარისხის ოპტიმალურ შეფარდებას, ზრდის მომხმარებლის კმაყოფილებას. ფასების შემცირება განპირობებულია არა კონკურენტების ბაზრიდან ხელოვნურად „გაძევების“ სურვილით, არამედ ეფექტური ტექნოლოგიის გამოყენებითა და ხარჯების შემცირებით. „ბუნებრივი მონოპოლიების“ ხანგრძლივად არსებობა შეუძლებელია, რასაც ადასტურებს ისტორიული გამოცდილება. „ბუნებრივი მონოპოლიად“ მიჩნეულ სფეროებში ჩამანაცვლებელი პროდუქტების გაჩენამ ავტომატურად „გადააქცია“ ისინი კონკურენტულად.

დაარწმუნოს საზოგადოება და სახელმწიფო ორგანოები ანტიმონოპოლიური რეგულირების საჭიროებაში, არაეფექტური კომპანიების ინტერესებშია. მოტივი კონკურენტებისაგან თავდაცვაა. პრაქტიკაში ანტიმონოპოლიური კანონები არა მომხმარებლების, არამედ მწარმოებლების დასაცავად გამოიყენება.

ანტიმონოპოლიური რეგულირება წარმატებული და ინოვაციური კომპანიების შემზღუდავი პრაქტიკაა, რაც მარეგულირებელთან გარიგებაში შესვლის სტიმულირებას ახდენს და სრულდება კორუფციით. **□**



# ახალი თბილისელები

დიდია ალბათობა, რომ დედაქალაქის მერის არჩევნებში მონაწილეობას ფიქტიური თბილისელები მიიღებენ. ამაზე „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები თავად ჰყვებიან.

## ნინო რობაქიძე

„მითხრეს, რომ ჩემს ბინაში თბილისში უნდა ჩავწერო ჩემი ნათესავები, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ. რაც მეტს ჩავწერ, მით უკეთესი“, – ჰყვება ქალბატონი ნანა, რომლისთვისაც მომავალი არჩევნები მესამე იქნება, რაც ის „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი საარჩევნო უბნის კომისიის წევრია. ამბობს, რომ ასეთი დავალება ადრე არასდროს მიუღია. „არ ვიცი, ზუსტად რამდენ ლარზეა საუბარი, მაგრამ სოფლებიდან ჩამოსულებს მგზავრობის ხარჯებს აუნაზღაურებენ და გარკვეულ კომპენსაციასაც იყო მინიშნება“. ქალბატონი ნანა მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა „ლიბერალთან“ საუბარს, რომ მის ვინაობას საიდუმლოდ დავტოვებდით. მისი ნაამბობიდან ირკვევა, რომ ნაციონალური მოძრაობის რაიონული ორგანიზაციის წევრებმა დაავალეს, მასთან ბინაში რამდენიმე ნათესავი ჩაეწერა, რომლებიც ახალ პირადობის მოწმობებს თბილისში აიღებდნენ. ქალბატონი ნანასთვის ამ მაქინაციის მიზეზიც ცნობილია: „რეალურად, ეს პირადობები მათ მხოლოდ ერთი დღით დასჭირდებათ – არჩევნებზე ჩამოვლენ“.

„ნაციონალური მოძრაობის“ ამ აქტივისტის მსგავსად, ჩვენი მეორე რესპონდენტიც საჯარო სკოლის მასწავლებელია. 2008 წლის საპარლამენტო და საპარლამენტო არჩევნებზე ისიც სახელისუფლებო პარტიის მიერ წარდგენილი საუბნო კომისიის წევრი იყო. ერთი თვის წინ პარტიის რაიონული ოფისიდან მასაც დაუკავშირდნენ და სთხოვეს თბილისში, თავის ბინაში, რაიონში მცხოვრები ნათესავები დარეგისტრირებინა. „არ მყავს რაიონში ახლო ნათესავები, რომლებიც შეიძლება ამ შემთხვევაში ბინაში ჩამეწერა. თან ბინის პრივატიზაციის პრობლემაც მქონდა. შემპირდნენ, რომ პრივატიზაციის პროცედურას უპრობლემოდ მომიგვარებდნენ თუ ჩემს ბინაში დროებით დარეგისტრირების უფლებას მივცემდი რამდენიმე ადამიანს. როგორც ვიცი, რეგონებში მათ ჩვენი აქტივისტები არჩევნებ და, რა თქმა უნდა, ისინი თბილისში

არც საცხოვრებლად გადმოვიდნენ და არც სამუშაოდ“, – ამბობს ეს ქალბატონი.

„ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის კოორდინატორი მაკო ლასურაშვილი კატეგორიულად უარყოფს მსგავსი მითითების გაცემას. იგივეს აცხადებდნენ პარტიაში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგაც. თუმცა მაშინ თბილისში საბურთალოს ქუჩის 44 ნომერში მცხოვრები პარტიის აქტივისტის (რომელიც საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარე იყო) ბინაში არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ორმოცამდე ადამიანის ჩაწერის ფაქტი საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა.

ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიის ანგარიშები 2008 წლის ორ არჩევნებზე, ამომრჩე-

ვებით, თბილისში, საბურთალოს რაიონში დაფიქსირდა 692 მისამართი, ბინის ნომრის გარეშე, სადაც ათზე მეტი ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული. ამ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 12,119-ს შეადგენს“, – წერია 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ ეუთო-ს საბოლოო დასკვნაში.

19 ნოემბერს ოპოზიციური პოლიტიკური ბლოკის „ალიანსი საქართველოსათვის“ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა სოზარ სუბარმა სპეციალურ ბრიფინგზე განაცხადა: „ამ გზით თბილისის თითოეულ საარჩევნო უბანზე დაახლოებით 70-დან 100-მდე ადამიანის დარეგისტრირება იგეგმება, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის სასარგებლოდ მისცემენ ხმას“. თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისში 750-მდე საარჩევნო უბანია, ეს ნიშნავს, რომ, სუ-

■ „ახალი თბილისელების“ რეგისტრაცია არ იქნება ისეთივე სტიქიური, როგორც 2008 წელს. ამჯერად თითო აქტივისტის მისამართზე 4-5 ახალი მოსახლე რამდენიმე თვის განმავლობაში რეგისტრირდება.

ველთა რეგისტრაციის შეფასების ნაწილში ძალიან ჰგავდა ერთმანეთს. „დაფიქსირდა მრავალი შემთხვევა, როდესაც 18-დან 80-მდე ამომრჩეველი ერთსა და იმავე მისამართზე იყო დარეგისტრირებული“, – ნათქვამია ეუთო-ს ანგარიშში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ. OSCE/ODIHR-ის დამკვირვებლებმა დაადასტურეს რამდენიმე ასეთი ფაქტი თბილისსა და ბათუმში, სადაც ბინის მფლობელებმა მათ ბინაში დარეგისტრირებული ბევრი ადამიანის თაობაზე თავადაც არაფერი იცოდნენ.

„იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, თბილისში სულ 376 მისამართი დაფიქსირდა, სადაც ათზე მეტი ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული (რიგ ადგილებში 18 და მეტი). ამავე მონაცე-

ბარის ინფორმაციით, თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობას დაახლოებით 75 000 არათბილისელი ამომრჩეველი მიიღებს.

სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ „ალიანსი საქართველოსთვის“ ინწყებს დედაქალაქში მოქალაქეთა რეგისტრირების რაოდენობრივი მაჩვენებლის კონტროლს და იმ შემთხვევაში, თუ დინამიკა მკვეთრად შეიცვლება, ალიანსი ინფორმაციას საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საელჩოებს მიანოდებს.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ხელმძღვანელი გიორგი ვაშაძე, რომლის კანდიდატურაც, დაუდასტურებელი ინფორმაციით, ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტზე განიხილება, ოპოზიციის ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს და



ილუსტრაცია: თბილისი, ნაღარკის რაიონი, მუზეუმი, მუზეუმი, მუზეუმი

„ლიბერალთან“ ამ თემაზე საუბარს არ თანხმდება. რეესტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით კი, „მოქალაქე ვალდებულია, შეცვალოს პირადობის მონაცემები საცხოვრებელი ადგილის შეცვლისას და ამისათვის უნდა წარმოადგინოს ან საცხოვრისის მესაკუთრეობის დამადასტურებელი საბუთი ან საცხოვრისის მესაკუთრის მიერ შევსებული თანხმობის წერილის დადგენილი ფორმა“.

ოურისტების განმარტებით, პრობლემა ისაა, რომ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც გააკონტროლებს, მართლაც ცხოვრობს თუ არა მოქალაქე რეგისტრაციის ადგილას. ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც სურვილი აქვს, შეიცვალოს რეგისტრაციის ადგილი, აქვს ამის უფლება.

სამოქალაქო რეესტრში რეგისტრირების შემდეგ პიროვნება ავტომატურად ხვდება შესაბამისი საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში. ამისთვის საჭიროა, სამოქალაქო რეესტრში სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მიანოდოს.

სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებიდან ჩანს, რომ ამომრჩეველთა მხოლოდ მცირე პროცენტი ამონებებს საკუთარ თავს სიაში და კიდევ უფრო ცოტა ადამიანი ამონებებს, არის თუ არა მის მისამართზე რეგისტრირებული ვინმე, რეალურად მცხოვრები ადამიანების გარდა.

რაკი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები ადასტურებენ, რომ ყველა მათგანი საკუთარი თანხმობით არეგისტრირებს კუთვნილ ბინაში დამატებით ადამიანებს, კონტროლის ეს საშუალება აზრს კარგავს.

ამავე დროს ცხადი ხდება, რომ „ახალი თბილისელების“ რეგისტრაცია არ იქნება ისეთივე სტიქიური, როგორც 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. თუ მაშინ ერთ მისამართზე ერთ დღეში შეიძლება 80 ადამიანიც ჩანერილიყო, ამჯერად თითო აქტივისტის მისამართზე 4-5 ახალი მოსახლე რამდენიმე თვის განმავლობაში რეგისტრირდება.

ამ კარგად ორგანიზებული პროცესის გამოაშკარავება შესაძლებელია მხოლოდ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში პირადობის მონაცემების გაცემის საეჭვოდ მზარდი დინამიკის აღმოჩენით. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც, ყველაზე მეტი, რაც ამ აღმოჩენას შეიძლება მოჰყვეს, კიდევ ერთი ქვეთავია საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში, რომელიც 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებს მიეძღვნება. ■

სკოლა, როგორც პოლიტიკური იარაღი

# როგორ ირჩევს სკოლა

შესაძლოა, არჩევნების წინ სკოლა ისევ გახდეს იარაღი ხელისუფლების ხელში. ამაზე 161-ე სკოლაში მომხდარი ინციდენტიც მეტყველებს.

ეკა ჭითანავა



161-ე საჯარო სკოლა, თბილისი 2009

ფოტო თემო არჩვაშვილი

ორი კვირის წინ, 161-ე საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს განმეორებითი არჩევნების დღეს ნაციონალური მოძრაობის ოფისში მასწავლებლების მასობრივმა „დაბარებამ“ სკოლაში აურზაური გამოიწვია.

„სალამოს ნაციონალური მოძრაობის დიდუბის ოფისში დამიბარეს და ხათუნა შუკაკიძის სასარგებლოდ ხმის მიცემა მირჩიეს“, – ამბობს ერთ-ერთი მასწავლებელი, რომელიც უსაფრთხოების მიზნით, ვინაობის გამჟღავნებას ერიდება.

დირექტორის მოადგილის, თამარ ამზაშვილის თქმით, არჩევნებამდე ერთი დღით ადრე ანონიმურმა პირებმა 50-მდე პედაგოგს დაურეკეს და ორი მასწავლებლის – ხათუნა შუკაკიძისა და ლელა ნერგაძის სასარგებლოდ ხმის მიცემა სთხოვეს. სკოლის სამეურვეო საბჭოს განმეორებითი არჩევნებში კენჭს სულ სამი მასწავლებელი იყრიდა.

**161-ე სკოლაში მომხდარი შემთხვევა სკოლის საქმეებში მმართველი პარტიის წარმომადგენლების პირდაპირი ჩარევის მაგალითია. თუმცა, ხელისუფლებას სკოლის შიდა საქმეებში ჩარევის შესაძლებლობას ზოგადი განათლების შესახებ არსებული კანონმდებლობა აძლევს.**

ამზაშვილის თქმით, მესამე მასწავლებელს, რომლის წინააღმდეგაც ფაქტობრივად კამპანიას აწარმოებდნენ, დაურეკეს და დაემუქრნენ.

თამარ ამზაშვილი ამ ინციდენტის მიზეზად სკოლის დირექტორის მიზამინდაძის წინააღმდეგ პირად ანგარიშსწორებას ასახელებს. ის ვარაუდობს, რომ მასწავლებლებმა, რომელთა კანდიდატურებსაც დიდუბის რაიონის ნაციონალური მოძრაობის წევრები ლობირებდნენ, თავიანთი პარტიული კავშირები მინდაძის გუნდის დასამარცხებლად გამოიყენეს. ამზაშვილი ამ ინციდენტის პოლიტიკურ ზენოლად შეფასებისგან თავს იკავებს. თუმცა ის, რომ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მასწავლებლებს საკუთარ ოფისში იბარებენ და ურჩევენ, სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში ხმა ვის მისცენ, საწინააღმდეგოზე მეტყველებს.

თავად ხათუნა შუკაკიძე პარტიულ გარიგებებში მონაწილეობას უარყოფს და აცხადებს, რომ არასდროს ჰქონია კავშირი არც ნაციონალურ და არც რომელიმე სხვა პოლიტიკურ მოძრაობასთან.

161-ე სკოლაში მომხდარი შემთხვევა სკოლის საქმეებში მმართველი პარტიის წარმომადგენლების პირდაპირი ჩარევის მაგალითია. თუმცა, ხელისუფლებას სკოლის შიდა საქმეებში ჩარევის შესაძლებლობას ზოგადი განათლების შესახებ არსებული კანონმდებლობა აძლევს. „ზოგადი განათლების შესახებ კანონში“ 2009 წელს შესული ცვლილების მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა სათათბირო ხმის უფლებით სამეურვეო საბჭოში თავის კანდიდატს წარადგენს, რომელიც, შესაძლებელია, საბჭოს თავმჯდომარედაც აირჩეს.

განათლების სამინისტროში მიიჩნევენ, რომ საკანონმდებლო ცვლილება სკოლის თვითმმართველობის გაძლიერებასა და ეფექტურ მართვას ემსახურება, სინამდვილეში კი ეს სკოლის კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმია.

161-ე სკოლის გარდა, სამეურვეო საბჭოს არჩევნების დროს შემჩნეულ



დარღვევებზე თბილისის სხვა სკოლების დირექტორებიც საუბრობენ. თბილისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორის თქმით, მათთან სამეურვეო საბჭოს არჩევნების სადამკვირვებლო კომისიაში კენჭს ორი გარეშე პირი იყრიდა, რაც კანონითაც განსაზღვრულია. თუმცა, დაძაბულობა გამოიწვია იმან, რომ ერთს - კომისიის თავმჯდომარეობა, მეორეს მდივნობა ჰქონდა გადაწყვეტილი და ამ მიზნით, ცდილობდნენ მშობლებზე გავლენა მოეხდინათ. „თუმცა, ჩვენ არ დაუშვით, რომ კომისიაში ორივე კანდიდატი გასულიყო“, - აცხადებს სკოლის დირექტორი.

მისივე თქმით, სამეურვეო საბჭოს არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე დირექტორები ადგილობრივი თვითმმართველობის ოფისში დაიბარეს და იმ კანდიდატების სია მოსთხოვეს, რომელთა ვინაობაც, წესით, არჩევნების შედეგად უნდა გარკვეულიყო. „საიდან უნდა მცოდნოდა წინასწარ, ვინ გავიდოდა არჩევნებში? ამიტომ არაფერიც არ წარმიდგენია“, - აცხადებს დირექტორი. მისი თქმით, იმ სკოლების დირექტორებს, რომლებმაც არჩევნებში მმართველი პარტიისათვის „სასურველი კანდიდატები“ გაიყვანეს, პრემიად 200-200 ლარი გადასცეს.

მასწავლებლების რამენაირ ფინანსურ წახალისებას არც განათლების სამინისტროს რესურს-ცენტრები და არც ადგილობრივი თვითმმართველობა არ ადასტურებენ.

რეგიონებში ჯერჯერობით დაძაბულობა ნაკლებად იგრძნობა. მასწავლებლების ნაწილი ამბობს, რომ ზენოლას 2006 წელს სამეურვეო საბჭოების პირველი არჩევნების დროს უფრო გრძნობდნენ.

ლაგოდეხის რაიონის მესამე საჯარო სკოლის მასწავლებელი და ჟურნალისტი, ეკა კუპატაძე ამბობს, რომ სამეურვეო საბჭოებზე სამთავრობო გავლენას მისი შემადგენლობა ადასტურებს - სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრები საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ივანე ზურიკაშვილი და ლაგოდეხის რაიონის გამგებლის მეორე მოადგილე, სოსო ტყემალაძე არიან. კუპატაძე მომავალი არჩევნების

შესახებ შარშანდელი გამოცდილებით მსჯელობს: „ჩვენთან შარშან დირექტორებს დაავალეს, მინიმუმ 20 ხელმოწერა შეეგროვებინათ, იმის დასადასტურებლად, რომ ხმას ნაციონალურ მოძრაობას აძლევდნენ“.

ხელისუფლების მიერ მოსწავლეების მხარდაჭერის აფიშირებაც სკოლაში პოლიტიკური კონიუნქტურის არსებობაზე მიაჩნებდა.

25 ნოემბერს ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის შენობის საზეიმო გახსნას თბილისის მერ გიგი უგულავასა და შსს მინისტრ ვანო მერაბიშვილთან ერთად თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებიც ესწრებოდნენ. „მადლობა პატრულს!“ „მე მინდა ვიყო პოლიციელი!“ „ჩვენ გვიცავს პატრული!“ - ბავშვები პოლიციის შენობის წინ სკანდირებდნენ.

ოფიციალურად საარჩევნო კამპანია ჯერ არც კი დაწყებულა. სავარაუდოდ, მომდევნო თვეების განმავლობაში ხელისუფლება ამ მიმართულებით კიდევ უფრო გააქტიურდება. □

**დეგაპრინტი**  
**DEGAPRINT**

**სიფრული ოფსეტური ბეჭდვა**  
ტელ.: +995 32 995007 / 998843  
ფაქსი: +995 32 995681

degaprint@caucasus.net

მერიამ მოსახლეობის გამოკითხვა დაიწყო

# მერის ანკეტა

თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ქალაქის მერიის საქმიანობის შესაფასებლად მუნიციპალიტეტი სოციალურ გამოკითხვებს ატარებს.

მაია ნიკლაური



ილუსტრაცია: თაქო ბაბრაძე, ფონი: სახელმწიფო

32 წლის ხათუნა კენკებაშვილს გამოკითხვის თანამშრომელი სახლში 30 ნომერს ესტუმრა. თან ორგვერდინი კითხვარი მიუტანა, სადაც დიდად ეწერა, – „მე მიყვარს თბილისი“ და რამდენიმე ათეული პუნქტი იყო შესავსები. ხათუნა კითხვარის შევსებას დათანხმდა: „თუ ხალხს რეალურად მოუხმენენ, ძალიან კარგია“. თუმცა, ანკეტის გაცნობის შემდეგ დარწმუნდა, რომ ხელისუფლებაში მისი აზრი კი არა, მისი პოლიტიკური არჩევანი უფრო აინტერესებთ: „რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მაინც პოლიტიკური პიარის ნაწილია“.

„არჩევნები რომ მოვიდა და გიგი უგულავას რომ სჭირდება ხმები, მაშინ გავახსენდით. ასე ხდება ყოველთვის“, – ამბობს ნაძალადევის რაიონში მცხოვრები 57 წლის ლამარა, რომელმაც კითხვარის შევსებაზე უარი თქვა. ლამარას თქმით, ჩამოთვლილი პუნქტები-

დან მოსახლეობისთვის ყველაზე აქტუალური რომ სოციალური საკითხებია, მერიაში ისედაც უნდა იცოდნენ. მისი აზრით, ანკეტის მთავარი კითხვა – როგორ შეაფასებდით მერიის საქმიანობას.

მსგავსი შინაარსის კითხვარები ხშირად გამოიყენება პოლიტიკური პარტიების მიერ წინასაარჩევნოდ ძალების მოსასინჯად. „პოლიტიკური პარტია კვლევისას მიღებულ მონაცემებს პოლიტიკური პროგრამის ტრანსფორმირებისთვის იყენებს. მოპოვებული ინფორმაცია მას შეუძლია წინასაარჩევნო ლოზუნგების, რიტორიკის ნაწილად აქციოს“, – განმარტავს სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი.

ანკეტაში, რომლის კარდაკარ დაბრუნება მერიის და გამგეობების თანამშრომლებმა 26 ნოემბერს დაიწყეს, ქალაქის განვითარების მიმართულებე-

ბია ჩამოთვლილი. მაგალითად: ქალაქის გამწვანება, სპორტული მოედნების მშენებლობა და სახურავების შეკეთება. კითხვარში ასევე ჩამოთვლილია ის ღონისძიებები, რომლებიც არა ქალაქის მუნიციპალიტეტის, არამედ ნაციონალური მთავრობის მიერ არის ინიცირებული, მაგალითად პენსიების გაზრდა და სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა, ნარკომანიასთან ბრძოლის მეთოდები და სკოლების ინფრასტრუქტურისა და უსაფრთხოების გაუმჯობესება.

კითხვარების დარიგების ოფიციალური მიზანი ქალაქის 2010 წლის ბიუჯეტში მოსახლეობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებაა. როგორც წესი, მერიამ საკრებულოს ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი 15 ნოემბრამდე უნდა წარუდგინოს განსახილველად, საკრებულომ კი ის 31 დეკემბრამდე დამტკიცოს. თუმცა წელს ვადების დარღვევა თავად ქალაქის მერმა ითხოვა.

„კითხვარი თითოეულ მოქალაქემდე მიაღწევს. ისინი შეძლებენ საკუთარი აზრი დააფიქსირონ ხელისუფლების მუშაობის შესახებ და მნიშვნელოვანი პრიორიტეტები განსაზღვრონ“, – ამ სიტყვებით გიგი უგულავამ ახალი ინიციატივა საკრებულოს 26 ნოემბერს გააცნო და უკვე დაგეგმილი ბიუჯეტის განხილვის 10 დღით, 6 დეკემბრამდე გადადება მოითხოვა. მოსახლეობის გამოკითხვები 5 დეკემბრამდე გრძელდება. გამოდის, რომ თბილისის საკრებულო მერიისგან 6 დეკემბერს ორ დოკუმენტს მიიღებს – დაგეგმილ ბიუჯეტს და ხალხის გამოკითხვით მიღებულ შედეგებს. თუმცა უცნობია, როგორ მოასწრებენ მერიამ კითხვარით მიღებული მონაცემების ერთ ღამეში დამუშავებას, როცა მსგავსი სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგების შეჯამებისთვის დაახლოებით ერთი კვირაა საჭირო.

ამის შემდეგ საკრებულომ მოსახლეობის მიერ დასახელებული პრიორიტე-

ტები უკვე დასამტკიცებლად მომზადებულ ბიუჯეტში უნდა შეიტანოს. ბიუჯეტის მერიის მიერ შემუშავებული ვარიანტი 700 მილიონი ლარით განისაზღვრება.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილი ამბობს, რომ ამ პროექტში განსაკუთრებული არაფერია. მას მაგალითად მოჰყავს 2007 წლის შემოდგომა, როცა მერიამ გამოკითხვა-აქცია სახელწოდებით „ერთად დავგეგმოთ თბილისის ბიუჯეტი“ ჩაატარა. მაშინ მოსახლეობა მათთვის პრობლემურ საკითხებსა და მოსაზრებებს ე.წ. „ფლაერებზე“ წერდა და სხვადასხვა უბანში სპეციალურად დადგმულ ურნებში ყრიდა. მაშინაც გამოკითხვა დაგეგმილი არჩევნების წინა პერიოდს დაემთხვა. 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ეს აქცია მერიის გეგმიურ საქმიანობად ჩაითვა, თუმცა საპრეზიდენტო კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი აქტიურად იყო ჩართული მუნიციპალური საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული პროექტების პრეზენტაციებში.

2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივი გამოყენება, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომაც“ აღნიშნა. ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის, თამარ ქაროსანიძის განცხადებით, ახალი სოციალური პროექტების დაწყება ხშირად ემთხვეოდა წინასაარჩევნო პერიოდს - საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაიზარდა პენსიები (მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ხელისუფლება ამბობდა, რომ პენსიების სწრაფი ზრდა ვერ მოხდებოდა), ასევე გაიზარდა მასწავლებლების ხელფასები. იყო შეშის, გაზის, ელექტროენერჯის, ნამღების ვაუჩერები. მერიამ აღადგინა მის მიერვე გაუქმებული შეღავათები ვეტერანებისთვის - უფასო მგზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტით.

თამარ ქაროსანიძის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რისთვის გამოიყენებს ამ გამოკითხვის შედეგებს მერობის სავარაუდო კანდიდატი გიგი უგულავა - საკუთარი კამპანიის უკეთ დასაგეგმად თუ მართლაც ბიუჯეტში ცვლილებების შესატანად, მერიის მიერ ჩატარებული გამოკითხვები კანონს არ ეწინააღმდეგება: „პირდაპირ ეს არ არის საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა, თუმცა

ჩვენს რეკომენდაციებში წერია, რომ საარჩევნო კამპანიის პირველ დღედ უნდა ჩაითვალოს ის დღე, როცა პრეზიდენტი გააკეთებს განცხადებას, როდის უნდა ჩატარდეს არჩევნები. ასეთი განცხადება მან უკვე გააკეთა და არჩევნების დღედ 30 მაისი დაასახელა“. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ეს რეკომენდაცია აუცილებლად ჩათვალა იმის გათვალისწინებით, რაც მოხდა 2008 წლის საპარლამენტო და

წინასაარჩევნო კამპანია საქართველოში არჩევნებამდე 40 დღით ადრე იწყება. თუმცა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების სავარაუდო თარიღი მიხეილ სააკაშვილმა ივლისში პარლამენტში გამოსვლისას დაასახელა. ანუ, არაოფიციალურად, კამპანია უკვე რამდენიმე თვის დაწყებულია.

პროექტი „ერთად დავგეგმოთ თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი“ მთლიანად ქალაქის მერიის ფინანსებით



ილუსტრაცია სოფო აქობიაძის, ფონის სახელწოდებით

■ წინასაარჩევნო კამპანია საქართველოში არჩევნებამდე 40 დღით ადრე იწყება. თუმცა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების სავარაუდო თარიღი მიხეილ სააკაშვილმა ივლისში პარლამენტში გამოსვლისას დაასახელა. ანუ, არაოფიციალურად, კამპანია უკვე რამდენიმე თვის დაწყებულია.

საპრეზიდენტო არჩევნების დროს. მაშინ ხელისუფლებამ არჩევნების დღის დანიშვნა შეგნებულად დააგვიანა. თვითონ იცოდა, როდის აპირებდა არჩევნების დანიშვნას და წინასაარჩევნო კამპანია მანამდე დაიწყო, ვიდრე ოფიციალურად დადგინდებოდა არჩევნების დღე.

განხორციელდა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის თანხა დაიხარჯა და რამდენი თანამშრომელი მონაწილეობდა ამ პროცესში, საჯაროა, თუმცა მერიის პრესსამსახურმა ვერ მოახერხა სტატიის დაბეჭდვამდე მისი „ლიბერალისთვის“ მიწოდება. ■



**2008** წლის აპრილში, ბათუმის მერიამ ერთჯერადი სოციალური პროგრამისათვის 980 ადამიანი 3 თვით დაიქირავა და ქალაქის ბიუჯეტიდან 600 ათასი ლარი გამოყო. ამ პროგრამის მიზანი ბათუმში სოციალურად დაუცველი ოჯახების გამოვლენა და შესწავლა იყო.

თუმცა ეს ინფორმაცია სოციალური სააგენტოს ბაზაში უკვე ინახებოდა. ბათუმში 2008 წლის აპრილისთვის 8006 სოციალურად დაუცველი ოჯახი ცხოვრობდა. ამ ოჯახების მდგომარეობა დეტალურად იყო აღწერილი სააგენტოს დოკუმენტაციაში. სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის შესწავლაზე ბიუჯეტიდან წელიწადში 10 მილიონი ლარი იხარჯება, სააგენტოს თანამშრომლები თითოეულ ოჯახში 12-გვერდიან დეტალურ კითხვარს აესებენ.

რატომ დახარჯა საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ბათუმის მერიამ ნახევარ მილიონზე მეტი ლარი იმ ინფორმაციაში, რომელიც უფასოდ შეედლო მიეღო?

გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტებმა მერიის თანამშრომლებს მიერ შევსებული ერთგვერდიანი ანკეტა-კითხვარის 7252 ეგზემპლარი შეისწავლეს. ანკეტების შინაარსიდან ცხადი ხდება, რომ მერიის თანამშრომლები ისეთ ინფორმაციას აგროვებდნენ, რომელიც ოჯახის სოციალურ მდგომარეობას არ ეხება.

მაგალითად:

სოციალური მუშაკი რ. კონცელიძე წერს: „ოძელაშვილის ქუჩა, ზ. ა. ინგალიძის საარჩევნო ყუთი ადგილზეა მისატანი“. სოცმუშაკი ი. კობალაძე: „მაიაკოსკის ქუჩაზე მდგომარე მცხოვრებმა ჭ. დ.-მ უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე“. სოცმუშაკი მიქელაძე: „არჩევნებზე ვერ მოვა, საჭიროა ჩვენი მისვლა“.

კიდევ რამდენიმე ამონაწერი ანკეტებიდან: „ცხოვრობს ოჩხამურში, არჩევნებზე აქ არ იქნება“; „კარი არ გამიღეს, რომ გაიგეს რისთვის მივედი“; „ნ. წ.-მ გამიღო კარი, მაგრამ არანაირი ინფორმაცია არ მომანოდა. მითხრა, რომ არ სჭირდება არანაირი დახმარება“; „ბ.შ. პასპორტი ჩაბარებული აქვს“. ჩასამატებელია ის ფრაგმენტები სადაც ამბობენ ვის აძლევენ ხმას.

ანკეტა-კითხვარებში ჩანს, რომ მერიის მიერ დაქირავებული მუშაკები გულმოდგინედ აგროვებენ ინფორმაციას, ვინ მიდის არჩევნებზე და ვინ – არა, ვის სჭირდება გადასატანი ყუთის

ადმინისტრაციული რესურსი არჩევნებში

# „ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების ფორმულა

2008 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 980 აგიტატორი დაიქირავა. თუმცა, ამ პროექტის ხარჯები – 600000 ლარი, სახელისუფლებო პარტიის ნაცვლად, ბათუმის მერიამ დაფარა.

ნათია ზოიძე, გაზეთი „ბათუმელები“



ბინაზე მიტანა და ვის აძლევენ ისინი არჩევნებში ხმას. ანკეტებში მითითებულია შემთხვევებიც, როცა რესპონდენტები მათი პირადი პრობლემის მოგვარებას, ძირითადად, პატიმრების გათავისუფლებას ითხოვენ (ამ ადამიანების მისამართებსა და სახელ-გვარებს, კონფიდენციალურებიდან გამომდინარე, სრულად არ ვუთითებთ. ავტ.).

„ქათამაძის ქუჩა. ცხოვრობს 2 სტუდენტი, რომლების მამა არის პატიმარი. გათხოვთ, გაგვინიოთ დახმარება“; „მოგ-

■ „მოგმართავთ თხოვნით, მყავს სიძე, რომელიც იმყოფება პატიმრობაში. ძალიან გთხოვთ, შეუმცირდეს სასჯელი. ეს არის ჩვენი ერთადერთი თხოვნა და გასაჭირი. ჩვენი ოჯახი მუდამ იდგა პრეზიდენტის გვერდით“ – წერია ანკეტაში.

მართავთ თხოვნით, ვარ ქვრივი ქალი, მყავს შვილი... და სიძე, რომელიც დღეს-დღეობით იმყოფება პატიმრობაში. აქვს სასჯელის უმაღლესი ზომა - 9 წელი. ძალიან გთხოვთ, შეუმცირდეს სასჯელი. ეს არის ჩვენი ერთადერთი თხოვნა და გასაჭირი. ჩვენი ოჯახი მუდამ იდგა პრეზიდენტის გვერდით და სულ მის გვერდით იდგება; - ეს წერილიც პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ერთ-ერთ ანკეტა-კითხვარს ერთვის.

წერილის ავტორის მიერ შევსებულ ანკეტაზე მინერილია ტელეფონის ნომერი და მითითებულია, რომ „ხმას №30 საარჩევნო უბანზე აძლევს“. ანკეტას ხელს სოციალური აგენტი თ. ხახუტაიშვილი აწერს.

კითხვარში, რომელიც სოცმუშაკი ზ. კარანაძის მეთვალყურეობით არის შევსებული, წერია, რომ მაიაკოვსკის ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქე ე.ფ. სანარმოო ტრავმისგან მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და სამუშაოზე აღდგენას ითხოვს. „ბათუმელებთან“ საუბარში ე.ფ.-მ ვერ გაიხსენა მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრა, ის დღემდე ფიქრობს, რომ წინასაარჩევნოდ მასთან „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები მივიდნენ: „ჩემი პრობლემის გაცნობის შემდეგ სტალინის ქუჩაზე, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისში მისვლა შემომთავაზეს“, - ამბობს ე.ფ. ის იხსენებს, რომ შუამდგომლობის სანაცვლოდ, მას ხმა „ნაციონალურებისთვის“ უნდა მიეცა. თუმცა სამსახურში აღდგენის თაობაზე არჩევნების შემდეგ მას აღარავინ შეხმობია.

წინასაარჩევნოდ დაქირავებული სოციალური მუშაკების უმრავლესობაც ირიბად ადასტურებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დაკვეთას ასრულებდნენ.

„ხელფასის ნაწილი ბანკში ჩამერიცხა, 450 ლარი კი „ნაციონალურების“ შტაბში მივიღე და უწყისზეც ხელი იქ მოვანერე“, - ამბობს ერთ-ერთი ყოფილი სოცმუშაკი და განმარტავს, რომ, ამ თანხის სანაცვლოდ, მას ევალეობდა აგიტაცია იმ კორპუსში, სადაც თავად ცხოვრობს.

სოცმუშაკებმა მათი ვინაობის ინკოგნიტოდ დატოვება კატეგორიულად მოითხოვეს. მათი სახელები და გვარები, ასევე პასპორტის ნომრები მერიაში გაფორმებულ ხელშეკრულებებს ემთხვევა.

ხელშეკრულებებში სოცმუშაკების ვალდებულებები დაკონკრეტებული არ არის. არ არის განსაზღვრული, რამდენი რესპონდენტი უნდა გამოკითხოს თითოეულმა. კოორდინატორების სამუშაო არეალი მათი საცხოვრებელი ად-

გილის მისამართების მიხედვითაა განსაზღვრული.

შემთხვევითი შერჩევის პრინციპით „ბათუმელები“ ტელეფონით დაუკავშირდა ერთ-ერთ სოცმუშაკს. ი.ჭ.-მ დაადასტურა, რომ იგი „ნაციონალურების“ წევრია და აგიტაციას ეწეოდა გამსახურდისა და ფარნავაზ მეფის ქუჩის ნაწილზე. ის ამბობს, რომ გამოკითხვის პარალელურად, არიგებდა „ნაციონალური მოძრაობის“ ფლაერებს, შეგროვებული ინფორმაცია კი პარტიის საარჩევნო შტაბში მიჰქონდა.

„გარდა ანკეტისა, გვქონდა კიდევ ერთი დამატებითი ფურცელი, სადაც ვწერდით, თუ ვის აძლევდა ხმას ამომრჩეველი, რა პრობლემის მოგვარება სურდა იმის სანაცვლოდ, რომ მხარი „ნაციონალური მოძრაობისთვის“ დაეჭირა“, - იხსენებს სოცმუშაკი კ.ბ.

პარტიის მიერ ცესკო-ში წარდგენილი საბოლოო ანგარიშის მიხედვით, „ნაციონალური მოძრაობას“ ბათუმში მაისის საპარლამენტო არჩევნებზე სულ 38 307 ლარი აქვს დახარჯული. აქედან 10 318 ლარი - ფართობების იჯარაში, 15 000 ლარი - სარეკლამო მომსახურებისთვის (აჭარის ტელევიზია), ხოლო 12 039 ლარი სატრანსპორტო მომსახურებისთვის (შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისთვის“) აქვს გადახდილი. „ნაციონალური მოძრაობას“ ბათუმში ამომრჩევლის წინასაარჩევნო გამოკითხვებისა თუ კვლევებისთვის კოორდინატორები არ დაუქირავებია.


იურისტების განმარტებით, ბათუმის მერიის მიერ პოლიტიკური მუშაკების დაქირავება ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენების მაგალითია: „ნაციონალური მოძრაობის“ 980 აგიტატორმა, იგივე მერიის თანამშრომლებმა, სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მრავლობითი ფუნქცია შეასრულეს - ჩაატარეს პოტენციურ ამომრჩეველთა აღწერა, მმართველ პარტიას წარუდგინეს რიგითი ამომრჩევლის განწყობები და პრობლემათა ნუსხა, რომელთა მოგვარებაც აუცილებელი იყო საჭირო რაოდენობის ხმათა მისაღებად. ეს ცალსახად უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მმართველ პარტიას, რომელსაც ხელი მიუწვდება არა მხოლოდ ადმინისტრაციულ რესურსზე (ადმინისტრაციული ორგანოების შენობები, სამსახურებრივი მანქანები, კომპიუტერები, კომუნიკაციის საშუალებები), არამედ პირდაპირ საბიუჯეტო სახსრებზეც“, - ამბობს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტი თამარ ხიდაშელი.

წინასაარჩევნოდ მერიის მიერ დაფინანსებული პროგრამის ოფიციალური მი-

ზანი სოციალურად დაუცველი ოჯახების გამოვლენა იყო, თუმცა ანკეტური გამოკითხვის ცხრაგვერდიან ანალიზში პასუხი კითხვაზე - რამდენი სოციალურად დაუცველი ოჯახია ბათუმში - არ არის.

„სოცმუშაკებმა დაარღვიეს ხელშეკრულების პირობებიც: ანუ ნაცვლად იმისა, რომ გამოვლენათ ქ. ბათუმში სოციალურად დაუცველი ოჯახები, მათ აღრიცხეს მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისადმი ამ ოჯახების დამოკიდებულება, მათი მონაწილეობის ხარისხი და საარჩევნო პოზიცია. ვფიქრობ, ქალაქის მერმა ჩაიდინა საქ. სსკ 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული - მან საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი ხარჯვის გზით გაფლანგა ქ. ბათუმის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბათუმის ბიუჯეტის თანხები“, - აცხადებს იურისტი რამინ პაპიძე.

ბათუმის მერიის საფინანსო ეკონომიკური სამსახურის უფროსის ჯემალ ანანიდის განცხადებით, თანხა ამ პროგრამის დასაფინანსებლად ბიუჯეტის ეკონომიის ხარჯზე გამოთავისუფლდა. მისი თქმით, 2008 წლის აპრილში, მდინარე ბარცხანის ხიდის მშენებლობა და მთისძირის ქუჩის სანიაღვრე არხის კაპიტალური რემონტი გადაიდო. ბიუჯეტში ხიდის მშენებლობისთვის 2,5 მილიონი, არხისთვის კი 600 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული. □





ცვლილებები საარჩევნო კოდექსში

# შენწყვეტილი თანამშრომლობა

საარჩევნო კოდექსის დახვეწაზე მომუშავე ჯგუფმა არსებობა მოულოდნელად შეწყვიტა. ახლა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა კვლავ ექსკლუზიურად „ნაციონალური მოძრაობის“ ხელშია.

ეკა სირაძე-დელიონე, „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორი



ფოტო: თემო ბარამიძე/ეპიკ

■ საარჩევნო კოდექსის რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა NDI-ში, თბილისი, ნოემბერი 2009

2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო, საპარლამენტო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მონიტორინგმა აჩვენა, რომ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული ხარვეზების მნიშვნელოვან ნაწილს საარჩევნო კოდექსის არასრულყოფილება განაპირობებდა. ხელისუფლება იძულებული იყო, რეაგირება მოეხდინა იმ ანგარიშებზე და დასკვნებზე, რომლებიც საერთაშორისო და ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა მოამზადეს. შესაბამისად, 2009 წელს შეიქმნა ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს, და რომელიც ერთობლივად, შეთანხმებულად მოამზადებდა ცვლილებებს საარჩევნო

**■ გამოცდილებიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ საქართველოს პარლამენტი, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობს, დაამტკიცებს ცვლილებების პაკეტს იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი პრეზიდენტმა წარადგინა.**

კოდექსში. ეს გახლდათ პოლიტიკური გადაწყვეტილება, რამაც დიდი

მხარდაჭერა დაიმსახურა როგორც საერთაშორისო ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან.

ამ პროცესში მონაწილე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მთავარი მიზანი იყო საქართველოს პოლიტიკურ და საარჩევნო რეალობაში ისეთი ფორმატის შექმნა, რომელიც ყველა საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას მისცემდა მონაწილეობის, აზრის გამოთქმისა და საკუთარი ინიციატივის გამოხატვის საშუალებას. ჯგუფში მსჯელობა საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტი ორგანიზაციების თვალწინ იმართებოდა, რაც პროცესის მეტ გამჭვირვალობას უზრუნველყოფდა.

დისკუსიაში მონაწილე თითოეულ პარტიას ჰქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დაებლოკა მისთვის არასასურველი საარჩევნო ინიციატივა. საკითხი მიღებულად მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა, თუ მას კენჭისყრაზე ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი დაუჭერდა მხარს ან თავს შეიკავებდა.

მუშაობის ასეთი ფორმატი არ გამოიციხავდა კულუარულ მოლაპარაკებებსა და გარიგებებს, თუმცა, ამავე დროს, ყველა მხარის ინფორმირებულობის დონესაც ზრდიდა.

სწორედ ასეთი კარგი საწყისი პირობების გამო, ჯგუფს შეეძლო ეფექტური მუშაობის შედეგად ბევრ სადავო საკითხზე შეთანხმებულიყო, თუმცა პოლიტიკურმა სუბიექტებმა ეს შანსი კარგად ვერ გამოიყენეს.

9-თვიანი მუშაობის შემდეგ შეთანხმებულ საკითხთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია გასაჩივრების ვადის გაზრდა 1 დღიდან 2 დღემდე.

18 ნოემბერს ჯგუფის მუშაობის მოულოდნელად შეწყვეტის შემდეგ



გაცილებით მეტი კითხვა გაჩნდა, ვიდრე მანამდე არსებობდა. ახლა მნიშვნელოვანია გაირკვეს, რომელი პოლიტიკური ძალები მიიღებენ რეალურად მონაწილეობას კოდექსში ცვლილებების შეტანის პროცესში და რა ბედი ეწევა რეკომენდაციებსა და შეთანხმებებს, რომლებიც საარჩევნო ჯგუფის მუშაობის პროცესში განიხილებოდა.

2009 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს. ძირითადი ნაწილი იდენტურია იმ პაკეტისა, რომელიც ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფში კენჭისყრაზე დააყენა და რომელიც ჩავარდა (სამმა პოლიტიკურმა პარტიამ მას მხარი არ დაუჭირა).

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ საკანონმდებლო ინიციატივასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა უნდა იმსჯელოს და იმის თეორიული ალბათობა არსებობს, რომ მასში შესაძლებელია შევიდეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, გამოცდილებიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, რომ საქართველოს პარლამენტი, სადაც „ნაციონალური მოძრაობა“ საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობს, დაამტკიცებს ცვლილებების პაკეტს იმ ფორმით, რა ფორმითაც იგი პრეზიდენტმა წარადგინა.

კერძოდ: ცვლილებების პროექტის მიხედვით, თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისაგან. აქედან 25 წევრი აირჩევა ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან. მაჟორიტარულ ოლქებში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მაჟორიტარი, რომელიც მოსული ამომრჩევლის საერთო რაოდენობიდან მეტ ხმას მიიღებს. საკრებულოს 25 წევრი აირჩევა პროპორციული წესით, მანდატები გადანაწილდება იმ საარჩევნო სუბიექტებზე, რომლებიც 4%-იან ბარიერს გადალახავენ.

თბილისის მერი აირჩევა პირდაპირი წესით, გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს სხვებზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ 30%-ისა. თუ 30% ვერ მოაგროვა ვერც ერთმა კანდიდატმა, ჩატარდება თბილისის მერის არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 2 საუკეთესო შედეგის მქონე

კანდიდატი, ხოლო გამარჯვებულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეტ ხმას დააგროვებს.

პროექტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციის შედეგად თავმჯდომარის 3 კანდიდატურას წარუდგენს ცესკო-ს. თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ მხოლოდ ცესკო-ს ოპოზიციური პარტიების წევრები, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, თუ ცესკო-ს პარტიული წევრები ვერ შეთანხმდებიან თავმჯდომარის ერთ კანდიდატზე, საქართველოს პრეზიდენტი იმავე კანდიდატურებს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

კანონპროექტში არაფერია ნათქვამი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა არჩევაზე. კანონპროექტის მიხედვით, საარჩევნო უბნებში მხოლოდ კომისიების მდივნები აირჩევიან პარტიების მიერ წარდგენილ წევრთაგან. არ არსებობს დასაბუთებული არგუმენტი, თუ რატომ არ შეიძლება, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები იყვნენ არა მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიების მდივნები, არამედ თავმჯდომარეები ან მათი მოადგილეები.

მხოლოდ ცესკო-ს თავმჯდომარის შეცვლით დღის წესრიგიდან არ მოიხსნება საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებული კითხვები. მნიშვნელოვანი საკითხია მთლიანად საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება ყველა დონეზე და, შესაბამისად, მხოლოდ ცესკო-ს თავმჯდომარის არჩევის წესის შეცვლა არ შეიძლება მივიჩნიოთ წინგადადგმულ ნაბიჯად.

ძნელი სათქმელია, რამდენად გააუმჯობესებს ჩამოთვლილი ცვლილებები საარჩევნო პროცესებს. თავისთავად, პროგრესული ნაბიჯია საქართველოს დედაქალაქის მერის პირდაპირი წესით არჩევა, თუმცა ვთვლი, რომ ამასთან ერთად თბილისის მერს აუცილებლად უნდა ჰქონდეს დედაქალაქის ამომრჩევლისგან მიღებული რაც შეიძლება ძლიერი მანდატი. ეს გულისხმობს ბევრ ხმას და, შესაბამისად, მაღალი ბარიერის დაწესებას. ის, თუ კონკრეტულად რამდენი უნდა იყოს მერის საარჩევნო

ბარიერი, პოლიტიკური შეთანხმების საგანია.

ამასთან, საინტერესოა, რა პრინციპით გადანაწილდება 25 ერთმანდატიანი მაჟორიტარულ ოლქად თბილისის არსებული 10 საარჩევნო ოლქი. ვენეციის კომისიის რეკომენდაცია ცალსახად აღნიშნავს, რომ თუ მოხდება არჩევნებამდე საარჩევნო სისტემის შეცვლა, სასურველია ეს არჩევნებამდე 1 წლით ადრე განხორციელდეს, რათა დროულად მოხდეს ამომრჩეველთა ინფორმირება და არჩევნების დღეს არ გამოიწვიოს ქაოსი და ამომრჩეველთა დაბნეულობა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომელი საარჩევნო სისტემა იქნება გამოყენებული მანდატების გადანაწილებისას (ანუ ის, თუ როგორ გადანაწილდება მანდატები პროპორციული წესით), რადგანაც ამჟამად მოქმედი წესი არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ ნორმებს. ამ საკითხთან დაკავშირებით კი საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფს არ უმსჯელია.

პრეზიდენტის მიერ შემოთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებში არაა ასახული ის საკითხები, რომლებიც ასევე უკიდურესად მნიშვნელოვანია საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო პროცესებისადმი ამომრჩეველთა ნდობის ასამაღლებლად. მაგალითად, არაფერია ნათქვამი ისეთ საკითხებზე, როგორცაა: წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, მედია ხელმისაწვდომობა, დაბალანსებული მედია გაშუქება და მედია მონიტორინგი, საარჩევნო უბნებზე ვიდეოკამერების მასალის ხელმისაწვდომობა, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საჩივრების განხილვის ვალდებულება, და ა.შ.

თუმცა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები მხოლოდ კარგი კანონმდებლობით არ მიიღწევა. მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ მოხდება კანონის აღსრულება, როგორც ხელისუფლების, ისე საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ. იმისათვის, რომ ჩატარდეს არჩევნები, რომელიც სრულად შეესაბამება დემოკრატიულ სტანდარტებს, აუცილებელია საარჩევნო ადმინისტრაციამ საზოგადოების მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობები გამჭვირვალედ, მიუკერძოებლად, ობიექტურად და პროფესიონალურად შეასრულოს. **□**

# თბილისის მერის არჩევნებში 50%-იანი ბარიერი აუსილებელია



ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველომ ბევრ რამეში წაინია წინ, თუმცა არჩევნები მისთვის კვლავ სირთულეს წარმოადგენს.

მარკ მალენი, ეროვნული დემოკრატიის ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ყოფილი დირექტორი

სამი წელია, საქართველოს გარეთ ვცხოვრობ და დემოკრატიულ პროცესში უშუალოდ აღარ ვმონაწილეობ, მაგრამ ახლა ისეთი მნიშვნელოვანი რამ ხდება, რომ გადავწყვიტე, ჩემი პირადი აზრი გაგიზიაროთ. ვგულისხმობ თბილისის მერის არჩევნებს.

50%-იანი ბარიერის დაწესება აუცილებელია.

მათ, ვინც ამას ეწინააღმდეგება, შიში ამოძრავებთ. ეს მათ სუსტ პოზიციაზე მცდელობებს. ხელისუფლებას და ზოგ პარტიას სურს, 30%-იანი ბარიერი ერთგვარ კომპრომისად წარმოაჩინოს, სინამდვილეში კი 30% ამ შემთხვევაში 0%-ის ტოლფასია, ვინაიდან ხელისუფლება დარწმუნებულია 30%-იანი ბარიერის გადალახვაში.

გამოითქვა აზრი, თითქოს მერობა არაპოლიტიკური თანამდებობაა, მაგრამ განა შეიძლება არაპოლიტიკური იყოს ისტორიაში პირველად თბილისის მერის პირდაპირი გზით არჩევა!

კიდევ ერთი არგუმენტი ისაა, რომ თუ მეორე ტურში უფრო ნაკლები ამომრჩეველი მისცემს ხმას, მაშინ მერს ამომრჩევლების ნახევარზე ნაკლები აირჩევს. მნიშვნელოვანია იმ ადამიანების ნდობა, ვისაც სერიოზულად ადარდებს არჩევნების შედეგები. ასეთი ამომრჩევლები კი ყოველთვის აძლევენ ხმას. თუ ქართველ ამომრჩევლებს მისცემენ მეორე ტურის შანსს, სავარაუდოდ, ისინი დაინტერესებულნი იქნებიან, რომ მეორე ტურშიც მიიღონ მონაწილეობა.

ძალიან სამწუხაროა, რომ ეს დისკუსია არჩევნების თარიღამდე ცოტა ხნით ადრე იმართება. ამის გამო, არის ტენდენცია, რომ თითოეულ მხარეს აქვს არგუმენტები, რაც უზრუნველყოფს მისი კანდიდატის გამარჯვებას, ან იმ გარემო, სადაც წაგების ნაკლები ალბათობა იქნება. ეს სამწუხაროა, და გაცილებით უკეთესი იქნებოდა, საუბარი მაშინ გამართულიყო, როცა პოლიტიკური სპექტრი ჯერ არ იყო ასეთი დაკონკრეტებული. ახლა ამ დისკუსიას პირადი ინტერესების შემოტევები ასაზრდოებს, და არა ის, თუ რა იქნებო-

და საქართველოსათვის უკეთესი. მაგრამ ვისი ბრალია ეს, და ვინ იგებს ამით?

საქართველოში ძალაუფლება რომ ძალიან ცენტრალიზებულია, ამაზე არავინ დავობს. ზოგადად, მერის პირდაპირი და სამართლიანი არჩევნები დეცენტრალიზაციის საუკეთესო გზაა, ხოლო 50%-იანი ბარიერი კი იმის გარანტიაა, რომ ხალხს ლეგიტიმური, დამოუკიდებელი ლიდერები ეყოლება.

სამი მგელი და ერთი ცხვარი კენჭს იმას თუ უყრის, ვინ შეჭამონ სადილად, ამას დემოკრატია ვერ უწოდებ.

საერთაშორისო საზოგადოება ამაზე ხმამაღლა არაფერს იტყვის, ვინაიდან გადაწყვეტილება ქართველმა ხალხმა თავად უნდა მიიღოს. მაგრამ გარწმუნებთ, რომ ვაშინგტონში, ბრიუსელში, ლონდონში, ბერლინში თუ სხვაგან ყურადღებით ადევნებენ თვალს ამ პროცესს, როგორც დემოკრატიის საზომს. თუ 50%-იანი ბარიერზე შეთანხმება არ მოხდა, საქართველოს დემოკრატიის პარამეტრები საგრძნობლად დაინებს. არადა, ქვეყანას სწორედ ახლა სჭირდება ძლიერი საერთაშორისო მხარდაჭერა.



**■ გაცილებით უკეთესი იქნებოდა, საუბარი მაშინ გამართულიყო, როცა პოლიტიკური სპექტრი ჯერ არ იყო ასეთი დაკონკრეტებული. ახლა ამ დისკუსიას პირადი ინტერესების შემოტევები ასაზრდოებს, და არა ის, თუ რა იქნებოდა საქართველოსათვის უკეთესი.**

ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველომ ბევრ რამეში წაინია წინ, თუმცა არჩევნები მისთვის კვლავ სირთულეს წარმოადგენს. მისასაღამებელია ის, რომ საარჩევნო კანონზე მომუშავე ჯგუფი ბევრ რამეზე შეთანხმდა, მაგრამ არის საკითხები, რომლებზეც კომპრომისი დაუშვებელია. იმაზე შეთანხმება, სამართლიანად ჩატარდება არჩევნები თუ უსამართლოდ, კომპრომისი კი არა, უზნეობაა. საარჩევნო ბარიერი უბრალო ტექნიკური საკითხი არ გახლავთ. მასზე საქართველოს მომავალი და რეპუტაცია დამოკიდებულია.

# 50%-იანი ბარიერის წინააღმდეგ



მარკის გამოსვლა უფრო ისტერიულია, ვიდრე არგუმენტირებული. 50%-იან ან ნებისმიერ სხვა ბარიერს დემოკრატიათან არანაირი კავშირი არ აქვს, უფრო პირიქით.

ლევან რამიშვილი, „თავისუფლების ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარე

ამაში დასარწმუნებლად საკმარისია Freedom House-ის რეიტინგის მიხედვით თავისუფალი ქვეყნების პრაქტიკა ვნახოთ. მარტივ პლურალიტურ სისტემას იყენებს – 35, პროპორციულს – 39, ხოლო ორტურიან მაჟორიტულს – მხოლოდ 7 ქვეყანა. თუკი დამკვიდრებული დემოკრატიების პრაქტიკას ვნახავთ, ანუ ისეთი ქვეყნების, რომლებსაც უკანასკნელი 20 წლის უწყვეტი დემოკრატიული ტრადიცია აქვთ, და არანაკლებ 250 ათასი მოქალაქე ჰყავთ, აქ 11 ქვეყანა იყენებს მარტივ პლურალიტურ სისტემას, პროპორციულს – 15, ხოლო ორტურიან მაჟორიტულს – მხოლოდ 1 ქვეყანა.

გავრცელების თვალსაზრისით, ორტურიანი სისტემა მესამეა პლურალიტური (70 ქვეყანა) და პარტიული სიის პროპორციული სისტემების (67 ქვეყანა) შემდეგ. ამ სისტემით სულ 31 ქვეყანა სარგებლობს. ორრაუნდიანი სისტემა, გარდა იმისა, რომ უფრო ძვირია და ადმინისტრირების თვალსაზრისით უფრო რთული, სხვა უფრო სერიოზულ პრობლემებთან არის დაკავშირებული.

როგორც წესი, მეორე ტურისას ამომრჩეველთა აქტივობა მნიშვნელოვნად კლებულობს ხოლმე, ასე რომ, 50%-იანი ბარიერის მეშვეობით გამარჯვებული კანდიდატის ლეგიტიმურობის გაზრდა ძალიან საკამათოა – შესაძლოა 1-ლ ტურში 1-ლ ან თუნდაც მე-2 ადგილზე გასულ კანდიდატს ბევრად მეტი ხმა ჰქონდეს მიღებული, ვიდრე მე-2 ტურში გამარჯვებულს.

ხმების გახლეჩა, რაც ხშირია ორტურიან სისტემაში, კოალიციების მშენებლობის საინააღმდეგოდ მიმართული სტიმულია. შეგვიძლია, გავიხსენოთ საფრანგეთში 2002 წელს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც 8 მემარცხენე პარტიის კანდიდატი მონაწილეობდა. შედეგად, ვერც ერთი მემარცხენე ვერ მოხვდა მე-2 ტურში. სამაგიეროდ, მეორე ტურში გავიდა ფაშისტი ლე პენი. კვლევები ცხადყოფს,

რომ საფრანგეთში ორტურიანი სისტემა ყველაზე დისპროპორციულ შედეგებს იძლევა დასავლურ დემოკრატიათა შორის ამომრჩევლის მიერ მიცემული ხმებისა და პარტიების მიერ მიღებული მანდატების თვალსაზრისით.

რაც შეეხება ოპოზიციური პარტიების პოზიციებს, მათი ახსნა ყოველგვარი კონსპიროლოგიის გარეშეც შეიძლება. რა შესთავაზა დანარჩენ ოპოზიციას ალასანია? რეალურად – არაფერი. საერთო კანდიდატზე მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ მან საკუთარი თავი სხვებთან შეუთანხმებლად დაასახელა მერობის, სუბარი კი – საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატად.

შესაბამისად, ორტურიანი სისტემის შემოღებით დაინტერესებულია მხოლოდ ალასანია, რომელსაც დანარჩენი ოპოზიციისთვის რაიმეს დათმობის გარეშე უნდა, გახდეს ერთიანი კანდიდატი. რაკი მოლაპარაკებებით ამას ვერ მიაღწია, დანარჩენი ოპოზიციონერების ჩამოშორებას საკუთარ თავზე მორგე-

სპექტრის უდიდესი ნაწილი თამაშგარე მდგომარეობაში რჩებოდა.

ამ პარტიებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ადგილობრივ არჩევნებზე პროპორციული სიის არსებობას. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მათი ეს ინტერესი გაითვალისწინა და სანაცვლოდ მიიღო მათი თანხმობა მერის არჩევის წესის და ბარიერის საკითხში. დანარჩენი ოპოზიციისათვის ეს სასიცოცხლო მნიშვნელობის არ იყო, რადგან მათ ისედაც არ ჰქონდათ მერად საკუთარი კანდიდატის გაყვანის შანსი. თანაც, ალასანიას წარმატება დანარჩენი ოპოზიციის წარუმატებლობაა. ისინი ერთ მოედანზე, ერთი ელექტორატისათვის ებრძვიან ერთმანეთს და არა – „ნაციონალურ მოძრაობას“.

ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები დიდი პოლიტიკური თამაშისგან იზოლირებულად არ უნდა განვიხილოთ. მოთამაშეები ამ არჩევნებს ერთგვარ რეპეტიციად მიიჩნევენ. შემდეგ საპარ-

## ორტურიანი სისტემის შემოღებით დაინტერესებულია მხოლოდ ალასანია, რომელსაც დანარჩენი ოპოზიციისთვის რაიმეს დათმობის გარეშე უნდა, გახდეს ერთიანი კანდიდატი.

ბული საარჩევნო სისტემით ცდილობს.

დანარჩენ ოპოზიციას კი სულ სხვა ინტერესები აქვს. რისი იმედი შეიძლება ჰქონოდათ მათ მარტივი პლურალიტული სისტემით არჩეულ 25-კაციან საკრებულოში? წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგების საფუძველზე მოდელირებას თუ გავაკეთებთ (10-დან 8 ოლქი „ნაციონალური“ კანდიდატებმა მოიგეს), „ნაციონალური მოძრაობა“ მინიმუმ 20 ოლქს მოიგებდა, დანარჩენი 5 ოლქი კი ოპოზიციური ფლანგის ყველაზე ძლიერ პარტიებს და ბლოკებს შესვლად იძლეოდა. ანუ, ალასანიას წესებით თამაშის შემთხვევაში, ოპოზიციური

ლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე ფინანსური თუ ელექტორალური მხარდაჭერის გადანაწილება ცალკეულ ოპოზიციურ ძალებს შორის სწორედ ამ არჩევნების შედეგების გათვალისწინებით მოხდება. თუ ერთმა რომელიმე ძალამ მნიშვნელოვნად მეტი ხმა მიიღო, ვიდრე სხვებმა, მაშინ ამ სხვებს გაუჭირდებათ პოტენციური დონორების, მედიის და ამომრჩეველების დარწმუნება, რომ მათ მხარდაჭერას რაიმე აზრი აქვს. შესაბამისად, ადგილობრივ არჩევნებზე ცუდი რეზულტატი მათთვის კიდევ უფრო მიძიმე შედეგს მოიტანს 2012 და 2013 წლებში. ■



ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის რეკომენდაციები

# ის, რაც აუსილებელია საარჩევნო გარემოს შესაცვლელად

## ნინო ლომჯარია

საქართველოში მიმდინარე არჩევნების პროცესის მონიტორინგის შედეგად ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვის ცხადი გახდა, რომ ხშირ შემთხვევაში დარღვევები გამოწვეული იყო არა მხოლოდ კონკრეტული სამართალდარღვევებით, არამედ საკანონმდებლო ხარვეზებით, ასევე სასამართლოსა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო ნორმების არასწორი, ვინაობა ინტერპრეტაციით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გამართულ არჩევნებზე არსებული დარღვევების აღმოფხვრისა და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, საიამ რიგი რეკომენდაციები შეიმუშავა. ეს მასალა საარჩევნო კოდექსის რეფორმაზე მომუშავე საპარლამენტო ჯგუფსაც წარედგინა.

რეკომენდაციების ნაწილი, რომელიც ყველაზე გავრცელებული პრობლემების მიხედვით დაჯგუფდა, ასე გამოიყურება:

**1** სახელმწიფო მოხალაების, პოლიტიკური თანამდებობის პირების შუაშუალდავი მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში

**პრობლემის არსი:** საჯარო მოხელეების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში, გასულ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებზე ერთ-ერთი ყველაზე პრობლემური საკითხი იყო. დღევანდელი კანონმდებლობით დარღვევად და, შესაბამისად, „ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად“ არ ითვლება საჯარო მოხელის მიერ აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო დროს; კერძოდ, როდესაც იგი უნდა ასრულებდეს სამსახურებრივ ფუნქციებს და როდესაც მას ამ პერიოდისათვის ანაზღაურება ეძლევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჯარო ფუნქციის შესასრულებლად.

რაც შეეხებათ პოლიტიკურ თანამდებობის პირებს, მაგალითად ისეთებს, როგორებიც არიან – პრეზიდენტი, პრე-

მიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრები, მინისტრის მოადგილე, პარლამენტის წევრი, საკრებულოს წევრი, გამგებელი, მერი – სრული თავისუფლება აქვთ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის თვალსაზრისით.

**რეკომენდაცია:** ჩვენი აზრით, კანონმა ნათლად უნდა განსაზღვროს, რომ საჯარო მოხელეებს ეკრძალებათ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა სამუშაო დროის ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი, კამპანიაში მონაწილეობის მიზნით, ისარგებლებენ კუთვნილი შვებულებით.

უნდა გაიმიჯნონ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების პოლიტიკური თანამდებობის პირები, რომელთაგან წარმომადგენლობითი ორგანოს პოლიტიკური თანამდებობის პირები (პარლამენტარები, საკრებულოს წევრები) ისარგებლებენ კამპანიაში შეუზღუდავი მონაწილეობის უფლებით, ხოლო აღმასრულებელი ორგანოს პოლიტიკური თანამდებობის პირები (პრეზიდენტი, მინისტრები, მინისტრის მოადგილეები, გამგებლები და ა.შ.) კამპანიაში მონაწილეობის უფლებით გაუთანაბრდებიან რიგით საჯარო მოხელეებს.

აღნიშნული რეკომენდაცია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მინისტრებს, მათ მოადგილეებს, გამგებლებს ექვემდებარებათ სახელმწიფო აპარატები, შესაბამისად, მათი გავლენა იქ დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებზე გაცილებით დიდია, ვიდრე, ვთქვათ, პარლამენტის წევრებისა, რომლებიც სწორედ პოლიტიკურ პარტიებს წარმოადგენენ და არა სახელმწიფო აპარატს.

**2** ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით

**სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი რესურსებით სარგებლობის პრობლემის არსი:** არსებული საარჩევნო კანონმდებ-

ბლობის თანახმად, არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული შენობებით, საკომუნიკაციო საშუალებებით, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკით, სატრანსპორტო საშუალებებით, იმ შემთხვევაში, თუკი არჩევნებში მონაწილე ყველა სხვა დანარჩენ კანდიდატს თანაბრად მიუწვდება ხელი აღნიშნულ ადმინისტრაციულ რესურსებზე;

საიამ მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა ცხადყო აღნიშნული ნორმის არაეფექტურობა, კერძოდ, გამოვლინდა ფაქტები, როდესაც მმართველ პარტიას მიუწვდებოდა ხელი იმ ადმინისტრაციულ რესურსზე, რაც ოპოზიციური პარტიებისთვის მიუწვდომელი იყო. მაგალითად, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს რესპუბლიკურ პარტიას უარი ეთქვა თბილისის სომხური თეატრის მხრიდან დარბაზის გამოყოფაზე, იმ მოტივით, რომ „... თბილისის სომხური თეატრი ემსახურება მხოლოდ ხელოვნებას და არ სურს, რაიმე შეხება ჰქონდეს პოლიტიკასთან“. თუმცა, მოგვიანებით აღნიშნული დარბაზი არაერთხელ დაეთმოთ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს გიორგი გოგუაძეს, რუსუდან კერვალიშვილს და სხვა წარმომადგენლებს; ასევე, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე უარი ეთქვა ბლოკს „ტრადიციონალისტები – ჩვენი საქართველო და ქალთა პარტია“.

**რეკომენდაცია:** იმის გამო, რომ დღეს არსებული კანონმდებლობა ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკური პარტიებისთვის ადმინისტრაციული რესურსებით თანაბრად სარგებლობის უფლებას, მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი რესურსებით სარგებლობა ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის უნდა აიკრძალოს.

შესაძლებელია გამოწვევების დაწესდეს სახელმწიფო კუთვნილებაში არსებული შენობა-ნაგებობებით სარგებლობისას, ოღონდ იმ პირობით, თუკი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად არ მოიპოვება სხვა შესაფერისი შენობა-ნაგებობა;

**მმართველი პარტიის კანდიდატების უპირატესი მდგომარეობის პრობლემის არსი:** წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში საიამ გამოავლინა ათობით შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯე-

ტით განხორციელებული სამუშაოს პრევენტიაციისას მმართველი პარტიის კანდიდატები საჯარო მოხელეებთან ერთად იმყოფებოდნენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ღონისძიებები შუქდებოდა ცენტრალური თუ ადგილობრივი მედიასაშუალებების მიერ და შესაბამისად, დეპუტატობის კანდიდატები მოსახლეობის მხრიდან აღიქმებოდნენ როგორც განხორციელებული სამუშაოების ინიციატორები, ან ხელისშემწყობნი, რაც თავისი არსით წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის უკანონოდ გამოყენებას კონკრეტული პარტიის კანდიდატის სასარგებლოდ.

**რეკომენდაცია:**

- ა. საარჩევნო კოდექსმა გაითვალისწინოს დებულება, რითაც საარჩევნო სუბიექტს/სუბიექტობის კანდიდატს აკრძალვება სახელმწიფო სახსრებით დაფინანსებულ ღონისძიებებში/პრევენტიაციებში მონაწილეობა;
- ბ. თავის მხრივ, თანამდებობის პირებს/საჯარო მოხელეებს აკრძალოთ სახელმწიფო დაფინანსებით განხორციელებული სამუშაოების პრევენტიაცია საარჩევნო სუბიექტების თანხლებით.

**3 ამომრჩევლის მოსაზრება**

**პრობლემის არსი:** საქართველოს საარჩევნო კოდექსით აკრძალულია საარჩევნო სუბიექტების და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობათა გადაცემა, შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის მიწოდება ან გავრცელება (გარდა სააგიტაციო მასალისა), აგრეთვე, საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით.

აღნიშნულ მუხლზე დაყრდნობით, საიამ გაასაჩივრა არაერთი ფაქტი, რეგისტრირებული სუბიექტების მიერ მოქალაქეთათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემის, ან მომსახურების განწვევის შესახებ, თუმცა, სასამართლომ განმარტა, რომ ბავშვების დაპატიჟება კინოთეატრში, მოქალაქეთათვის მცირე ღირებულების მქონე საჩუქრებისა თუ სუვენირების გადაცემა არ წარმოად-

გენს კანონით აკრძალულ საქმიანობას. **რეკომენდაცია:** მიგვაჩნია, რომ კანონით უნდა აიკრძალოს საქართველოს მოქალაქეებისთვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა, მომსახურების განწვევა, მიუხედავად მათი ღირებულებისა, რადგან ასეთი ფაქტები უკანონო გავლენას ახდენს მოქალაქეთა ნების ჩამოყალიბებაზე.

**4 პასუხისმგებლობის ზომების დაწესება საარჩევნო სამართალდარღვევის ჩამდინი პირების მიმართ**

**პრობლემის არსი:** საქართველოს საარჩევნო კოდექსი გარკვეულ შემთხვევებში ადგენს, რომ საარჩევნო სამართალდარღვევის ჩადენისთვის და მრღვევს „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“ დაეკისრება. მიუხედავად ამისა, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს აღნიშნული ტიპის დარღვევასთან დაკავშირებით შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომებს, რაც გამორიცხავს სამართალდამრღვევი პირის ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობას ჩადენილი სამართალდარღვევის გამო.

**რეკომენდაცია:** საქართველოს კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ან სხვა პირთა მხრიდან ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციულ, თუ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ამ რეკომენდაციებიდან აღსანიშნავია დამკვირვებლებისა და უბანზე ყოფნის უფლებების მქონე პირების მიმართ განხორციელებული ძალადობის, შემავამებელი ოქმების გაუცემლობის და ბიულეტენების საარჩევნო ყუთში უკანონოდ ჩაყრის ფაქტების კრიმინალიზაცია, ვინაიდან აღნიშნული ქმედებები წარმოადგენენ გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საფრთხეს.

**5 სპეციალური საარჩევნო უბნების შემცირება**

დღეს, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოს მიერ გაკეთებული არასწორი ინტერპრეტაციის თანახმად, სპეციალურ საარჩევნო უბნებზე

ხმას არა მარტო „სამხედრო პირები“ აძლევენ, არამედ პოლიციელებიც და სამართალდამცავი უწყების რიგითი თანამშრომლებიც კი, რაც ხელოვნურად ზრდის საარჩევნო ოქმში მაჟორიტარი კანდიდატების ამომრჩეველთა რიცხვს.

**რეკომენდაცია:** საქართველოს საარჩევნო კოდექსმა ცალსახად უნდა გაითვალისწინოს, რომ სპეციალური უბნები იქმნება მხოლოდ სამხედრო სამსახურში მყოფი იმ სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც სამსახურებრივი ვალდებულების გამო არ შეუძლიათ დატოვონ დისლოკაციის ადგილი, რათა თავიდან ავიცილოთ თავდაცვის, თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული არასამხედრო მოქალაქეების, თუ პოლიციელების არჩევნებში მონაწილეობა სპეციალური უბნების მეშვეობით.

მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობის უფლება კი მიეცეს სამხედრო მოსამსახურეს მხოლოდ იმ საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს მისი მუდმივი დისლოკაციის ადგილი და სადაც იგი იხდის არანაკლებ ორწლიანი ვადით და საკონტრაქტო სამხედრო სამსახურს.

აღნიშნული წესი გამორიცხავს არჩევნებამდე ნებისმიერი დღით ადრე სამხედრო ნაწილების სხვადასხვა ოლქებში ხელოვნურად გადაადგილებისა და მათი ხმებით მანიპულირების შესაძლებლობას.

**ზემოაღნიშნული მოსაზრებები ნაწილია იმ მნიშვნელოვანი რეკომენდაციებისა, რომლებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ახალ საარჩევნო კოდექსში იმისათვის, რომ საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფონ ისეთი საარჩევნო გარემო, სადაც ყველა საარჩევნო სუბიექტს თანაბარი შესაძლებლობები ექნება, ხოლო სამართალდამრღვევის მიმართ იარსებებს პასუხისმგებლობის სათანადო ზომები.**

საიას ასევე მიაჩნია, რომ მხოლოდ საარჩევნო კოდექსის ცვლილებები არ არის სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების გარანტია, ვინაიდან, სრულყოფილი საარჩევნო კანონმდებლობის არსებობის შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია სამართლებრივი ნორმებით მანიპულირება, თუკი სახელმწიფოს მხრიდან არ იქნება საარჩევნო პროცესის დემოკრატიული სტანდარტებით წარმართვის ნება. **■**





ილუსტრაცია: სოფო სიბოძე, შიპინი, სახელმწიფო

## პოლიტიკა

# „ბათუმელების“ საქმე

გაზეთ „ბათუმელების“ მთავარი გამონვევა ახლა ისაა, რომ მასზე ზენოლის ფაქტის გამოძიების დასრულებამდე შეძლოს საზოგადოების ინტერესის შენარჩუნება.

### ანიტა თვაური

გაზეთ „ბათუმელების“ რედაქტორი, ეთერ თურაძე თბილისში სასამართლო პროცესზე საკუთარი უდანაშაულობის დასამტკიცებლად და ჟურნალისტურ საქმიანობაში მისთვის ხელის შეშლის ფაქტზე სასაუბროდ ჩამოვიდა.

2 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში გაზეთ „ბათუმელების“ რედაქტორმა მოსამართლეს დანვრი-

ლებით უამბო პრობლემის არსი. 2009 წლის ზაფხულში რედაქტორმა სარფის გამშვებ პუნქტზე, საბაჟო პროცედურების კანონიერების გარკვევისა და გაშუქების მიზნით, თავად გაიარა ის გზა, რასაც მოქალაქეები თურქულ ბაზარზე მოსახვედრად გადიოდნენ. საზღვრის გადმოკვეთისას ეთერი მოქალაქესა და მებაჟეს შორის დაწყებულ კამათს შე-

ესწრო, თავი წარადგინა და მოქალაქისგან ინტერვიუ ითხოვა.

განბაჟების პროცედურისთვის ხელის შეშლის გამო, ეთერი და გაზეთის დირექტორი მზია ამაღლობელი 2000 ლარით დააჯარიმეს. საშემოსავლო სამსახურმა „ბათუმელების“ ჯარიმა მართებულად მიიჩნია, რისთვისაც გაზეთმა საჩივრით თბილისის საქალაქო სასამართლოს



მიმართა. 2 დეკემბერს მოსამართლემ ორივე მხარეს მოუსმინა და შემდეგი განხილვა 24 დეკემბერს დაიწყო.

სასამართლო პროცესზე დასწრება ეთერ თურაძის თბილისში ჩამოსვლის ერთადერთი მიზეზი არ ყოფილა. გაზეთმა „ბათუმელებმა“ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რამდენიმე დღით ადრე, მის ერთ-ერთ თანამშრომელზე ზენოლის ფაქტის გახმაურებით.

25 ნოემბერს გაზეთის რედაქტორის ერთ-ერთ მოადგილეს, თედო ჯორბენაძეს შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის აჭარის სამმართველოში პირადი ცხოვრების გამოაშკარებით დაემუქრნენ და სანაცვლოდ თანამშრომლობა მოსთხოვეს. უარის შემთხვევაში, როგორც თედოს თავად სოდ-ის თანამშრომლებმა განუმარტეს, „მას ინტერვიუს აღარავინ მისცემდა, ვეღარ იცხოვრებდა ამ ქალაქში, ცოლს ვერ მოიყვანდა და სამსახურიდანაც გააგდებდნენ“. ერთ-ერთი სამართალდამცავი ეთერ თურაძეს დაჰპირდა, რომ ცალკე შეხვედებოდა და აუხსნიდა, თუ რატომ არ უნდა ემუშავა თედოს მათ რედაქციაში.

სპეცსამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, მათ ჰქონდათ ფოტო და ვიდეომასალა, თედო ჯორბენაძის პირადი სატელეფონო ჩანაწერებიც, საიდანაც მტკიცებოდა თედოს არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია.

იმისათვის, რომ თედო ჯორბენაძის პირადი ცხოვრების შესახებ პოლიციას ინფორმაცია გამოეკვლია, მათ უნდა ჰქონოდათ სასამართლოს გადაწყვეტილება ამგვარი ჩარევის შესახებ. ასეთ ნებართვას სასამართლო, როგორც წესი, მხოლოდ კონკრეტული საქმის გამოძიების პროცესში აბსოლუტური აუცილებლობით განპირობებულ შემთხვევებში გასცემს.

ასეთი ნებართვა რომც ჰქონოდათ, სოდ-ის თანამშრომლებმა უფლებამოსილებას მაინც გადააჭარბეს. „ქართული კანონმდებლობით, არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას არ აქვს უფლება, შეაგროვოს ისეთი მონაცემები, რომელიც დაკავშირებულია სექსუალურ ორიენტაციასთან“, – განმარტავს თამარ გურჩიანი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან. გურჩიანი იმ ფაქტს საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევად აფასებს.

„ბათუმელებს“, რომლის ტირაჟი 2500 ეგზემპლარია, დედაქალაქში ბევრი მკითხველი არ ჰყავს. მისი გაცნო-

ბა თბილისში მხოლოდ ელექტრონული ფოსტით შეუძლიათ, თუმცა გაზეთის ასეთ ვერსიას დაახლოებით 600 „ხელმოწერი“ ჰყავს. მიუხედავად ამისა, „ბათუმელების“ დაშანტაჟების შესახებ პირველმა „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტმა ია ანთაძემ დაწერა.

„ჩემს მეგობრებს აშინებდნენ. და ამ ქვეყანაში, სადაც კარგა ხანია, თითქმის ყველა შეშინებულია, ჩემი მეგობრები არ შეშინდნენ. ... როდესაც წლები გავა და იკითხავენ, – იმ ძნელ დროში ვინ იყო, ვინც არც გატყდა და არც გაიყიდაო – ზუსტად ვიცი, ჩემს მეგობრებს გაიხსენებენ. სოდი, კუდი და „მაიმუნა“, იმ დროისათვის, ეჭვი მაქვს, იმანენტურად იქნებიან დაიწყებულნი“, – დაიწერა 28 ნოემბერს „რადიო თავისუფლების“ ვებგვერდზე, ია ანთაძის ბლოგზე, რომელსაც კვირაში დაახლოებით 4 ათასი მკითხველი ჰყავს.

„გაზეთი ქმნის მალალ პროფესიულ ჟურნალისტურ პროდუქტს და ის არ უშვებს გადაუმონებელ ინფორმაციას, თუ ვერ ხერხდება ინფორმაციის გადამონება, გულწრფელად წერს ამის შესახებაც“, – ამბობს ია ანთაძე.

## ■ სოდ-ის თანამშრომლებმა უფლებამოსილებას გადააჭარბეს. ქართული კანონმდებლობით, არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას არ აქვს უფლება, შეაგროვოს ისეთი მონაცემები, რომელიც დაკავშირებულია სექსუალურ ორიენტაციასთან.

1 დეკემბერს გაზეთის მხარდაჭერი აქცია კინოთეატრ „ამირანთან“ გაიმართა, იმავე საღამოს ეთერ თურაძე საზოგადოებრივ მაუწყებელზე, კვირის მთავარ ანალიტიკურ გადაცემაში რამდენიმე დღით ადრე განხორციელებულ ზენოლის ფაქტზე ჰყვებოდა. „ბათუმელების“ პრობლემით ტელევიზია „მაესტრო“, „რადიო თავისუფლება“, რადიო „უცნობი“ და ინტერნეტ ტელევიზია „ITV“-იც დაინტერესდნენ. თუმცა „ბათუმელების“ საქმე დღემდე არ გაუშუქებიათ ხელისუფლების მიერ კონტროლებად ნაციონალურ კომერციულ არხებს „რუსთავი 2“-სა და „იმედს“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა, შოთა უტიასვილიმა განაცხადა, რომ დაიწყო შიდა მოკვლევა: „საქმეში აშკარა შანტაჟის ნიშნებია, გენერალური ინსპექცია ძალიან ინტენსიურად მუშაობს ამ საკითხებზე“, – განაცხადა უტიასვილიმა.

„ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენ განცხადებაზე ჰქონდათ რეაქცია, გამოგვეხმაურნენ“, – ამბობს გაზეთ „ბათუმელების“ მთავარი რედაქტორი ეთერ თურაძე.

პატარა, მაგრამ ძლიერი რეგიონული გაზეთის მიმართ მაღალი ინტერესი და ხალხის მხარდაჭერა ორმა ფაქტორმა განაპირობა: გაზეთმა ზენოლის შესახებ ხმამაღლა განაცხადა და მას აქვს საზოგადოების ნდობა. ეს ნდობა კი „ბათუმელებმა“ ისეთი მოვლენების გაშუქებით მოიპოვა, რომელთა მნიშვნელობა რეგიონულ მასშტაბს სცდებოდა.

საზოგადოებაში სწორედ „ბათუმელებმა“ გააჩინეს კითხვის ნიშნები ყოფილი სერჟანტის როინ შავაძის მკვლელობის შესახებ. ეს ამბავი მხოლოდ მას შემდეგ გახდა ფართო განსჯის საგანი, რაც „ბათუმელებმა“ დეტალები გამოიძიეს და მკითხველს ოფიციალური ინფორმაციის საწინააღმდეგო ფაქტები უჩვენეს.

„ბათუმელები“ ერთადერთი მედია საშუალება იყო, ვინც სპეცსამსახურის თანამშრომლის, ზედმეტსახელად „მაიმუნას“, მიერ ჩადენილ დანაშაულზე დაწერა და იმ გოგონაზე მოუყვა მკი-

თხველს, რომელიც „მაიმუნამ“ სასტიკად სცემა, შემდეგ კი გააუპატიურა. სტატიის მომზადების პროცესში გაზეთის რედაქტორს შესთავაზეს მისი ერთ-ერთი თანამშრომლის ქმრის ციხიდან გათავისუფლება, სტატიაზე უარის სანაცვლოდ, თუმცა გაზეთში სტატია გამოქვეყნდა.

2008 წლის ზაფხულში, გაზეთ „ბათუმელებს“ მუქარის წერილში ატყობინებდნენ, რომ მათ დაუზიანეს ვებგვერდი და მალე ამასვე გაუკეთებდნენ რედაქციას. აგვისტოს ომის დღეებში „ბათუმელებმა“ 24 საათში შექმნეს ალტერნატიული ინტერნეტ გვერდი და ომის შესახებ ინფორმაციას ბლოგზე აქვეყნებდნენ.

გასული წლის ზაფხულში გაზეთმა მუქარის წერილი მიიღო, სადაც ეწერა, რომ ერთ-ერთ ჟურნალისტს მკვდარს იპოვიდნენ „პირში გაზეთგარჩილს“. „ბათუმელებმა“ პროკურატურას მიმართა,

# ჩვენ ვისწავლით საკუთარი თავის დასვას

ინტერვიუ გაზეთ „ბათუმელების“ მთავარ რედაქტორ  
ეთერ თურაძესთან

„ბათუმელების“ პირველი ნომერი ჯერ კიდევ მაშინ გამოვიდა, როდესაც აჭარას ასლან აბაშიძე მართავდა. გაზეთის თანამშრომლებს კარგად ახსოვთ ის დრო, როდესაც ხელისუფლების ზენოლა ფიზიკურ ანგარიშსწორებას ნიშნავდა. თუმცა, გაზეთის მთავარი რედაქტორი ამბობს, რომ დღეს თავისუფლების შენარჩუნება კიდევ უფრო ძნელია.

და ამ მიმართვის შესახებ ინფორმაცია საკუთარ გვერდებზე გაავრცელა. ნომრის გამოსვლის მეორე დღეს მუქარის წერილი განმეორდა. „თქვენ გგონიათ პროკურატურა გამოიძიებს?“ – ეწერა მუქარის წერილში. შემთხვევიდან წელიწად-ნახევრის შემდეგაც მუქარის წერილის ავტორი არ არის დადგენილი.

„ბათუმელებმა“ პროკურატურას მისი ჟურნალისტის ნათია როყვას საქმიანობის შეზღუდვის მცდელობის შესახებაც აცნობა. სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოსვლა და ფოტოების გადაღება ნათიამ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც დაინახა, რომ ერთ-ერთი სახლიდან ნიღბიანები ნივთებს ქუჩაში ყრიდნენ. სამართალდამცავებმა ნათიას გადაღების შეწყვეტა მოსთხოვეს. „გოგო, რით ვერ გაიგე, ქუჩა საჯარო ადგილი იქამდეა, სანამ სპეცოპერაცია არ ტარდება... არ მინტერესებს შენი ჟურნალისტობა... საკანში გამოგკეტავ“, – ასეთი აუდიო ჩანაწერის გაკეთება ნათიამ სამართალდამცავებთან ჭიდილში მოახერხა. ბოლოს ის მანქანაში ჩასვეს და ადგილს გაარიდეს. პროკურატურამ ისე დაადგინა, რომ ნათია როყვას ნების სანინაალმდეგო არაფერი მომხდარა, რომ ამ ჩანაწერით არ დაინტერესებულა და არც დაზარალებული დაუკითხავს. წინასწარი გამოძიება არ დაიწყო.

მიუხედავად იმისა, რომ თედო ჯორბენაძეზე ზენოლის ფაქტთან დაკავშირებით გაზეთის რამდენიმე თანამშრომელი უკვე დაიკითხა და შს სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო შიდა მოკვლევა, მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაცია შეიძლება არც გახდეს სისხლის სამართლის წარმოების დაწყების საფუძველი. ინსპექცია მხოლოდ სამინისტროს შიდა კონტროლის მექანიზმია.

„ბათუმელებზე“ ზენოლა მათი დაარსებიდან, 2001 წლიდან ერთ წელიწადში დაიწყო. ასლან აბაშიძის მმართველობამ გაზეთი 2002 წელს დახურა. მეორედ დაარსების შემდეგ გაზეთის თანამშრომლებზე ზენოლა, მათ შორის ფიზიკურიც, საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა. აჭარაში 2004 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გაზეთმა „ბათუმელებმა“ მოახერხა დამოუკიდებელ მედიად დარჩენა. დაარსების დღიდან ის უცხოური ფონდების გრანტებით ინარჩუნებს ფინანსურ დამოუკიდებლობას. დღემდე, არაერთი პრობლემის მიუხედავად, გაზეთი ახერხებს თავის გადარჩენას და თან, ჟურნალისტური ეთიკისა და სტანდარტების დაცვით, საკუთარი ღირებულებების ერთგულად დარჩენას. **■**



სურათი: ილია ბაქრაძე/პოლიტიკა

**26 ნოემბერს თქვენ ოფიციალურად განაცხადეთ ზენოლის შესახებ და მალევე მიმართეთ საერთაშორისო საზოგადოებას დახმარებისთვის. რატომ გადაწყვიტეთ, რომ ეს ფაქტი საჯარო გამხდარიყო?**

რაც მალე გავიტანდი ამ ინფორმაციას რედაქციის გარეთ, მით სწრაფად შემცირდებოდა ზენოლის რისკი.

ჩვენ რომ არ გაგვეხმაურებინა ეს ფაქტი, თედო შანტაყის წყაროდ დარჩებოდა. თუკი შეუძლიათ გააყალბონ პირადი ცხოვრების დეტალები, რომელიც კანონით არის დაცული, რა გარანტია მაქვს, რომ ხვალ აგენტობას არ დამნამებენ? ინფორმაციის შენახვის შემთხვევაში, უფრო მეტი საფრთხე არსებობდა. პრეცედენტის შექმნის საშიშროება არსებობდა.

**როგორ ფიქრობთ, შანტაჟის ეს მცდელობა იყო თუ არა შეთანხმებული მაღალი რანგის ჩინოვნიკებთან?**

ჩვენ ორჯერ მოგვინია შსს-ს შენობაში მისვლა. ერთხელ გამოგვიშვეს – როგორც ჩანს, ამ პირებმა კონსულტაცია გაიარეს ვილაც ზემდგომთან. შემდეგ ისევ გვთხოვეს უკან დაბრუნება. რთული სათქმელია, ეს ზემდგომი პირი ბათუმშია თუ თბილისში, მაგრამ ამჟამად იყო, რომ ადამიანები, რომლებიც ჩვენ გვესაუბრნენ, არ ილებდნენ გადაწყვეტილებებს. პოლიციის ან სხვა სახელმწიფო სტრუქტურის ჩინოვნიკის ჩანერისას, თუნდაც უმნიშვნელო საკითხზე, ყოველთვის გვთხოვენ, ნებართვა თბილისიდან ავიღოთ.

**თქვენი გაზეთის არსებობის მანძილზე რა ტიპის ზენოლა გიგრძნობდათ და ვისგან?**

ჩვენ ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში დავაარსეთ გაზეთი. მაშინ ხელისუფლებისგან უმნიშვნელოდ განსხვავებული აზრის ქონაც მიუღებელი იყო. იმ პერიოდში იყო ფიზიკური ზენოლა. მზად ვიყავით და ზუსტად ვიცოდით, რომ ცემის იქით არ წავიდოდნენ. უამრავი აპარატი დაუმტკრევიათ ჩვენთვის და ბევრი შემთხვევა იყო ფიზიკური ანგარიშსწორების. უკვე ვცნობდით კიდევ იმ ადამიანებს, ვისაც შეიძლებოდა ვეცემით და უბრალოდ გავრბოდით ხოლმე.

ასლა მეთოდები შეიცვალა. დღეს აღარავინ გცემს, მაგრამ შეიძლება

გამოგვაცალა, ძალიან დიდი სტრესი იყო ჟურნალისტებისთვისაც. იმ დღეებში მუშაობა გვიჭირდა.

**მუდმივი ზენოლის ფონზე, თუ გრძნობთ მხარდაჭერას?**

ჟურნალისტიკაში თუ მიდიხარ, პრობლემებს მუდამ უნდა ელოდე და მართაც რომ დარჩე, შენი საქმე მაინც უნდა აკეთო. გულჩვილი ადამიანი არ ვარ, მაგრამ რომ გავიგე, ჩვენი მხარდასაჭერი აქცია იმართებოდა, შემდეგ კი ამ აქციის კადრები ვნახე, სიმართლე გითხრათ, გული ამიჩოყდა. ამას ნამდვილად არ ველოდი.

ჩვენ სულ გვექონდა არასამთავრობოების დახმარება, სასამართლო პროცესებზე „საია“ რომ არ გვეხმარებოდეს, ძალიან გაგვიჭირდებოდა არსებობა. სახალხო დამცველის აპარატი ყოველთვის პირველი იყო, ვინც ჩვენს პრობლემებზე საუბრობდა. უფრო იშვიათად გრძნობთ მკითხველის მხარდაჭერას. შეიძლება ვცდები, მაგრამ ვფიქრობ, რომ საზოგადოება უფრო აქტიური უნდა იყოს, რომ იმის გაკეთება, რაც ჩვენ შემთხვევაში მოხდა, არავის მოუვიდეს თავში. რომ არ ყოფილიყო მხარდაჭერა, შეიძლებოდა უარესი შედეგი მიგველო.

**როგორ მოახერხა გაზეთმა რევოლუციის შემდეგ დამოუკიდებლობის შენარჩუნება?**

გაზეთი „ბათუმელები“ ვარდების რევოლუციის შემდეგ არ იქცა ხე-

ნართვეს და განუკითხაობა იყო, ისიც გავაშუქეთ. გაჩნდა პრეტენზია, – თქვენ ხომ ჩვენიანები ხართ, რატომ აკეთებთ ამასო? ჩვენ ვარდების რევოლუციამდეც მედია ვიყავით და მერეც. ყოველთვის ვწერდით იმ პრობლემებზე, რაც ძველ სისტემას ჰქონდა, და იმაზეც, რა პრობლემებსაც ახალ სისტემაში ვხედავდით.

**რაში ხედავთ გამოსავალს შექმნილი რთული ვითარებიდან და რა არის თქვენი მთავარი გამოწვევა დღეს?**

ერთი მხრივ, არ ვწყვეტთ პროფესიულ განვითარებას და, მეორე მხრივ, მუდმივად ვცდილობთ, საკუთარ გამოცდილებაზე ვისწავლოთ. როდესაც გაზეთს ექმნიდით, წარმოდგენა არ გვექონდა, რა იყო თავისუფალი მედია. 2007 წლიდან კი პროფესიული კოდექსი გვაქვს და მას ვემორჩილებით. მთავარი გამოწვევაა, გავზარდოთ ტირაჟი პროფესიონალიზმის გაუმჯობესების ხარჯზე და საქართველოში ბეჭდური გამოცემის კომერციულ ორგანიზმად ქცევის ერთი პრეცედენტი მაინც შევქმნათ. შევეცდებით, უფრო ფრთხილები ვიყოთ, გავთვავლოთ, რა შეიძლება დაგვემართოს. გვინდა, რომ საკუთარი თავის დაცვა თავად მოვახერხოთ და არ დაგვჭირდეს საზოგადოების შეწუხება. დიახ, მერიდება, რადგან მუდმივად მიწვეს ადამიანებისთვის იმის თხოვნა, რომ გვერდში დგომა გვჭირდება. არ არის ეს სასიამოვნო განცდა, დამიჯერეთ. გამოსავალს ვხედავთ გაერთიანებაში, ჩვენ მართლვერაფერს გავხედებით. თუ გარემო არ

■ აბაშიძის მმართველობის პერიოდში ზუსტად ვიცოდით, რომ ცემის იქით არ წავიდოდნენ, ასლა ფსიქოლოგიური ზენოლაა და ეს გაცილებით უფრო მძიმეა.

აბსოლუტურად დაგენგრეს თავზე ყველაფერი, თუ მოინდომებენ. სხვა მეთოდებით ცდილობენ, მოგაქციონ თავიანთი გავლენის ქვეშ. ტერორის ქვეშ გვინევს მუშაობა. ასლა არის ფსიქოლოგიური ზენოლა და ეს უფრო მძიმეა. თითქმის ყოველ 6 თვეში ერთხელ გვაქვს პრობლემები. ცოტას დავწყნარდებით, გამოვალთ სტრესიდან და ახალი ფაქტი ჩნდება. თედოს შემთხვევამ ყველაფრის ძალა

ლისუფლების შემადგენელ რგოლად, რაც დაემართა „რუსთავი 2“-ს, თუმცა ამის საფრთხე მაშინ ძალიან დიდი იყო. ჩვენ ვთქვით, რომ გვინდა ვიყოთ ჟურნალისტები. მეორე ნომერშივე დავსვით კითხვა – სად წავიდა ასლან აბაშიძის ქონება? გავარკვიეთ, რომ მისი ქონება ახალ ხელისუფლებაში მოსულმა პირებმა დაიტაცეს და დაინწყეთ კრიტიკული სტატიების წერა. ბიზნესმენებს რომ მანქანები

შეიცვალა საქართველოში, კანონმდებლობის პატივისცემა არ გაჩნდა საზოგადოებაში, ბიზნეს გარემო არ გათავისუფლდა წნეხისგან და ხელისუფლებამ თავის თავში ძალა არ მოძებნა, უარი თქვას მედიის კონტროლზე, საზოგადოება და მედია მუდამ პოლარიზებული და დაპირისპირებული იქნება. ■

ესაუბრა ანიტა თვაური





ადამიანის უფლებები და სამართალი

# ცვლილებები კონსტიტუციის წინააღმდეგ

ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა უკვე გაატარა და რომელთა მიღებასაც ახლა გეგმავს, ადამიანის უფლებათა დეკლარაციას და საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

## ნინო ბექიშვილი

შუშის შენობები, რომლებიც სიმბოლოურად პოლიციის გამჭვირვალე და სუფთა მუშაობას გამოხატავს, თბილისის გარდა, საქართველოს თითქმის ყველა დიდი ქალაქის რეალობაცაა. მაგრამ ადამიანის უფლებათა დამცველები ამბობენ, რომ საქართველოში ადამიანის უფლებები სამართალდამცავების მხრიდანაც ირღვევა და საკანონმდებლო ცვლილებებითაც. პარლამენტმა, საზოგადოების პროტესტის მიუხედავად, მაინც გაატარა ცვლილებები, რომლებიც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს ზღუდავს.

2009 წლის 1 ოქტომბერს ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიამ ორი წევრის დასკვნა გამოაქვეყნა იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა ამ ზაფხულს მიიღო. ცვლილებები „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ კანონებს შეეხო.

ვენეციის კომისიის ერთ-ერთი წევრი, ირლანდიელი ფილონა ფლანაგანი აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილებები ძალიან სწრაფად მიიღო – მაშინ, როდესაც ოპოზიციურმა პარტიებმა პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით რუსთაველის პროსპექტი გადაკეტეს. მისი აზრით, საკანონმ-

დებლო ცვლილებები თითქმის ყოველთვის არაადეკვატურია, როდესაც მათ კონკრეტული ინციდენტების აღსაკვეთად იღებენ.

ამავე დროს, საქართველოს პარლამენტი არ დაელოდა ვენეციის კომისიის დასკვნას. აგვისტოში პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი კომისიის დასკვნებს გაითვალისწინებდა და თუკი კომისიას რაიმე პრეტენზია ექნებოდა, უკვე მიღებულ კანონებს შეცვლიდა. რესპუბლიკური პარტიის წევრი ვახტანგ ხმალაძე ამბობს, რომ „ვენეციის კომისიის დასკვნები, როგორც წესი, სარეკომენდაციო ხასიათისაა. თუმცა, ევროპის ქვეყნებში ამ რეკომენდაციების შესრულება ლამის სავალდებულოა“.

გამკაცრებული კანონმდებლობის პარალელურად, სამართალდამცავების მიერ ადამიანის უფლებები ირღვევა. კონსტიტუციის 25-ე მუხლი საქართველოს მოქალაქეებს უფლებას გვაძლევს, წინასწარი ნებართვის გარეშე შევიკრიბოთ საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისევე გარეთ. მიტინგების ჩასატარებლად ნებართვის აღება საჭირო არ არის, მაგრამ თუკი შეკრება ან მანიფესტაცია ხალხისა და ტრანსპორტის სავალ ნაწილზე იმართება, სავალდებულოა ხელისუფლების ორგანოების წინასწარი გაფრთხილება. ადმინისტრაციულ ორგანოს გაფრთხილებაზე

უარის თქმის უფლება არა აქვს, მხოლოდ რეკომენდაციებს უნდა დასჯერდეს. 23 ნოემბერს საქართველოს სამი მოქალაქე – მოძრაობა „7 ნოემბრის“ აქტივისტები ჯაბა ჯიშკარიანი, დაჩი ცაგურია და ირაკლი კორძაია პარლამენტის წინ ტრანსპარანტებით ხელში ტროტუარზე ჩამოსხდნენ. მანამდე მერიას მიმართეს გაფრთხილებით, მაგრამ მერიამ მათი გაფრთხილება იმ მიზეზით არ მიიღო, რომ 23 ნოემბერს გიორგობასთან და ვარდების რევოლუციის წლისთავთან დაკავშირებით რაღაც ღონისძიებები უნდა ჩატარებულიყო. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ამის უფლება მერიას არ ჰქონდა.

პოლიციამ სამი მომიტინგე პარლამენტის წინ, კიბეებზე ჩამოსხდომისთანავე დააკავა, მიუხედავად იმისა, რომ მათ კანონი არ დაურღვევიათ: არც ქუჩა გადაუკეტავთ და არც 20 მეტრის რადიუსზე მიახლოებიან პარლამენტის შენობას. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ დაკავებულები იმავე დღეს 500-500 ლარით დააჯარიმა, მიზეზად კი ის დასახელდა, რომ მომიტინგეებმა პოლიციას „ვერწარუდგინეს სათანადო ნებართვა“, არ დაემორჩილნენ პოლიციელებს, წინააღმდეგობა გაუწიეს და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მათ. საინტერესოა, რომ მოსამართლემ არ გაითვალისწინა დაცვის



მოდრაობა „7 ნოემბრის“ აქტივისტების დაკავება პარლამენტის წინ, თბილისი, 23 ნოემბერი 2009

მოთხოვნა და არ განიხილა ის ვიდეომასალა, რაც itv.ge-ს ჟურნალისტებმა სასამართლოზე წარადგინეს. კადრებში კარგად ჩანს, რომ მომიტინგეები, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, მშვიდად ჩასხდნენ მანქანაში.

ამ საქმესთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველმა განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ „დაირღვა მოქალაქეების დაჩივების ცაგურისა, ჯაბა ჯიშკარიანისა და ირაკლი კორძაიას კონსტიტუციით გათვალისწინებული შეკრებებისა და მანიფესტაციების თავისუფლება“. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ცაგურისა, კორძაიას და ჯიშკარიანის საქმის სტრასბურგის ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში გასაჩივრებას გეგმავს. ასოციაციის ხელმძღვანელის, თამარ ხიდაშელის აზრით, ეს იყო „უკანონო ქმედებათა მთელი ჯაჭვი და დაირღვა გამოხატვისა და შეკრებების კონსტიტუციური უფლება“.

ქართველ სამართალდამცავებს მათი დაკავების უფლება გამკაცრებული კანონმდებლობის მიხედვითაც არ ჰქონდათ: საქართველოს სახალხო დამცველის 2009 წლის 1 ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში ნათქვამია, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს ხელისუფლების მიერ შეკრების და მანიფესტაციების შეწყვეტას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან კანონსაწინააღმდეგო ხასიათი მიიღო. შეწყვეტა კი შესაძლებელი ხდება მხოლოდ ქმედების განხორციელების შემდგომ“.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ასევე აპირებს მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და გასაჩივროს კანონის ის ნორმები, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის ზაფხულში, დაჩქარებული წესით მიიღო. ასოციაციის წარმომადგენლის, გიორგი გოცირიძის თქმით, ისინი საკონსტიტუციო სასამართლოში დაჩივებულნი არიან, ჯაბა ჯიშკარიანს და ირაკლი კორძაიას სახელით შეიტანენ სარჩელს, რადგანაც მათ მიმართ არაერთხელ

## ■ პარლამენტი აპირებს „პოლიციის შესახებ“ კანონში ისეთი ცვლილების შეტანას, რომელიც ადამიანის უფლებებს საფრთხეს შეუქმნის.

გამოიყენეს გამკაცრებული კანონმდებლობა და დაირღვა მათი უფლებები. კერძოდ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ კანონის მე-11.1. მუხლის გასაჩივრებას აპირებს, რომლის მიხედვითაც, მომიტინგეებს ეკრძალებათ ქუჩის გადაკეტვა იმ შემთხვევაში, თუ ცოტანი არიან და ტროტუარზეც დაეტევიან. სახალხო დამცველის 2009 წლის 1 ნახევრის მოხსენებაში ცალკე თავი ეთმობა ამ სამ განახლებულ კანონს და ნათქვამია, რომ „აღნიშნულ ცვლილებათა პაკეტით დადგინილი შეზღუდვები უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას“. ის, რომ საკანონმდებლო ცვლილებები არა მხოლოდ ქართველმა ექსპერტებმა, არამედ ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის ორი წევრმაც „არაპროპორციულად“ მიიჩნია, ახალგაზრდა იურისტებს საკონსტიტუციო სასამართლოში თავიანთი მოსაზრებების დაცვაში დაეხმარებათ. „ჩვენი პოზიცია იყო და რჩება ის, რომ რაღაც შეზღუდვა უნდა იყოს, – ამბობს გიორგი გოცირიძე, – ნამდვილად არ შეიძლება განუსაზღვრელი დროით იყოს გადაკეტილი ქალაქის ქუჩები, მაგრამ შეზღუდვა, სწორედ დროის მხრივ, გონივრული ვადით უნდა დაწესდეს და არა დემონსტრანტთა რაოდენობის მიხედვით. ყველას უნდა ჰქონდეს პროტესტის ამ ფორმით გამოხატვის უფლება“.

უფლებადამცველების თქმით, ადამიანის უფლებებს საფრთხეს უქმნის ის საკანონმდებლო ინიციატივებიც, რომელთა მიღებასაც საქართველოს პარლამენტი ახლა აპირებს. ცვლილებები შედის „პოლიციის შესახებ“ კანონში. ადამიანის უფლებათა დამცველების ყურადღება მე-9 მუხლზე მიიპყრო, სადაც ნათქვამია, რომ „საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით დასახლებულ პუნქტებში მოაწყოს რეიდები. რეიდის დროს პოლიციას უფლება აქვს, კანონით დადგინილი წესით გააჩეროს და შეამოწმოს პირი და სატრანსპორტო საშუალება“. გიორგი გოცირიძე ამბობს, რომ „ძველ კანონმდებლობას ემატება მხოლოდ ერთი სიტყვა – „შეამოწმოს“. ქართულ კანონმდებლობაში ამ სიტყვის ზუსტი დეფინიცია არ გვხვდება, და ეს „გაჩხრეკას“ ნიშნავს, უბრალოდ შეფუთულია, როგორც „შემოწმება“. ეს ნორმა სამართალდამცავებს აძ-

ლევს შესაძლებლობას, ნებისმიერი პირი შეამოწმონ, რომელიც რეიდის ჩატარების ადგილას მოხვდება. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მკაცრადაა განსაზღვრული, როდის შეიძლება მოხდეს გაჩხრეკა: მაშინ, როდესაც ადამიანი ეჭვმიტანილია დანაშაულში. ამ კანონის მიხედვით კი, შეიძლება, საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, უბრალო გამგლეული გაჩხრეკონ“. იმავე მოსაზრებას იზიარებს ვახტანგ ხმალაძეც: „ეს ნორმა პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლს, რომლის მიხედვითაც, „არავის აქვს უფლება, შევიდეს საცხოვრებელ ბინაში ან სხვა კერძო ფართობზე, მფლობელ პირთა სანაღმდეგოდ, და ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“. გასსოვთ ალბათ, როდესაც მილიცია, განსაკუთრებით 92 წლის შემდეგ, რეიდებს ატარებდა და მანქანებს ჩხრეკდა, ზოგან ხელყუმბარებს, ზოგან ნარკოტიკებს, ზოგან იარაღს პოულობდნენ. ძალიან დიდი ალბათობა არსებობს, რომ ამ კანონის ამოქმედების შემდეგაც იგივე განმეორდეს“. ადვოკატი ლია მუხაშვილი ამბობს, რომ პოლიციის კანონში ამ ცვლილების მიღების შემთხვევაში, საპატრულო და კრიმინალური პოლიციის უფლებამოსილების აღრევა მოხდება. მისი თქმით, საპატრულო პოლიციას მოქალაქეთა ჩხრეკის უფლება არც ერთ ქვეყანაში არ აქვს.

პოლიციის კანონში ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით უკვე მიიღო. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა მედიით რამდენჯერმე განმარტეს, რომ კანონში ახალი თითქმის არაფერია და მხოლოდ რამდენიმე დეტალის დაზუსტება მოხდა. ახლა კანონპროექტის განხილვა სხვადასხვა საპარლამენტო კომისიაში მიმდინარეობს. მოსმენებში მონაწილეობს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რომელმაც საკუთარი მოსაზრებები უკვე წარუდგინა პარლამენტს.

არსებული კანონმდებლობით, უკვე დადგენილია შეკრებებისა და მანიფესტაციების გარკვეული შეზღუდვები, გამკაცრებულია ადმინისტრაციული სახდელი. მეორე მხრივ კი, სამართალდამცავები საკმაოდ თავისუფლად არღვევენ ადამიანის უფლებებს. ძნელი სათქმელია, რატომ გახდა აუცილებელი, რომ პოლიციას ნებისმიერი მოქალაქის გაჩხრეკის უფლება მიეცეს. ■

# ექსპერიმენტების მეორე წრე

ეკონომიკის ორ უმნიშვნელოვანეს სეგმენტზე სახელმწიფომ პრაქტიკულად წარუმატებლად გამოაცხადა და გააუქმა ის სტრუქტურული რეფორმები, რაც ლიბერალიზაციის დროშით ბოლო წლებში მიმდინარეობდა.

## რევაზ საყვარიშვილი



ფინანსური პოლიცია კაფე „ნიკალაში“, თბილისი 16 ივნისი 2005

1 დეკემბერს, მოგესხენებათ, კალენდარული ზამთარი დაიწყო. თუმცა, „სეზონის შეცვლა“ არა მხოლოდ კალენდარული საზომით მოხდა. სწორედ ამ დღეს ქვეყნის ეკონომიკის ორ უმნიშვნელოვანეს სეგმენტზე „ძველი დრო დაბრუნდა“: ერთგან უწინდელი სცენარით ინტეგრაცია განხორციელდა (ეროვნული ბანკი და საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო კვლავ ერთ უწყებად გაერთიანდა), მეორეგან კი – დეზინტეგრაცია (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს საფინანსო პოლიცია გამოეყო და კვლავ ცალკე ერთეულად იარსებებს).

როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთად, ორივე ცვლილება ეკონომიკური პეიზაჟის მნიშვნელოვან ცვლილებას მოასწავებს. პრაქტიკულად, წარუმატებლად გამოცხადებული და გაუქმებულია ის სტრუქტურული რეფორმები, რაც ლიბერალიზაციის დროშით ამ სფეროებში ბოლო წლებში მიმდინარეობდა.

პოსტრევივოლუციური წლების განმავლობაში გეგმავალიერად გამოხშირული და დასუსტებული ეროვნული ბანკი ძველი პოზიციების დაბრუნებას იწყებს. არცთუ დიდი ხნის წინ ის ლამის ფინანსთა სამინისტროს დეპარტამენტის

დონემდე იყო ჩამოქვეითებული და წელიწად-წახევრის განმავლობაში სულაც პრეზიდენტის გარეშე იარსებდა. ახლა კი, კანონის ახალი რედაქციის თანახმად, ის იმაზე მეტად ძლიერდება, ვიდრე ოდესმე ყოფილა; კერძოდ, ეროვნული ბანკი გახდა კომერციული ბანკების, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის ფულადი გზავნილების განმხორციელებელი პირების, საბროკერო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, ასევე, სადაზღვევო კომპანიებისა და არასახელმწიფო საპენსიო სქემების დამფუძნებლების საზედამხედველო ორგანო, ანუ საფინანსო ბაზრის მეგარეგულატორი.

თუმცა ამით მისი გაძლიერების კამპანია არ სრულდება. დეველოპერების ნაწილის ინიციატივით, ეროვნულმა ბანკმა კონსტრუქციული სამშენებლო სექტორსაც გაუწიოს. მართალია, ეს ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნული ბანკი ქვეყნის საფინანსო ხელისუფლებაში თავის ადგილს იბრუნებს და ეს ნამდვილად არ არის ურიგო გადაწყვეტილება, რასაც ასე გადაჭრით ვერ ვიტყვივით მეორე სტრუქტურულ რეფორ-

## ფინანსური პოლიცია აღდგა სწორედ იმ თავზარდამცემი ფორმით, რომლის მიუღებლობაც საფუძვლად დაედო მისი გაუქმების თაობაზე 2007 წლის გადაწყვეტილებას.

მაზე – ფინანსური პოლიციის სრულფასოვან რეინკარნაციაზე.

ფინანსური პოლიცია 2007 წელს გაუქმდა და ის ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურად საბაჟო და საგადასახადო დეპარტამენტებთან ერთად „გამოიძივნა“. მაშინ ეს რეფორმა უდიდეს წინ გადადგმულ ნაბიჯად შეირაცხა, რადგან გადაამხდელს, სამის მაგივრად, ერთ უწყებასთან ურთიერთობის ფუფუნება მისცა. გარდა ამისა, აშკარა იყო ფინანსური პოლიციის უკიდურესად ნეგატიური იმიჯი და საქმიანობის პრაქტიკა, რომელიც ხშირად აღარანაირ ჩარჩოებში არ ჯდებოდა. ასე რომ, მისი ცალკე არსებული სახით გაუქმება ერ-



თნიშნად პოზიტიურად იყო აღქმული. თუმცა, გაუქმებიდან ორ წელიწადში ხელისუფლებამ ისევ ძველი მოდელის დაბრუნება არჩია.

ამჟამინდელი გადაწყვეტილებით, ფინანსურ პოლიციას ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ეწოდა და გადაწყდა, რომ მას ეყოლება სპეცდანიშნულების რაზმი და ექნება ფიზიკური იძულებისა და სპეცსამუშაოებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება; პირების

ფონი, რომელზეც ფინანსური პოლიციის ხელახალი აღზევება ხდება.

შემოსავლების სამსახური დღეს, პრაქტიკულად, ყველა მოქმედ კომპანიას ამონმებს და მილიონებიან ჯარიმას პანტაუნტით არიცხავს.

ბოლო პერიოდში შემოსავლების სამსახურმა არაერთი მილიონი ლარის მოცულობის ჯარიმები დააკისრა კომპანია „თბილისის აეროპორტის“ ოპერატორ „ტავ ჯორჯის“ (53 მილიონი ლარი), „ნიკორას“ (15 მილიონი), „ფეროს“ (10

ზე ხდება ფინანსური პოლიციის აღდგენა იმ უფლებებით და შესაძლებლობებით, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ. ცხადია, რომ ეს ფაქტი ღიად მიუთითებს ხელისუფლების სურვილზე, უფრო მკაცრად მოახდინოს საგადასახადო ადმინისტრირება და კრიზისის პირობებშიც მაქსიმუმი ამოიღოს საქმიანი ველიდან. თუმცა, ალბათ არც ის უნდა იყოს რთული დასანახი, რომ უკიდევანოდ ძლიერი ფინანსური პოლიცია არ არის საუკეთესო გზა საგადასახადო შემოსავლების

## ■ კანონის ახალი რედაქციის თანახმად, ეროვნული ბანკი იმაზე მეტად ძლიერდება, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

დაკავებისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, დაუბრკოლებლად შევა ბინებში და ორგანიზაციების შენობებში; განახორციელებს შემონმების პროცედურებს დასახლებულ პუნქტებში, მაგისტრალებსა და ტერიტორიულ წყლებში; შექმნის კონსპირაციული თანამშრომლების ქსელს და ა.შ.

ერთი სიტყვით, ფინანსური პოლიცია აღდგა სწორედ იმ თავზარდამცემი ფორმით, რომლის მიუღებლობაც გარკვეულწილად საფუძვლად დაედო მისი გაუქმების თაობაზე 2007 წლის გადაწყვეტილებას. ქვეყანაში აგრესიული ფინანსური პოლიციის აღდგენის გადაწყვეტილება პოზიტიურად არ მიუღიათ; მით უფრო, რომ მისი საქმიანობის შესახებ არცთუ სახარბიელო მოგონებები არსებობს. სახელმწიფო კი ნოვატორულ ლიბერტარიანულ იდეებს აფრქევს და ბიზნესთან ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყებას ზეიმობს.

გასაკვირი არ არის, რომ საგადასახადო პოლიციის იმიჯი განისაზღვრება სწორედ იმ ხისტი და სწორხაზოვანი ეგზეკუციებით, რომლებსაც ეს სამსახური 2004-2006 წლებში იყენებდა. მაშინ გადასახადის დამალვაში ეჭვმიტანილ ადამიანთა ბინებსა თუ ოფისებში შეიარაღებული ნიღბიანების შეჭრა, ცემაცემა და სრული განუკითხაობა სავსებით ჩვეულებრივი მოვლა იყო.

დღეს ბიზნესისთვის ყველაზე შემამოფოთებელი სწორედ ის არის, რომ სახელგადარქმეული ფინანსური პოლიციის ფუნქცია, პრაქტიკულად, იგივე დარჩება, ოღონდ – გაცილებით მეტი ძალაუფლებით. და რაც არანაკლებ დამაფიქრებელია, ეს არის ის ზოგადი

მილიონი), „ელიტ ელექტრონიკს“ (7 მილიონი), „ყაზბეგს“ (3,5 მილიონი), „პეპსის“ (2 მილიონი), ასევე – ბევრ სხვასაც.

მსხვილ ბიზნესზე გადასახადების ამოსაღებად მიმართული იერიშის დაწყების პირველი ნიშანი იყო „ელიტ ელექტრონიკსის“ სავაჭრო ობიექტიდან ფულის ამოღების ოპერაცია წელს აგვისტოში. სახელმწიფოსა და კომპანიას შორის დავა მიმდინარეობს სწორედ ფინანსური პოლიციის მიერ 2007 წელს დარიცხულ 7 მილიონ ლარზე. წელს, აგვისტოში სახელმწიფომ კომპანიიდან ფულის ამოღება მაშინ დაიწყო, როცა ამ საკითხზე სასამართლო პროცესები ჯერაც არ იყო დასრულებული.

აგორებული ტალღა წელს-წელა ყველას მისწვდა: „ელიტ ელექტრონიკსის“ შემდეგ საგადასახადო სამსახური საიუველერი მაღაზიების ქსელებში შევიდა. შედარებით უხმაუროდ ჩაიარა რეიდებმა რესტორნებსა და კაზინოებში. სამაგიეროდ, იოლი შესამჩნევი გახდა მაღაზიების და ბაზრობების შემონმება, რადგან ეს რეიდები რამდენიმე მათგანის დაკეტვით დასრულდა. „მეგალინის“, „კიდობის“, „პანდას“, „ჯი-თი-სი“-ს, ასევე ლილოს და ელიავას ბაზრობების სავაჭრო ქსელებში მაღაზიების ნაწილი დღესაც დალუქულია. ზოგმა კი ისე დაასრულა არსებობა, რომ გახსნა აღარასდროს ელირსება. ცალკე საუბრის თემაა შემოსავლების სამსახურის მიერ მობილური კავშირგაბმულობის კომპანიების შემონმება, რომელზეც მხარეები ჯერ მხოლოდ ზეპირ განცხადებებს აკეთებენ, თუმცა, საქმე აქაც მრავალმილიონიან განზომილებაში გადადის.

და სწორედ ახლა, სწორედ ასეთ ფონ-

გასაზრდელად, მით უფრო მაშინ, როცა ბიზნეს-აქტივობა დღითი დღე იკლებს.

მუდმივი კამათი თემაზე, კარგია თუ ცუდი საქართველოს საგადასახადო გარემო, საბოლოოდ ორი ფაქტის კონსტატაციამდე მიდის: გადასახადების ოდენობა და განაკვეთები ძალიან კარგია, დაბეგვრის ტექნოლოგია და აღსრულება კი – საშინელი. კარგი საგადასახადო კოდექსი ჩინოვნიკური განმარტებების შედეგად იმდენად მძიმე და გადაულახავი ხდება, რომ მისი თავდაპირველი ღირსებებიდან პრაქტიკაში ბევრი აღარაფერი რჩება.

ერთი მარტივი, მაგრამ ძალიან ნიშანდობლივი მაგალითი: საგადასახადო კოდექსის ახალი განმარტების მიხედვით, კომპანიას ვადაგადაცილებული ან გაფუჭებული პროდუქტის ჩამონერის შესაძლებლობა აღარ აქვს. შესაბამისად, ის ვალდებულია, ასეთი პროდუქტი შემოსავალში აჩვენოს და მოგების გადასახადი გადაიხადოს, რაც ისედაც კრიზისში მყოფი კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას მძიმე ტვირთად აწევს. გადაახდევინო მენარმეს მოგების გადასახადი იმაში, რაშიც, არათუ მოგება არ უნახავს, პირიქით – ზარალი განიცადა, უსამართლო მოთხოვნაა.

ეს, ფაქტობრივად, სახელმწიფოსგან სანქციონებული რეკეტია, რომელიც კანონის დონეზეა აყვანილი. კომპანიას კი მასთან ბრძოლის არანაირი ბერკეტი არ აქვს – სახელმწიფო ამ ფულს მაინც აუცილებლად წაიღებს. მით უფრო ამერიიდან, როცა ამ „წმინდა საქმეს“ კვლავაც ფინანსური პოლიცია შესარულებს – ახალი სახელით და გაფართოებული უფლებებით. **■**

ეკონომიკური კრიზისი

# -5,5% – ახალი ევროდიაბნოზი

ევრობანკის გაანგარიშებით, საქართველოს ეკონომიკაზე კრიზისის მრავალმხრივი დარტყმა იმაზე უფრო ძლიერია, ვიდრე მთავრობაში მიიჩნევენ. საქართველო სწორედ ახლა იწყებს კრიზისის არა მოკლე, არამედ გრძელვადიანი შედეგების მომკას.

რევაზ საყვარიშვილი



როლივე დესკამპსი, ევრობანკის ბიზნეს ჯგუფის დირექტორი

**საბანკო გამოცოცხლებასთან დაკავშირებულ სახელისუფლო ოპტიმიზმს თავად ხელისუფლების შიგნითვე უპირისპირდება რეალობაზე დაფუძნებული პროფესიული სკეპტიციზმი.**

საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კიდევ ერთხელ „შეასწორა“. ამ ცვლილებით ბიუჯეტის შემოსავლები 192 მილიონი ლარით შემცირდა და ფსიქოლოგიურად მნიშვნელოვან ნიშნულს – 5 მილიარდ ლარს ჩამოსცდა.

შემცირებული 192 მილიონიდან 120

მილიონი საგადასახადო შემოსავლების წილად მოდის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბიუჯეტის წინა შესწორებით საგადასახადო შემოსავლების გეგმა უკვე იყო შემცირებული 500 მილიონი ლარით, გამოდის, რომ მხოლოდ ამ პარამეტრით ბიუჯეტი, წლის დასაწყისში დაგეგმილთან შედარებით, 620 მილიონით ნაკლებს მიიღებს.

ალარაფერს ვამბობ სხვა პარამეტრებზე, რომლებიც ანალოგიურ დინამიკას ავლენენ. მაგალითად, იმავე განხილვის საპროგნოზო მაჩვენებელიც, ბიუჯეტის ბოლო შესწორებით, კიდევ 92 მილიონი ლარით შემცირდა. შედეგად, საბოლოო ანგარიშით, შემოსავლების განუხრელი კლების გამო, ბიუჯეტის გასაცემლებმაც კიდევ 213 მილიონით იკლო და ასევე ჩამოსცდა 7-მილიარდიან ნიშნულს.

ეს ციფრები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკა შეუქმნევას განაგრძობს. პარლამენტში წარდგენილ საბიუჯეტო შესწორებებსაც ახლდა ახსნა, რომ ბიუჯეტის შემცირება „ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებს უკავშირდება“. ამ მოვლენათა ლოგიკა და მოსალოდნელი შედეგი კარგად ესმით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსაც, რომლებიც საქართველოსთან დაკავშირებით სულ ახალ ნეგატიურ პროგნოზებს გამოთქვამენ.

საქართველოს მთავრობამ დაარწმუნა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), რომ წელს ეკონომიკის ვარდნა 4%-ზე მეტი არ იქნება. ფონდის უკანასკნელმა მისიამაც სწორედ ეს სავარაუდო მაჩვენებელი მიუთითა. თუმცა, სსფ-ს და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროგნოზი უკვე დააყენა ეჭვქვეშ ქვეყნის ეკონომიკის კიდევ ერთმა მსხვილმა დონორმა –

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, რომლის გათვლებითაც, წელს საქართველოს ეკონომიკის ვარდნა უფრო მასშტაბური, დაახლოებით, 5,5% იქნება.

ევრობანკირების ანალიზით, მოსალოდნელია, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უფრო ღრმა ნეგატიურ ნიშნულზე შენარჩუნდეს და მიუხედავად მთავრობის ფისკალური სტიმულირების მექანიზმებისა, გაისადაც მდგომარეობის გამოსწორების ტემპი გაცილებით ნელი იყოს, ვიდრე მთავრობა იმედოვნებს.

მით უფრო, რომ 2010 წელს გათვალისწინებული ეკონომიკის 2%-იანი ზრდა დამოკიდებული იქნება უცხოური კერძო კაპიტალის განახლებულ შემოდიანებასა და ბანკების მიერ ეკონომიკის აქტიური დაკრედიტების განახლებაზე, რაც ამჟამად, პრობლემური სესხების დიდი მოცულობის გამო, უკიდურესად იზღუდება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოს ხელისუფლების ოპტიმიზმს და კრიზისიდან გამოსვლის თაობაზე უკვე გაკეთებულ ხმამაღალ განცხადებებს ნაკლებად იზიარებს. ბანკის პროგნოზით, კავკასიის ქვეყნებში და, მათ შორის, ცხადია, საქართველოშიც, კრიზისი ჯერ არ დასრულებულა და მისი მძიმე ფაზიდან გამოსვლა ნელი და პრობლემური იქნება.

და აქ მთავარი არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შიგნით არსებული ვითარებაა, არამედ ის გარემოებაც, რომ რეგიონის კიდევ ერთი მოთამაშე – რუსეთის ფედერაცია ჯერაც მძიმე კრიზისულ მდგომარეობაშია და მისი დაძლევა უჭირს. საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს კი საკუთარი ეკონომიკები რუსეთზე

პირდაპირ თუ ირიბად მაინც იმ დონით ჰყავთ მიბმული, რომ ამ გავლენას ვერ გაუზრბიან.

ამიტომაც, ევრობანკის გათვლებით, კრიზისის დასრულებაზე საუბარი მხოლოდ 2 წლის შემდეგ – 2011 წლიდან იქნება შესაძლებელი.

თუმცა, ევრობანკისვე პროგნოზით, ეს ზრდაც ვერ იქნება სასურველად მდგრადი და შეუქცევადი და აღმასვლის შემდეგ სერიოზული ჩავარდნების ალბათობა არ გამოირიცხება.

საქართველო კი სწორედ ახლა იწყებს კრიზისის არა მოკლე, არამედ საშუალო და გრძელვადიანი შედეგების მომკას. ამ მხრივ იგივე ევრობანკი, მისი ბიზნეს ჯგუფის დირექტორის, ოლივიე დესკამპსის მეშვეობით, კიდევ ერთ უსიამოვნო პროგნოზს აკეთებს. კერძოდ, დესკამპსი მომავალი წლისთვის საქართველოში კომპანიების ნაწილის გაკოტრებას პროგნოზირებს და ამის უმთავრეს მიზეზად საბანკო კრედიტების შემცირებას ასახელებს.

მისი განმარტებით, მიმდინარე რეცესიის პირობებში ბანკები ცდილობენ, რისკებს თავი მაქსიმალურად აარიდონ და ამიტომაც ქვეყანაში დაკრედიტების მოცულობა მკვეთრად შემცირდა. დესკამპსის თქმით, ერთი მხრივ, ბანკები სწორად იქცევიან, როცა არ სურთ, რისკიან პარტნიორებზე გასცენ კრედიტები და, შესაბამისად, ახალი რისკიანი ვალდებულებები აიღონ. თუმცა, მეორე მხრივ, ბანკების ზღვარგადასული სიფრთხილე უარყოფითად მოქმედებს იმ კომპანიების საქმიანობაზე, რომლებიც ცუდ ფინანსურ მდგომარეობაში არიან.

დესკამპსი განმარტავს, რომ ბევრი მათგანი, სავარაუდოდ, მომავალი წლის გაზაფხულისთვის უკვე გაკოტრებული იქნება. ამის შედეგად კი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი კიდევ უფრო შემცირდება. სწორედ ამ მიზეზით საქართველო რეცესიიდან შენელებული ტემპით გამოვა. თუმცა, რეცესიის დასაძლევად კიდევ ერთი აუცილებელი წინაპირობა არსებობს: დესკამპსის განცხადებით, საქართველოს მთავრობამ ბიზნეს-გარემოს გასაუმჯობესებლად და ინვესტორების მოსაზიდად თამაშის წესები მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს.

ხელისუფლებაში ევრობანკის შიშს მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებენ. დაკრედიტების შემცირებას არავინ უარყოფს, თუმცა არსებობს ოპტიმიზმი, რომ ბანკები დაკრედიტების მხრივ

ომამდელ მდგომარეობას უბრუნდებიან. ამიტომ, კომპანიების გაკოტრების საფრთხე გაზვიადებულად არის მიჩნეული.

თუმცა, საბანკო გამოცოცხლებასთან დაკავშირებულ სახელისუფლო ოპტიმიზმს თავად ხელისუფლების შიგნიდან უპირისპირდება რეალობაზე დაფუძნებული პროფესიული სკეპტიციზმი. უახლოეს ხანებში კომერციული ბანკების მხრიდან დაკრედიტების მკვეთრ ზრდას რომ არ უნდა ველოდოთ, ამის შესახებ ეროვნულ ბანკში დაუფარავად აცხადებენ. დაკრედიტების გააქტიურება საკმაოდ მძიმე, რთული და დროში გაწელილი პროცესი იქნება და მასზე მყისიერი მოლოდინების დამყარება უბრალოდ არასერიოზულია. ამის დასტურია წლევეანდელი ოქტომბრის მონაცემებიც, რომელთა მიხედვითაც, კომერციული ბანკების მიერ ოქტომბერში გაცემული სესხების რაოდენობა გასული წლის იგივე პერიოდის და მიმდინარე წლის სექტემბრის მაჩვენებელსაც ჩამორჩება.

ბიზნესის პერმანენტულად დამძიმებადი მდგომარეობის დასტურად კი საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის კვლევაც საკმარისია, რომელმაც საქართველოში ბიზნესის მდგომარეობა შეისწავლა. კვლევის მიზანი ბიზნეს-აქტივობაზე 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და ფინანსური კრიზისის გავლენის შეფასება იყო.

ბიზნესის კვლევა საქართველოს ყველა რეგიონში, სხვადასხვა ტიპის და ზომის საწარმოებში, 450 რესპონდენტს შორის ჩატარდა. გამოკითხვამ ცხადყო, რომ საქართველოში საწარმოთა უმრავლესობა წინაპირობისულ ან უკვე კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება. რუსეთ-საქართველოს ომი და ფინანსური კრიზისი აშკარად ნეგატიურად აისახა რესპონდენტთა ფინანსურ მდგომარეობაზე, რასაც, შესაბამისად, სამუშაო ადგილებისა და თანამშრომელთა რაოდენობის შემცირება მოჰყვა.

თავად გამოკითხული კომპანიები კი ბიზნესის განვითარების ხუთ მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად ასახელებენ საკრედიტო რესურსების სიმწირეს, საგადასახადო სისტემას, ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, პროდუქციის იმპორტს და არასამართლიან კონკურენციას.

ასე რომ, ევრობანკის ნეგატიურ პროგნოზს საფუძველი აქვს. **■**

**გამოინარატი ჟურნალი  
„ლიბერალი“  
და მიიღეთ იგი  
გამოსვლის დღეს  
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)  
თქვენთვის სასურველ  
მისამართზე**



6 ნომერი (3 თვე) – 16,80 ლარი  
13 ნომერი (6 თვე) – 36,40 ლარი  
25 ნომერი (1 წელი) 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად  
დაგვიკავშირდით ტელეფონზე:  
23 37 31, (899) 48 62 41  
ან მოგვანოვდით თქვენი საკონტაქტო  
ინფორმაცია  
ელ-ფოსტით: info@liberali.ge





# კოსმობიკური გამოძიება

„რუსთავი 2“-ის შენობის ჩამონგრევის საქმეში დამნაშავეების გამოსავლენად მნიშვნელოვანი იყო, გამოძიებას დაედგინა, „არტიქსი“ სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა თუ რეკონსტრუქციას. ამ კითხვაზე პასუხის გაცემას გამოძიებამ გვერდი აუარა.

გივი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“

ჯიქიას ქუჩაზე „რუსთავი 2“-ის შენობის ჩამონგრევამ ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ტრაგედიის ადგილზე მისულმა მიხეილ სააკაშვილმა მკაცრად განაცხადა: „10 დღის ფარგლებში უნდა დამიდონ დასკვნა, თუ რა მოხდა აქ. შეიძლება თუ არა ამის თავიდან აცილება?“

მას შემდეგ რვა თვე გავიდა. გარდაცვლილის ოჯახს დღემდე მიაჩნია, რომ პრეზიდენტმა გიგა ბოკერიას და დავით კეზერაშვილის ნათესავები დაინდო და ეს საქმე საერთოდ არ აღდარდებს.

2009 წლის 26 აპრილის დღის 5 საათზე სანდრო ეულის ქუჩის №5ა-ში, „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობა ჩამოინგრა. შენობაში სატელევიზიო პროექტი, „ვარსკვლავების აკადემია“ მიმდინარეობდა, ჩამონგრევის დროს იქ პროექტის 8 მონაწილე და ტელეკომპანიის 6 თანამშრომელი იმყოფებოდა. არ ჩამონგრეულა მხოლოდ ის ორი ოთახი, სადაც შოუს მონაწილე ახალგაზრდებს ეძინათ.

გადარჩენილები მასველებმა ნანგრევებიდან 40 წუთში გამოიყვანეს, რამდენიმე მათგანმა სხეულის დაზიანება მიიღო. მალევე გაიკვია, რომ ნანგრევებში „რუსთავი 2“-ის ორი მემონტაჟე გიორგი გაბუნია და ნიკა გელაშვილი მოყვნენ. 14-საათიანი ძებნის შემდეგ მასველებმა გიორგი გაბუნიას და ნიკა გელაშვილის ცხედრები გამოიტანეს.

გამოძიება დაიწყო, გაიკვია, რომ „რუსთავი 2“-მა ჩამონგრევამდე 4 თვით ადრე შენობის რემონტი „ჯორჯიან ბილდინგ კორპორეიშენს“ დაუკვეთა, რომელმაც სამუშაოების შესასრულებლად შპს „არტიქსი“ დაიქირავა, შენობაში სამუშაოებს სწორედ „არტიქსი“ აწარმოებდა.

მედიამი მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ „არტიქსში“ გიგა ბოკერიას ცოლის და, რუსუდან ჩერგოლეიშვილი და დავით კეზერაშვილის ცოლი, სოფიო ჩიქოვანი მუშაობდნენ.

„როცა გავიგეთ, რომ „არტიქსს“ გავლენიანი მფარველები ჰყავდა, ეჭვი შეგვეპარა გამოძიების სამართლიანობაში. ფიქრობდით, რომ მათი სახელები ძიების ობიექტურობაზე გავლენას მოახდენდა. გადავწყვიტეთ, ადვოკატები აგვეყვანა“, – იხსენებს გარდაცვლილი მემონტაჟის ნიკა გელაშვილის დედა, ნინო გელაშვილი.

„ვხვდებოდით, რომ გამოძიება არასრულყოფილად მიმდინარეობდა, მაგრამ შემოქმედება არ შეგვეძლო. იმედი გვექონდა, რომ მნიშვნელოვან მონაწილეს სასამართლოზე გამოვიძახებდით და დავადგენდით, თუ ვინ იყო დამნაშავე 2 ადამიანის დაღუპვაში“, – ამბობს მერაბ ჩიქოვანი, გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი.

შენობის ჩამონგრევიდან 40 დღის შე-

მდეგ ექსპერტიზის დასკვნა მომზადდა. ექსპერტებმა ნგრევის მიზეზად 1967 წელს მშენებლობისას დაშვებული ხარვეზები და 2009 წელს „არტიქსის“ მიერ არასწორად ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაასახელეს.

დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ სამართალდამცავებმა „არტიქსის“ სამუშაოების მწარმოებელი დავით გვასალია უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო დააპატიმრეს.

პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნის თანახმად, ერთადერთი დამნაშავე, „არტიქსის“ სამუშაოთა მწარმოებელი დავით გვასალია იყო. გამოძიების დასკვნით, მან სამუშაოები არაკვალიფიციურად წარმართა. გამოძიების დაწყებიდან 5 თვის შემდეგ საქმე სასამართლოს გადაეცა.

სასამართლოში ადვოკატებმა მოწმეების დაკითხვა ვერ მოახერხეს, რადგან პროკურატურამ დავით გვასალიას საპროცესო გარიგება გაუფორმა. ის სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს. სამუშაოთა მწარმოებელმა, რომლის არაპროფესიონალიზმსაც 2 ადამიანის სიცოცხლე შეენირა, პატიმრობაში მხოლოდ 5 თვე გაატარა.

„სასამართლოზე დადასტურდა, რომ „არტიქსს“ მართლაც მფარველობდნენ. მშენებელს ყველაზე ძვირადღირებულ ადვოკატიც აუყვანეს, საპროცესო



გარიგებაც გაუფორმეს და ისე გამოუშვეს, 1 თეთრიც არ გადაუხდია. გვასაღიამ დანაშაული თავის თავზე აიღო და „არტ-იქსის“ ხელმძღვანელებს პასუხისმგებლობა აარიდა“, – აცხადებს ნინო გელაშვილი.

თბილისის საგადასახადო ინსპექციის მონაცემებით, „არტ-იქსის“ დირექტორი და 100%-ის მფლობელი მართლაც რუსუდან ჩერგოლიევილია. „არტ-იქსში“ ასევე მენეჯერად მუშაობს დავით კეზერაშვილის მეუღლე, სოფიო ჩიქოვანი.

ჩვენ გამოძიების მასალები შევისწავლეთ. გაირკვა, რომ „არტ-იქსი“ სანდრო ეულის ქუჩაზე სამუშაოებს პროექტის და ყოველგვარი ნებართვის გარეშე აწარმოებდა. საქმეში დევს თბილისის არქიტექტურის სამსახურის ნერილი, სა-

კედელია მოხსნილი, რაც რეკონსტრუქციაა“.

ჩვენ მიერ მოპოვებული ნახაზები ადასტურებს, რომ ჩამონგრეული შენობის პირველ სართულზე „რუსთავი 2“-ს თავიდანვე სტუდიების და ე.წ. „ნიუს რუმის“ მოწყობა ჰქონდა დაგეგმილი, რისთვისაც სივრცე სჭირდებოდა.

ირკვევა, რომ „რუსთავი 2“-ის მიერ შეკვეთილი სტუდიებისა და „ნიუს რუმის“ მოსაწყობად პირველ სართულზე მზიდი კედლის მოხსნა იყო საჭირო. საქმეში არსებული ფოტომასალის თანახმად, მშენებელმა მზიდი კედელი მართლაც მოხსნა და მის ნაცვლად რამდენიმე სვეტი ამოაშენა.

ჩვენ მოვიპოვეთ ამავე შენობის თავდაპირველი, 1967 წელს მომზადებული პროექტი. ძველი და ახალი ნახაზების

აცხადებს კონსტრუქტორი პაპუნა მენაბდიშვილი.

ირკვევა, რომ გარდა 26 აპრილს ჩამონგრეული შენობის რეკონსტრუქციისა, „არტ-იქსმა“ იმავე მისამართზე ორსართულიანი შენობის დემონტაჟიც მოახდინა, რაც ექსპერტიზის დასკვნითა და „არტ-იქსის“ თანამშრომლების ჩვენებებითაც დასტურდება. კანონით დემონტაჟიც პროექტს და ნებართვას საჭიროებს. მერიის არქიტექტურის სამსახურის ინფორმაციით, „რუსთავი 2“-სთვის არც დემონტაჟის ნებართვა მიუციათ.

მერიაში აგვისსენს, რომ მზიდი კედელში 1 მეტრის სიგანის ფანჯრის ამოჭრაც კი რეკონსტრუქციას და მას ნებართვა სჭირდება, კონსულტანტის განმარტებით, ნებართვა აუცილებელია დემონტაჟის შემთხვევაშიც.

■ ჩვენ მიერ მოპოვებული ნახაზები ადასტურებს, რომ ჩამონგრეული შენობის პირველ სართულზე „რუსთავი 2“-ს თავიდანვე სტუდიების მოწყობა ჰქონდა დაგეგმილი, რისთვისაც სივრცე სჭირდებოდა.

დაც აღნიშნულია, რომ სანდრო ეულის ქუჩის №5ა-ში წარმოებულ სამუშაოებზე 26 აპრილამდე, ანუ შენობის ჩამონგრევამდე არანაირი ნებართვა არ არის გაცემული.

„არტ-იქსისა“ და „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელებმა გამოძიებას განუცხადეს, რომ მხოლოდ კოსმეტიკურ რემონტს ატარებდნენ, რასაც პროექტი და ნებართვა არ სჭირდებოდა. გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატები სამართალდამცავებს ამაოდ უმტიკიცებდნენ, რომ „არტ-იქსმა“ მზიდი კედელი დაანგრია, რაც რეკონსტრუქციაა და არა კოსმეტიკური რემონტი.

სარემონტო სამუშაოები თუ რეკონსტრუქცია? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას გამოძიებამ გვერდი აუარა. თუმცა გამოძიების მასალებშივე არის აზომებითი ნახაზები და ფოტომასალა, რომელიც ადასტურებს, რომ „არტ-იქსმა“ რეკონსტრუქცია ჩაატარა.

ზაურ სილაგაძე, კონსტრუქტორი: სამუშაოები, რომელიც ამ ნახაზებით და ფოტომასალის მიხედვით განხორციელდა, შენობის რეკონსტრუქციაა, აქ არავითარ კოსმეტიკურ რემონტზე საუბარი არ შეიძლება. კოსმეტიკური რემონტი ჰქვია, რომ შემოვიდა კაცი, გაასუფთავა კედლები, შპალერი გააკრა, შეღება და ნავიდა. აქ მზიდი

შედარებით, კონსტრუქტორისთვის ნათელი გახდა, რომ პირველ სართულზე მზიდი საყრდენი ე.წ. დიაფრაგამა მონგრეული;

„სანდრო ეულის ქუჩაზე ნამდვილად რეკონსტრუქცია ჩაუტარებიათ“, – ასკვნის კონსტრუქტორი სილაგაძე.

საინტერესოა ის, რომ „არტ-იქსის“ მიერ განხორციელებული სამუშაოები რეკონსტრუქციადაა მოხსენიებული გამოძიების მასალებშიც, კერძოდ, გვასაღიამ მიმართ პროკურატურის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნასა და ექსპერტიზის დასკვნაში.

მშენებლობის შესახებ კანონით კი, რეკონსტრუქციას შესაბამისი ნებართვა სჭირდება, რომელსაც არქიტექტურის სამსახური გასცემს. ექსპერტების თქმით, რეკონსტრუქციამდე შენობის კომპიუტერული დამუშავება უნდა მოხდეს, რის საფუძველზე შედგენილ პროექტს დამკვეთი არქიტექტურის სამსახურში ნებართვის მისაღებად წარადგენს. სპეციალისტების განმარტებით, „რუსთავი 2“-ს ეულის ქუჩაზე მდებარე შენობების პროექტირება და შეთანხმება დაახლოებით 35 ათასი დოლარი დაუჯდება.

„ნესით, რეკონსტრუქციის პროექტი კომპიუტერულად უნდა დაემუშავებინათ და, ამ ნახაზების მიხედვით, მერიიდან შესაბამისი ნებართვა აეღოთ“, –

ნიშანდობლივია ის, რომ „არტ-იქსმა“ პირველ სართულზე 10 მეტრის სიგრძის მზიდი კედელი ყოველგვარი ნებართვის გარეშე მოანგრია, მის ნაცვლად კი, რამდენიმე სვეტი მოაწყო და გაამაგრა. ექსპერტების აზრით, სვეტებმა ზედა ოთხი სართულის დანოლას ვერ გაუძლო და შენობა ჩამოინგრა. „არტ-იქსის“ სამუშაოები შეთანხმებული პროექტით და ნებართვით რომ ეწარმოებინა, შენობა არ ჩამოინგროდა.

კანონით, რეკონსტრუქციისა და დემონტაჟის პროექტი „რუსთავი 2“-ს უნდა მოემზადებინა და მერიის არქიტექტურის სამსახურში შეეთანხმებინა, რის შემდეგაც სათანადო ნებართვას მიიღებდა. კომპანია „არტ-იქსმა“ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა. მან უკანონო სამენარმეო საქმიანობა უნებართვოდ განახორციელა. ეს, რატომღაც, გამოძიების ყურადღების მიღმა დარჩა.

„სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლით, უკანონო სამენარმეო საქმიანობად ითვლება იმ სამუშაოების ნებართვის გარეშე წარმართვა, რაც ნებართვას საჭიროებს. „არტ-იქსი“ სწორედ ასე მოიქცა, რისთვისაც სისხლის სამართლის ნესით უნდა აგოს პასუხი, როგორც იურიდიულმა პირმა („არტ-იქსმა“), ასევე მისმა ხელმძღვანელმა



რუსუდან ჩერგოლივილია“, – აცხადებს ადვოკატი გაგი მოსიაშვილი.

დღეს უკვე ექვს არ ინვესტ, რომ „არტ-იქსმა“ სარეკონსტრუქციო სამუშაოები აწარმოა, რაც მზიდი კედლის მონგრევაში გამოიხატა.

ამ ფონზე ნიშანდობლივია, რომ 26 აპრილს, შენობის ჩამონგრევიდან რამდენიმე საათში შემთხვევის ადგილზე მისულმა ქალაქის მერმა უგულავამ განაცხადა, თითქოს შენობაში მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი მიმდინარეობდა. ის, რასაც ექსპერტები 40 დღე იკვლევდნენ, გიგი უგულავამ რამდენიმე საათში დაადგინა და დაასკვნა, რომ მზიდი კედლები არ მოუწვრევიათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენობის ჩამონგრევაში გამოძიებამ დამნაშავედ მხოლოდ სამუშაოთა მწარმოებელი და-

ვით გვასაღია მიიჩნია. ის პირველ ჩვენებაში აცხადებდა, რომ „არტ-იქსის“ დირექტორის, რუსუდან ჩერგოლივილის და არქიტექტორ-დიზაინერის, ხათუნა ბერიძის მითითებებით მოქმედებდა.

პირველი ჩვენება გვასაღიამ ადვოკატის გარეშე მისცა, თუმცა მოგვიანებით მან პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და ხელმძღვანელობა აღარსად უხსენებია. ჩვენების შეცვლის დროს მას უკვე ერთ-ერთი მაღალანაზღაურებადი ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი იცავდა. იმ კომპანიის კლიენტებს შორის, რომელსაც გიორგი ყავლაშვილი წარმოადგენს, ბრიტანეთის, საფრანგეთის და გერმანიის საელჩოებს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას, „ჰონდა მოტორს“ და სხვა ცნობილ ორგანიზაციებს შეხვდებით. ყავლაშვილი 2008

წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს მიხეილ სააკაშვილის ადვოკატიც გახლდათ.

გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის დედა ამბობს, რომ „არტ-იქსმა“ მშენებელს ძვირადღირებული ადვოკატი მას შემდეგ აუყვანა, რაც ოჯახი მათთან გარიგებაზე არ წავიდა.

ნინო გელაშვილი: „ნიკას დაღუპვიდან ცოტა ხანში „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის კაბინეტში შევხვდით ვინმე კახა ნინუას, რომელიც არის „არტ-იქსის“ დირექტორის, რუსუდან ჩერგოლივილის მეუღლე და გიგა ბოკერიას ქვისლი. მან გვითხრა, თუ ისე არ მოქცევით, როგორც ჩვენ გვინდა, ანუ არ გაჩუმდებით, მე მშენებელს ვუპატრონებ, ძვირადღირებულ ადვოკატს ავუყვან და ციხიდან გამოვიყვანო. თუ გინდათ, თქვენც დაგიქირავებთ ადვოკატსო. გესმით! ასე აგრესიულად, ცინიკურად მითხრა“.

„რუსთავი 2“-ის შენობის ჩამონგრევის გამო 2 ადამიანი დაიღუპა. ოთხი დაშავდა, გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში ყველა მათგანი ერთხმად აცხადებს, რომ პრეტენზია არავის მიმართ აქვთ.

პრეტენზია არ გამოუთქვამს არც „რუსთავი 2“-ს, რომელმაც სამშენებლო სამუშაოებში გადახდილი 1 მილიონი ლარი დაკარგა, 5-სართულიანი შენობა დაენგრა, აპარატურა გაუნადგურდა, ჩაუვარდა ძვირადღირებული, ლიცენზირებული პროექტი „ვარსკვლავების აკადემია“. დავინტერესდით, ტელეკომპანიამ, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, მიმართა თუ არა სასამართლოს? საქალაქო სასამართლოს ინფორმაციით, ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით „რუსთავი 2“-ს „არტ-იქსის“ წინააღმდეგ სარჩელი არ შეუტანია.

სარჩელი არ შეუტანია არც კომპანია „მაგთიკომს“, რომელიც „ვარსკვლავების აკადემიას“ სპონსორობდა და პროექტში რეკლამის სახით ფინანსური ინტერესი ჰქონდა.

სანდრო ეულის ქუჩაზე „რუსთავი 2“ სამშენებლო სამუშაოებს ისევ აწარმოებს, ოღონდ აძვერად შეთანხმებული პროექტის და ნებართვის მიხედვით. გარდაცვლილი ნიკა გელაშვილის ოჯახი კი ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს. ოჯახის ადვოკატებს მთავარ პროკურატურაში საჩივარი შეაქვთ და საქმის ხელახლა გამოძიებას ითხოვენ. მათ იმედი აქვთ, რომ დავით გვასალიას გარდა, საბრალდებო სკამზე სხვებიც აღმოჩნდებიან. **■**

### დახურული საჯარო ინფორმაცია



ფოტო ინფორმაცია

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი შენობის ნახაზი, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს არქივში ინახება, კანონის მიხედვით, საჯარო დოკუმენტია. თუმცა, სასამართლო მის გაცემაზე კვლავ უარს ამბობს.

სამშენებლო კომპანია „არტ-იქსის“ მიერ შესრულებული დაგეგმვების ნახაზი, რომელზე დაკვირვებითაც ნათელი ხდება პასუხი საქმის მთავარ კითხვაზე – შენობის როგორი სახეცვლილება იყო დაგეგმილი, სარემონტო თუ სარეკონსტრუქციო – „ლიბერალმა“ საქმეში მონაწილე ერთ-ერთი დაინტერესებული მხარისგან მოიპოვა. თუმცა, მის

გათვალისწინებით, რომ დოკუმენტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით (დასრულებული სასამართლო დავის მასალები) საჯაროა, მისი ეგზემპლარი სასამართლოდანაც გამოითხოვა.

კითხვაზე, რატომ არ გაცემს საჯარო ინფორმაციას, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანცელარიის უფროსი დავით კურტანიძე ჟურნალისტის გამოგზავნილ ოფიციალურ წერილში გვპასუხობს: „ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია დახურულია, თუ კომერციული და პირად საიდუმლოს

მიეკუთვნება“.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი კომერციულ საიდუმლოს განმარტავს, როგორც კომერციული ფასეულობის მქონე გეგმას, ფორმულას, პროცესს, აგრეთვე სხვა ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. იურისტი არჩილ ჩოფიკაშვილის განმარტებით, კანონის ეს ნორმა არ შეესაბამება ჟურნალის მიერ გამოთხოვილ ინფორმაციას: „როგორ შეიძლება კომერციული საიდუმლო იყოს იმ შენობის გეგმა, რომელიც დაინგრა? მის გადაღებას და გამოვლენას შეეცდება ვინმე, რომ ასეთივე გეგმით შენობის ასეთივე ნგრევა ნახოს?“

იურისტი განმარტავს, რომ ასევე გაუგებარია, თუ რატომ მიაღებდა საფრთხე ნახაზის გადმოცემით კომპანიის კონკურენტუნარიანობას. „ლიბერალი“ კანონით გარანტირებული ინფორმაციის მიღებას სასამართლოს გზით შეეცდება.

ნინო გოგუა



## კონფლიქტები

# ადამიანებით ვაჭრობის ახალი ფორმატი

ტირძისელი მოზარდების დაკავების ისტორიამ ცხადყო, რომ ჟენევის ფორმატში არსებული მოლაპარაკებები ძალზე არაეფექტურია. მხარეები და საერთაშორისო დამკვირვებლები ფიქრობენ, რომ აუცილებელია ახალი მექანიზმების ამუშავება.

### ოლესია ვართანიანი, თბილისი

რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე ორი ტირძისელი მოზარდი ცხინვალის ციხეს დატოვებდა, ქართულმა მხარემ ხუთი ოსი გაათავისუფლა, რომელთა გაშვებაზე მანამდე კატეგორიულ უარს აცხადებდა.

ამ გარიგების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებაში იმედგაცრუებულები დარჩნენ. თბილისში იმედოვნებდნენ, რომ, ხუთი ოსის სანაცვლოდ, ცხინვალის მინიმუმ ოთხივე ტირძისელ მოზარდს გაათავისუფლებდა და, შესაძლოა, 16 წლის გიორგი არჩვაძესაც, რომელიც ზაფხულიდან ცხინვალის ციხეშია.

როგორც ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროსაბჭოს კომისარი თომას ჰამმაბერგი ამბობს, დარჩენილ ორ მოზარდს 13 დეკემბერს გაათავისუფლებენ.

ევროკომისარმა, რომელიც მთელი კვირა თბილისსა და ცხინვალს შორის ამ საკითხს შუამავლობდა, ამის „მტკიცე პირობა“ ცხინვალში „ძალიან მაღალ დონეზე“ მიიღო.

ქართულმა და ოსურმა მხარეებმა ჰამმაბერგს სიები გადასცეს, სადაც ტუსაღთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახელებია ჩამონერვილი.

ქართული მხარის თქმით, ცხინვალის იზოლაციაში ამ მომენტისთვის 12 ადამიანი რჩება. ერთ-ერთი მათგანი, ნელინა დზე მეტია, დაკავებულია.

ოსური მხარის სიის სრული ვარიანტი „ლიბერალისთვის“ უცნობია. ცნობილია, რომ მასში ფიგურირებს შვიდი ადამიანი, რომლებიც, ცხინვალის ვარაუდით, თბილისს ჰყავს დაკავებული. თბილისში კი

აცხადებენ, რომ ამ ადამიანების შესახებ არაფერი იციან და მათ უგზო-უკვლოდ დაკარგულებს უწოდებენ. გარდა ამისა, ცხინვალის ხელისუფლება ითხოვს იმ რამდენიმე ოსის გაათავისუფლებასაც, რომლებიც თბილისმა ომამდე დააკავა. ზოგიერთი მათგანი ტერაქტის მოწყობაშია ბრალდებული.

ჰამმაბერგი იმედოვნებს, რომ ოთხი მოზარდის გაათავისუფლება ქართულ და ოსურ მხარეებს შორის დაკავებულთა საკითხზე მოლაპარაკებების პროცესის განახლების მანიშნებელი გახდება.

თუმცა, იმისთვის, რომ ეს პროცესი უფრო ეფექტური იყოს, ჰამმაბერგი ახალი ინიციატივით გამოდის. მისი თქმით, უნდა შეიქმნას ცალკე სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება, აკონ-





ტროლოს ორივე მხრიდან ტუსალთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საქმეების განხილვისა და გამოძიების პროცესი.

ჰამმაბერგი ამბობს, რომ ამგვარი სტრუქტურის ჩამოყალიბება ყენევის მოლაპარაკებათა პროცესის პარალელურად უნდა მოხდეს. უფრო მეტი კონკრეტიკისგან ევროპელი დიპლომატი თავს იკავებს.

„ავგისტოს ბოლოს ბევრი ადამიანი გაათავისუფლეს. ამისათვის დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა. თუმცა, მას შემდეგ, სხვადასხვა მიზეზების გამო, მხარეებს შორის ნდობა აბსოლუტურად დაიკარგა. უკანასკნელ დრომდე, ვიდრე პირადად არ ჩამოვედი და არ შევხვდი ყველას, ვერაფრით ვახერხებდი დაკავებულთა გათავისუფლების პროცესის ადგილიდან დაძვრას“, – ამბობს ჰამმაბერგი.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბოლო დღეებში მიღწეული დინამიკა შევინარჩუნოთ. შეგვიძლია, ძველ საქმეებსაც მივხედოთ და შევქმნათ მექანიზმი, რომლითაც ამ პრობლემებზე ეფექტურად მუშაობას მოვახერხებთ“, – თავისი წინადადება აქვს ჰამმაბერგს.

ახალი, დამატებითი მექანიზმების შექმნა ერთადერთი საშუალებაა, რომ სამხრეთ ოსეთის საზღვართან განახლდეს შეხვედრები დაკავებულთა საკითხებზე, რომლებიც ყენევის მოლაპარაკებათა პროცესის ეგიდით იმართებოდა.

ნახევარ წელზე მეტია, ასეთი შეხვედრები ყოველ მეორე კვირას, ევროპულ დამკვირვებელთა მისიისა და ეუთო-ს წარმომადგენელთა მონაწილეობით მიმდინარეობდა. ოფიციალურად ეს შეხვედრები არავის გაუუქმებია, თუმცა ბოლო დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო, არარეგულარული ხასიათი აქვს და მუდმივად ჩაშლის პირასაა.

ჯერ კიდევ ზაფხულში ოსურმა მხარემ რამდენჯერმე უარი თქვა ამ შეხვედრებში მონაწილეობაზე, იმ მიზეზით, რომ ფორმატი უსუსური და უშედეგო იყო.

აფხაზეთში მსგავსი ფორმატის შეხვედრებისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთის შეხვედრებს მუდმივი თავმჯდომარე არ ჰყავს. გარკვეულ დრომდე თავმჯდომარეები როტაციის წესით იცვლებოდნენ. ამის მთავარი მიზეზი მხარეებს შორის და შეუამავლების მიმართ არსებული უნდობლობაა.

ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელსაც ვინაობის გამხელა არ სურს, განმარტავს, რომ აფხაზეთში მსგავსი პრობლემა არ დგას. ქართული და აფხაზური მხარეები თავიდანვე შეთანხმდნენ, რომ შეხვედრების თავმჯდომარე გაერო-ს წარმომადგენელი იქნებოდა, რადგან გაერო-ს ენდობოდა როგორც სოხუმი, ისე თბილისი.

„სამხრეთ ოსეთის შეხვედრებზე კი შეთანხმება დღემდე არ არის მიღწეული. ოსები ამბობენ, რომ ეუთო-ს არ ენდობიან, რადგან ეუთო-მ მათ ომის დროს უღალატა. მათი ნდობით არც ევროპულ დამკვირვებელთა მისია სარგებლობს, რადგან ევროკავშირი, რომელსაც ეს მისია წარმოადგენს, მუდმივად აცხადებს, რომ არასოდეს აღიარებს სამხრეთ ოსეთს. ოსები ენდობიან მხოლოდ რუსეთს, ხოლო რუსების თავმჯდომარეობას არასოდეს დათანხმდება თბილისი“.

ის, რომ აქამდე არსებული შეხვედრების ფორმატი ძალიან სუსტია, კარგად გამოჩნდა დაკავებულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საქმეების განხილვისას. როგორც მოლაპარაკებათა პროცესში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, „ოსებმა დაიწყეს ამორჩევა, რომელ შეხვედრებზე ღირს დასწრება და რომელზე არა“.

პაატა ზაქარეიშვილი, რომელიც აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ ტყვეთა და გარდაცვლილთა გაცვლის პროცესში მონაწილეობდა, ამბობს, რომ თავიდანვე არასწორი იყო დაკავებულთა გათავისუფლების საკითხის მიზმა ყენევის მოლაპარაკებათა ისედაც ძალიან მყოფე მექანიზმზე.

საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ საჭირო იყო ცალკე კომისიის შექმნა, რომელიც დაკომპლექტდებოდა ორივე მხარისთვის მისაღები ადამიანებით და ნდობის საფუძველზე იმუშავებდა. მისი აზრით, განსაკუთრებით ეფექტური იქნებოდა ამ კომისიაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შეყვანა.

სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, დიმიტრი სანაკოევი ამბობს, რომ ქართული მხარეს მსგავსი კომისიის შექმნის იდეა ჰქონდა, მაგრამ ცხინვალის ხელისუფლებისგან პასუხი ვერ მიიღო.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის „მემორიალის“ წარმომადგენლის, ვარვარა პახომენკოს თქმით, რომელიც ომის შემდეგ ორივე მხარეს აქტიურად მუშაობს დაკავებულთა საკითხებზე, მთავარი პრობლემა ისაა, რომ მხარეები ერთმანეთს სრულიად არ ენდობიან.

„დაკავებულთა გაცვლის მხრივ დღეს ჩიხური მდგომარეობაა შექმნილი. გამოსავალი მხოლოდ ის იქნება, თუ ორივე მხარე შეწყვეტს ვაჭრობას და გაათავისუფლებს მათ, ვის წინააღმდეგაც სერიოზული ბრალდებები არ არსებობს“, – ამბობს პახომენკო. ■





ფოტო: ლ. ჯაფარიძე

■ „ნევსკი ექსპრესის“ ტერაქტი, 27 ნოემბერი 2009

## ეპოზოგია

# ტერორიზმი რუსეთში ბრუნდება

„ნევსკი ექსპრესის“ აფეთქების ექოს ჩრდილოეთ კავკასიაში ელოდებიან.

### სოფო ბუკია

ტრადიციულად, რუსეთის ცენტრში მომხდარი ტერაქტის შემდეგ კრემლი ჩრდილო კავკასიაში „ნესრიგის დამყარებას“ იწყებს. ფედერალების მიერ განხორციელებულ კონტრტერორისტულ ოპერაციებსა და ე.წ. „წმენდებს“ კი, როგორც წესი, უბრალო ხალხი ეწირება.

წინეხები იმისა, რომ კრემლი აუცილებლად „დასჯის“ ჩრდილოეთ კავკასიას, უკვე არსებობს.

პოპულარულ ექსტრემისტულ ვებგვერდზე „კავკაზცენტრზე“, რომელიც ბოვეციკების ოფიციალურ ტრიბუნად ითვლება, გამოქვეყნდა წერილი, სადაც 27 ნოემბერს მომხდარ ტერაქტზე პასუხისმგებლობას „კავკასიელი მოჯაჰედები“ და მათი ლიდერი – ჩეჩენი საველე მეთაური დოკუ უმაროვი იღებენ.

27 ნოემბერს, 22 საათსა და 30 წუთზე, მოსკოვიდან სანკტ-პეტერბურგში მიმავალი ჩქაროსნული ელმავლის – „ნევსკი ექსპრესის“ ბოლო სამი ვაგონი აფეთქების შედეგად რელსებიდან გადა-

ვიდა. დაიღუპა 26 ადამიანი. 100-ზე მეტი დაიჭრა.

ეს ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტია, რომელიც რუსეთში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განხორციელებულა. რუსი ექსპერტებისა და ჟურნალისტების ნაწილი ვარაუდობს, რომ მოსკოვსა და „ჩრდილოეთ დედაქალაქს“ შორის აფეთქებული ნაღმი იმის მომასწავებელია, რომ რუსეთში ტერორიზმი დაბრუნდა.

ჩრდილოეთ კავკასიაში, ბოლო ერთი წელია, ტერორიზმი ყვავის, მაგრამ ვიდრე იგი რუსეთის ცენტრს არ შეუქმნის საფრთხეს, მას არავინ იმჩნევს, ან იყენებენ საკუთარი ძალაუფლების გასაძლიერებლად.

აშკარაა, რომ მიმდინარე წლის დასაწყისიდან ტერორიზმი რუსეთში ძალას იკრებს. თავად განსაჯეთ – პირველი 9 თვის მონაცემებით, 2009 წელს ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში ტერორისტების თავდასხმების შედეგად 420 ადამიანი

დაიღუპა. ეს თითქმის ოთხჯერ მეტია იმ მაჩვენებელზე, რაც გასულ წელს იყო.

ამასთან, წელს განსაკუთრებული ისაა, რომ ტერორისტების სამიზნე, როგორც წესი, სამართალდამცავები, ოფიცრები, ჩინოვნიკები, პოლიტიკოსები ხდებიან.

„ნევსკი ექსპრესის“ შემთხვევაც არ ყოფილა გამონაკლისი. „ნევსკი ექსპრესი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მარშრუტის ყველაზე პრესტიჟული მატარებელია. თანამედროვე, კომფორტული ელმავალი, რომელიც 200 კმ/სთ სიჩქარით მიჰქრის, მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგს შორის 700-კილომეტრიან მანძილს 4 საათში გადის. ამ ექსპრესით მუდმივად მგზავრობენ ჩინოვნიკებიც, რომლებიც 27 ნოემბრის ტერაქტის მსხვერპლთა შორისაც არიან.

მიუხედავად ჩრდილო კავკასიაში შექმნილი მძიმე ფონისა, მთელი წლის განმავლობაში რუსი ძალოვნები აცხადებდნენ, რომ ისინი სრულად აკონტროლებენ რეგიონს.

კრემლში კავკასიის სტაბილურობა იმდენად „დაიჯერეს“, რომ გაზაფხულზე ჩეჩნეთში კონტრტერორისტული ოპერაციის დასასრული გამოაცხადეს იმ მოტივით, რომ ჩეჩნეთში ტერორისტები აღარ არიან. ეს ოპერაცია აქ 1999 წლის ოქტომბერში დაიწყო.

თუმცა, ფედერალური კრების წინაშე თავის უკანასკნელ გამოვლას, მედვედევს მოუხდა იმის აღიარება, რომ კავკასია ყველაზე სერიოზული შიდა პრობლემაა რუსეთისთვის.

როცა მედვედევი ჩრდილოეთ კავკასიაზე ლაპარაკობდა, მისი ხმა განსაკუთრებულად მკაცრი იყო. მან თქვა, რომ „ტერორისტები უნდა გავანადგუროთ ემოციებისა და ყოყმანის გარეშე“. ბევრს ამ გამოთქმამ პუტინის ცნობილი ფრაზა "террористов надо мочить в сортире" გაახსენა.

ეს სიტყვები დღევანდელმა პრემიერმა პუტინმა 10 წლის წინ წარმოთქვა, მას შემდეგ, რაც მოსკოვში საცხოვრებელი სახლები ააფეთქეს.

ამ აფეთქებებს ჩეჩნეთში ათწლიანი კონტრტერორისტული ოპერაცია მოჰყვა, რამაც უამრავი უდანამაულო ადამიანის სიცოცხლე შეინარა და პუტინის პოზიციები გააძლიერა. ამ აფეთქებებმა ხალხი დაარწმუნა იმაში, რომ ჩეჩენი სეპარატისტების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა გამართლებულია და ერთადერთი ადამიანი, ვინც ამ ამოცანის შესრულებას შეძლებს, პუტინია.

ამ სახლების აფეთქებების საქმეში ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა გაჩნდა, რამაც წარმოქმნა ეჭვი, რომ ამ აფეთქებების უკან რუსეთის სპეცსამსახურები იდგა, და მათ ჩეჩნეთის მეორე ომის დასაწყებად საბაზი შექმნეს. არ არსებობს არავითარი ეჭვები და ვარაუდები, რომ „ნევსკი ექსპრესის“ აფეთქებაში ხელისუფლებამ გარეული. თუმცა, აღნიშნულ ტერაქტს შეიძლება ზუსტად ისეთივე შედეგები მოჰყვეს, რაც ათი წლის წინ საცხოვრებელი სახლების აფეთქებას.

რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობისთვის „ნევსკი ექსპრესის“ აფეთქება სადღაც გადაკარგულ დაღესტანსა თუ ჩეჩნეთში მოწყობილი ტერაქტი კი არ არის, არამედ ცხვირწინ მომხდარი ტრაგედია. ამ ფაქტს ლოგიკურად მოჰყვება საზოგადოების მხრიდან მოწოდებები ჩრდილოეთ კავკასიაში წესრიგის დამყარებისკენ.

„ნევსკი ექსპრესის“ აფეთქებაში კავკასიურ კვალზე ჯერ კიდევ მანამდე ალაპარაკდნენ, ვიდრე „კავკაზცენტრზე“ დოკუმენტაროვს განცხადება გაჩნდებოდა. თუმცა, თავისთავად არც ეს განცხადება

ნიშნავს იმას, რომ ტერაქტი უმაროვის ხალხის მოწყობილია. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ უმაროვს ასეთი მასშტაბური ტერაქტების მოწყობის ძალა არ შესწევს და „კავკაზცენტრზე“ გამოქვეყნებული ინფორმაცია ბლეფია.

ერთ-ერთ შესაძლო ვერსიად რუსულ პრესაში იმანაც გაიჟღერა, რომ აფეთქების უკან რუსეთის ულტრანაციონალისტური დაჯგუფებები დგანან. თუმცა, ეს ვერსია პოპულარული ვერ გახდა, მიუხედავად იმისა, რომ, თვითმხილველთა თქმით, საქმეში სლავური გარეგნობის ორი ადამიანი ფიგურირებს.

### ყველაზე მსხვილი ტერაქტები რუსეთის სარკინიგზო მაგისტრალზე

■ 1993 წლის 28 თებერვალი: გუდერმესი-გროზნოს მონაკვეთზე აფეთქდა კისლოვოდსკი-ბაქოს მატარებლის ერთი ვაგონი. დაიღუპა – 13, დაიჭრა 12 ადამიანი.

■ 1994 წლის 13 აპრილი: დერბენტან (დაღესტანი) მოსკოვი-ბაქოს მატარებელში ნაღმის აფეთქების შედეგად დაიღუპა 6 ადამიანი, დაიჭრა – 3.

■ 1996 წლის 12 აგვისტო: აფეთქდა ვოლგოგრადი-ასტრახანის მატარებლის ერთ-ერთ კუპეში დამონტაჟებული ხელნაკეთი ნაღმი. დაიღუპა – 1, დაიჭრა 3 ადამიანი.

■ 1997 წლის 27 ივნისი: მოსკოვი-სანკტ-პეტერბურგის მატარებლის ტუალეტში ნაღმი აფეთქდა. დაიღუპა – 5, დაიჭრა 14 მგზავრი.

■ 2003 წლის 3 სექტემბერი: ესენტუკთან კისლოვოდსკი-მინვოდის მატარებლის აფეთქებას 6 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 39 დაიჭრა.

■ 2003 წლის 5 დეკემბერი: ესენტუკთან კისლოვოდსკი-მინვოდის ელმავალზე თავი აიფეთქა ტერორისტმა-თვითმკვლელმა. დაიღუპა 47 ადამიანი, 233 – დაიჭრა.

■ 2004 წლის 10 ივნისი: ჩეჩნეთში, ნაურის რაიონში აფეთქდა სამხედრო ემელონი. დაიღუპა – ერთი და დაიჭრა ორი სამხედრო მოსამსახურე.

■ 2005 წლის 24 ივლისი: დაღესტანში, პასაიურტთან ელმავალი აფეთქდა. დაიღუპა – ერთი, დაიჭრა ოთხი მგზავრი.

■ 2007 წლის 13 აგვისტო: ნოვოგოროდის ოლქში თვითნაკეთი ნაღმის აფეთქების შედეგად რელსებიდან გადავიდა „ნევსკი ექსპრესი“, რომელიც სანკტ-პეტერბურგი-მოსკოვის მარშრუტით მოძრაობდა. დაიჭრა 60 ადამიანი.

სავარაუდოდ, აღნიშნულ ტერაქტში პასუხისმგებლებად კავკასიელებს გამოაცხადებენ და თუ ეს ასე მოხდა, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის ჯარები კვლავ დაბრუნდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში.

ჩეჩენი მეამბოხეების ლიდერმა, დეენილმა აჰმედ ზაკაევმა, განაცხადა, რომ მოსკოვი მზადაა, ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარი შეიყვანოს და 2014 წლის სოჭის ოლიმპიადამდე კავკასიის პრობლემა ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტოს.

მედვედევის უკანასკნელ გამოვლას ფედერალური კრების წინაშე ჩეჩნეთში კონტრტერორისტული ოპერაციის შემოღება მოჰყვა. ამ ინფორმაციამ ძალიან შეამფოთა ჩეჩნეთის მოსახლეობა, რადგან ამგვარი ოპერაციების მთავარი სამიზნე ხშირ შემთხვევაში სწორედ მშვიდობიანი მოსახლეობაა და ეს ორმა ჩეჩნურმა ომმა და კონტრტერორისტული ოპერაციის ათწლიანმა რეჟიმმა დაამტკიცა. 24 ნოემბერს შუალამიდან ჩეჩნეთში – აჩხო-მარტანის რაიონის ტყიან მასივებში ფედერალებმა რელიგიური ექსტრემისტების ძებნა დაიწყეს. ოპერაცია მალე – 2 დეკემბერს რამდენიმე ბოვეიკის ლიკვიდაციით დასრულდა.

ჩეჩნეთში ყველამ იცის, რეალურად ვინ დგას კრემლში კავკასიური პოლიტიკის უკან. აქ იციან, რომ მედვედევი არ არის ის ადამიანი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში „წესრიგის დამყარებას“ შეძლებს.

„ჩვენ ბევრი გავაკეთეთ, რომ ტერორიზმი ხერხემალში გაგვეტეხა, მაგრამ საშიშროება კვლავაც არის... ფართომასშტაბიანი პროფილაქტიკური სამუშაო ჩასატარებელი. უნდა ვიმოქმედოთ დასწრებაზე და ეფექტურად. სამართალდამცავებმა მშვენივრად იციან, რაზე ვლაპარაკობ. ფსბ-ს და შსს-ს ეს ხშირად კარგადაც გამოსდით. თუმცა, ამ ტრაგედიამ დაგვანახა, რომ მუშაობა უნდა გაძლიერდეს. პრინციპულობა და სიმტკიცე ჩვენ არ გვაკლია“, – განაცხადა პუტინმა 3 დეკემბერს, პირდაპირ ეთერში მოსახლეობის კითხვებზე პასუხისას.

ხალხთან „ლია ეთერის“ დროს პუტინმა მთელ ქვეყანას დაანახა, ვინ არის ქვეყანაში ლიდერი. ის მკაფიოდ და მკაცრად პასუხობდა ყველა კითხვას და პასუხი ყველა კითხვაზე ჰქონდა. სავარაუდოდ, პუტინი ის ადამიანია, რომელმაც ისიც იცის – დაინყება თუ არა მესამე ჩეჩნური ომი. **□**

მასალის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო პეტრომატ ისლამოვამ, გროზნი



მთიანი ყარაბაღი

# პრობრესი თუ ჩიხი?

ყარაბაღის სამშვიდობო პროცესის მედიატორები მოლაპარაკებებში მნიშვნელოვან პროგრესზე საუბრობენ, ბაქო ომით იმუქრება, ერევანი კი – მთიანი ყარაბაღის აღიარებით.

თათულ შაკობიანი, ერევანი



ფოტო პოლკა დე აპორელი

მთიანი ყარაბაღი

როდესაც პრეზიდენტი ილჰამ ალიევი და სხვა აზერბაიჯანელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ ერევანთან საუბრის მთავარი თემა ყარაბაღის მოსაზღვრე ოკუპირებული აზერბაიჯანული ტერიტორიები და ამ ტერიტორიებზე ლტოლვილების დაბრუნებაა, ისინი სიმართლეს ბოლომდე არ ამბობენ.

ცრუობენ სომეხი მაღალჩინოსნებიც, რომლებიც აცხადებენ, რომ ერევანისთვის მოლაპარაკებათა მთავარი თემა მხოლოდ მთიანი ყარაბაღის სტატუსის განსაზღვრაა.

ვინც ყარაბაღის საკითხზე მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესს ყურადღებით აკვირდება და ამ პროცესის მთავარ

დოკუმენტს – მადრიდის გეგმას იცნობს, მიხვდება, რომ ერევანი და ბაქო მხოლოდ ომის შედეგების ლიკვიდაციაზე (ტერიტორიების დაბრუნება, ლტოლვილების დაბრუნება, უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიები, ა.შ.) როდი დავობენ. ისინი არც მთიანი ყარაბაღის მომავალი სტატუსის რეფერენდუმის გზით გადაწყვეტის იდეას განიხილავენ.

სტატუსის განსაზღვრისა და ომის შედეგების ლიკვიდაციის თვალსაზრისით, ერევანსა და ბაქოს პოზიციები მეტნაკლებად შეჯერებულია. უკანასკნელი ხუთი წელია, ერევანი და ბაქო სამ სპეციფიკურ საკითხზე ვერ თანხმდებიან.

მართალია, მხარეები მუდმივად აცხა-

**ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება სომხეთისთვის მოხდეს, „მშვიდობის იძულება“.** ანუ ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართული სამი ძლიერი მოთამაშე – რუსეთი, ევროპა და აშშ თურქეთთან ერთად გადანყვეტენ, რომ თავად „მოაგვარონ“ ყარაბაღის კონფლიქტი.



დებენ, რომ მადრიდის დოკუმენტი, როგორც მოლაპარაკებათა სანაყისი ნერტილი, მისაღებად, მაგრამ ეშმაკი დეტალებში იმალება, – დასძენენ ისინი.

აი, სამი დეტალი, რომელთა შესახებ მხარეები, აგერ უკვე ხუთი წელია, დავობენ: უკავშირდება თუ არა კელაჯარის რაიონის დაბრუნება ყარაბაღის აღიარების სტატუსს და როგორ; რა სტატუსი ექნება ლანჩინის დერეფანს; და მესამე – როგორია დანარჩენი ლანჩინის დაბრუნების პირობები.

ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები 22 ნოემბერს მიუნხენში პრეზიდენტ სარგსიანისა და პრეზიდენტ ალიევის ოთხსაათიანი შეხვედრის შემდეგ აცხადებდნენ, რომ ყარაბაღის საკითხში გარკვეული პროგრესი შეინიშნება. სავარაუდოდ, ისინი სწორედ ამ სამი საკამათო საკითხიდან ერთ-ერთს გულისხმობდნენ.

„ამ შეხვედრისას ორი პრეზიდენტი ყველაზე მნიშვნელოვანი და გადაუწყვეტელი საკითხების დეტალურ და ღრმა დისკუსიაში ჩაერთო. ოთხი საათის განმავლობაში მიმდინარე მოლაპარაკებები კონსტრუქციული იყო. ზოგ სფეროში პროგრესია. ამავდროულად, რამდენიმე საკითხი კვლავ გადაუწყვეტელია“, – ვკითხულობთ ერთობლივ განცხადებაში.

ეუთო-ს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეებმა – რუსეთის ელჩმა იური მერზლიაკოვმა, საფრანგეთის ელჩმა ბერნარდ ფასიემ და აშშ-ს ელჩმა რობერტ ბრადტკემ პრესასთან ოპტიმისტური კომენტარები გააკეთეს. ბატონმა ფასიემ განაცხადა: „მნიშვნელოვან პროგრესს მივალწიეთ, ამავდროულად, გარკვეული სიძნელებიც აღმოვაჩინეთ“. ფასიემ აღნიშნა, რომ უფრო კონკრეტულ კომენტარებს ვერ გააკეთებს, რადგან ეს საომართის და აზერბაიჯანის პრეზიდენტების პრეროგატივაა.

თუმცა, ალიევი და სარგსიანი შეხვედრის დეტალებზე საუბარს თავს არიდებენ. ნაცვლად ამისა, ისინი მხოლოდ საკუთარი აუდიტორიის გულის მოგებას ცდილობენ და პოპულისტურ განცხადებებს აკეთებენ. მაგალითად, მიუნხენის შეხვედრამდე ერთი დღით ადრე პრეზიდენტი ალიევი საომარი მოქმედებების დაწყებით დაიმუქრა.

„აზერბაიჯანი მილაონობით დოლარს ხარჯავს ახალი იარაღის, სამხედრო ტექნიკის შესაძენად, ფრონტის ხაზის გასამაგრებლად. სრული უფლება გვაქვს, ჩვენი მიწა-წყალი სამხედრო გზით გავათავისუფლოთ. აზერბაიჯანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას არასდროს შეურიგდება“, – განაცხადა მან.

მიუნხენის შეხვედრიდან ერთი დღის შემდეგ კი სომხეთის პრეზიდენტის პრეს-მდივანმა გააკეთა განცხადება, რომ თუ აზერბაიჯანი სამხედრო ავანტიურას წამოიწყებს, „სომხეთმა შეიძლება მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა აღიაროს“.

მიუნხენის მოლაპარაკებების შემდეგ სომხეთის რევოლუციური ფედერაციის (დამნაცუტუიუნი) მთიანი ყარაბაღის ორგანიზაციამ შემდეგი განცხადება გამოაქვეყნა: „მადრიდის პრინციპების ირგვლივ მიმდინარე მოლაპარაკებების პროცესი ცხადყოფს, რომ სომხურ მხარეზე ხორციელდება ზენოლა არნახის (მთიანი ყარაბაღის ერთ-ერთი სახელწოდება სომხურად) საკითხთან დაკავშირებით. ყველამ იცოდეს, ვერავითარი ზენოლა ან თუნდაც ომის მუქარა ვერ აიძულებს სომხებს, უარი თქვან ეროვნულ ინტერესებზე. სომხეთა ერთობლივი ძალისხმევით ბრძოლის ველზე მოპოვებული დიდი გამარჯვება ვაჭრობის საგანი არ არის“.

სომხეთის ოპოზიცია უკმაყოფილოა იმ პოლიტიკით, რომელსაც ოფიციალური ერევანი ყარაბაღთან მიმართებაში ატარებს. „დამნაცუტუის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ვაჰან ჰოვჰანესიანმა განაცხადა, რომ თურქეთის პარლამენტში სომხეთ-თურქეთის პროტოკოლების რატიფიცირების სანაცვლოდ (ამ პროტოკოლების რატიფიცირების შემთხვევაში, შესაძლოა, წლების წინ ჩაკეტილი სომხეთ-თურქეთის საზღვარი გაიხსნას, რაც სომხეთის ინტერესებში შედის), სომხეთს მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლას აიძულებენ.

მეორე ოპოზიციურმა პარტიამ – „მემკვიდრეობამ“, რომელიც პარლამენტში მთიანი ყარაბაღის აღიარების ინიციატივით არაერთხელ გამოსულა, განაცხადა, რომ სომხეთის მთავრობას მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა კოსოვოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების პროცესის დაწყებამდე უნდა ეცნო. სწორედ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა უნდა გამხდარიყო პრეცედენტი.

საერთაშორისო ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ბაქოს მუშტის ქნევა სხვა არაფერია, თუ არა გზავნილი საერთაშორისო საზოგადოებისა და თურქეთისადმი, რადგან თურქეთი სომხეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას მთიანი ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტის გვერდის ავლით შეუდგა. თუმცა, სხვებს მიაჩნიათ, რომ თურქეთის პარლამენტში თურქულ-სომხური პროტოკოლების რატიფიცირება არ მოხდება, ვიდრე ყარაბაღის სტატუს კვო არ შეიცვლება.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყარაბაღის გარშემო გარკვეული ძვრები ხელოვნურადაა შექმნილი, რათა თურქეთის პარლამენტმა სომხეთ-თურქეთის პროტოკოლების რატიფიცირება მოახდინოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროტოკოლების რატიფიცირებისა და სომხეთის ბლოკადის მოხსნის სანაცვლოდ, თურქეთი და საერთაშორისო საზოგადოება სომხეთისგან ყარაბაღის საკითხში გარკვეულ დათმობებს ელოდება.

ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება სომხეთისთვის მოხდეს, „მემკვიდრის იძულება“. ანუ ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირებაში ჩართული სამი ძლიერი მოთამაშე – რუსეთი, ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები თურქეთთან ერთად გადაწყვეტენ, რომ თავად „მოაგვარონ“ ყარაბაღის კონფლიქტი.

უკანასკნელ ხანს რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-აზერბაიჯანის ურთიერთობებში უპრეცედენტო დათმობა შეინიშნება. რუსეთი კი ის ფაქტორია, რომელსაც შეუძლია სომხეთს და აზერბაიჯანს „მშვიდობა აიძულოს“.

24 ნოემბერს, მიუნხენში ალიევი-სარგსიანის შეხვედრის შემდეგ ორიოდე დღეში აზერბაიჯანის პრეზიდენტი რუს კოლეგას შეხვდა. ალიევა და მედვედევა ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების პროგნოზები განიხილეს.

ყარაბაღის კონფლიქტი იყო ერთ-ერთი მთავარი თემა ეუთო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზეც, რომელიც ათენში დეკემბრის დასაწყისში გაიმართა.

ძალიან მნიშვნელოვანია 6-7 დეკემბერს თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეფ თაიფ ერდოღანის ვაშინგტონში ვიზიტის შედეგები. ცნობილია, რომ ერდოღანი და ობამა ყარაბაღზეც ილაპარაკებენ.

სომხეთში არა მხოლოდ მთიანი ყარაბაღის აღიარების, არამედ სტატუს კვოს შეცვლის აუცილებლობაზეც საუბრობენ. გაზეთ „ირავნუკ დე ფაქტო“-სთვის მიცემულ ინტერვიუში, სომხეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა არტურ ბაღდასარიანმა განაცხადა: „სომხეთში არიან ძალები, რომელთაც სტატუს კვოს შენარჩუნება სურთ. მე ამას არ ვეთანხმები. ეს არც სომხეთისთვის არის მომგებიანი და არც აზერბაიჯანისთვის. უნდა გვეყვებინა გამბედაობა და პრობლემების გადაწყვეტა დავიწყოთ. დროებითი მშვიდობის სანაცვლოდ, სტატუს კვოს შენარჩუნება შეიძლება გამართლებული იყოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, რეგიონში ომის საფრთხე დამოკლეს მახვილივით მუდმივად იარსებებს“.



ფოტო: მარია ჯორჯაძე

## საზოგადოება

# ფსონი – ეკონომიკაზე თუ ადამიანზე?!

კაზინო ააყვავებს ტურიზმს და მოიტანს მოგებას. თუმცა, ამ ბიზნესს სოციალური რისკი ახლავს, რომელსაც სახელმწიფო არ ანგარიშობს.

### მარია ქოჩიაშვილი

აქ საათი არსად არის. დრო გაჩერებულია. ფანჯრები ისეა დაბურული, რომ შეუძლებელია გარჩევა – ღამეა თუ უკვე გათენდა. ქუჩის ხმაური სქელ შუშებში არ აღწევს – სიგარეტის კვამლში ჩაფლული დარბაზები მთლიანად მოწყვეტილია გარე სამყაროს. აქ დაძაბული სიმყუდროვეა.

„პრივატ“ მაგიდასთან ახალგაზრდა ბიჭი ზის, მარტო, კრუპიეს ეთამაშება. „ფიშკებს“ ნერვულად ათამაშებს. თვალები დახუჭული აქვს. ეტყობა, რომ „ფიშკა“ პირველად არ უჭირავს ხელში – თითებს სწრაფად ამოდრავებს. შუახნის ქალბატონი, რომელზეც ვერასდროს

წარმოიდგენ, რომ კაზინოში თამაშობს, „ფიშკებს“ მაგიდაზე ყრის. „რულეტკაში“ ბურთულა დახტის, შემდეგ კი ნელ-ნელა ჩერდება. დაძაბულობა მატულობს და ამასაც თავისი ხმა აქვს – ნერვული სიჩუმის ფონზე მხოლოდ მოხტუნავე ბურთულის და რულეტკის ტრიალი ისმის. ქალბატონი კიდევ უფრო ნითლდება. წაგებულთა „ფიშკებს“ კრუპიე აგროვებს და მაგიდის ჩალრმავეებში ყრის. ქალბატონი ახალ 100-დოლარიან კუპიურას იღებს, კრუპიეს ისევ „ფიშკებში“ უცვლის და თამაშს აგრძელებს.

ეს კაზინოს დაუნერვლი კანონია – დოლარინები პლასტმასის რგოლებში იცვ-

ლება, ლოყებანითლებული წაგებულები კი შინ ჯიბეგამოფხეკილი ბრუნდებიან. თუმცა, ესეც საუკეთესო შემთხვევაში – ზოგიერთი კაზინოში სახლ-კარსაც ტოვებს.

„კაზინო არ აგაშენებს, დაქცევით კი დაგაქცევს!“ – ამბობს გია, რომელიც 20 წელია, კაზინოში ყოველ მეორე დღეს მინც თამაშობს. ყოველ ჯერზე იხსენებს კაზინოს „სამ წესს“ (არ აპყვე „ზამაზკას“, ანუ თუ არ გიმართლებს, დროზე ადექი, „არ ითამაშო მთერალმა“, „არ გათამამდე, როცა იგებ“), მაგრამ თავის კონტროლი დღემდე უჭირს. საერთო ჯამში, უფრო მეტი აქვს დატოვებული, ვიდრე წაღებული.



■ კაზინო „გრანდ საქართველო“, თბილისი 2009

რისო რეისებში უცხოელი მოთამაშეები ჩავლენ. ამით წყალტუბო შეიძლება ლას-ვეგასის ტიპის ქალაქად გადაიქცეს“, – სერიოზული სახით აცხადებენ ცვლილების ინიციატორები.

„რულეტკა“ კაზინოების სასარგებლოდ მეორედ ტრიალდება. ამ ბიზნესს განვითარების შანსი ვარდების რეგულაციამდელ საქართველოშიც ჰქონდა. მაშინ აქ 20-მდე კაზინო არსებობდა. იურისტი ზურა მარაქველიძე, რომელიც იმ დროს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი იყო, იხსენებს, რომ როდესაც თურქეთსა და აზერბაიჯანში ეს ბიზნესი აიკრძალა, პრეზიდენტი შეშინდა, რომ პროფესიონალი მოთამაშეები ფულს ქვეყნიდან საზღვარგარეთ გაიტანდნენ. ამ აბსურდული მიზეზით პრეზიდენტი შევარდნაძე კაზინოების გაუქმების ინიციატივით გამოვიდა, მაგრამ პარლამენტმა მისი წინადადება ჩააგდო. „ამ ბიზნესის მთავარი დანიშნულება სინამდვილეში საპირისპიროა, შეათხელოს კლიენტების ჯიბეები, განსაკუთრებით კი – ტურისტების“, – ამბობს მარაქველიძე.

კაზინოების 99% ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მაინც დაიხურა. ახალმა ხელისუფლებამ ამ ბიზნესისთვის სალიცენზიო გადასახადი დაანესა. მაგალითად, თბილისში კაზინოს გახსნის მსურველს ბიზნესის დასაწყებად ლიცენზიისთვის 5 მილიონი ლარი უნდა გადაეხადა. ამას დამატება ყოველკვარტლური ფიქსირებული გადასახადიც თითოეულ მაგიდაზე 15-დან 30 ათას ლარამდე. ამ ბიზნესმა არსებობა ვეღარ შეძლო და ნელ-ნელა კაზინოების რიცხვი შემცირდა. ბოლო დრომდე ერთი კაზინო, „აჭარა“ განაგრძობდა არსებობას. ახლა კი პროცესი ისევ გამოცოცხლდა. მიუხედა-

ვად იმისა, რომ თბილისში ლიცენზიებზე შეღავათები არ დაწესებულა, დედაქალაქში ნოემბრის ბოლოს მესამე კაზინო გაიხსნა და მომავალ წელს კაზინო „ბერიკონის“ ახლიდან გახსნაც იგეგმება. ეკონომიკის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეს, სავარაუდოდ, უცხოელების მხრიდან ინტერესის გაზრდამ გამოიწვია.


ამ ინტერესს კიდევ უფრო მეტად გრძობენ ბათუმში. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე, თემურ დიასამიძე ვარაუდობს, რომ მომავალ წელს ბათუმს, შესაძლოა, კიდევ 2-3 კაზინო დაემატოს.

დეპარტამენტს უკვე დათვლილი აქვს ისიც, რომ ყოველ შაბათ-კვირას თურქეთიდან სარფის საბაჟოზე სათამაშოდ 2 ათასამდე ადამიანი გადმოდის. „ამას ხელს უწყობს ისიც, რომ თურქეთთან უვიზო რეჟიმი გვაქვს. ანუ ეს ძალიან მომგებიანი იდეაა. თანაც თითო ათას დოლარზე, რასაც ეს ადამიანები კაზინოში ხარჯავენ, ას დოლარს დამატებით სხვა რაღაცებში იხდიან, დაწყებული თამბაქოდან, დამთავრებული სასტუმროთი“, – ამბობს საქართველოს ბიზნეს ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ისაკაძე. ის მიიჩნევს, რომ ეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური შემოსავალი იქნება ქვეყნისთვის. იგეგმება ჩარტერული რეისების დანიშვნაც ისრაელიდან საქართველოში. ოქტომბერში 2 ასეთი რეისით დაახლოებით 250 ადამიანი ბათუმში სწორედ კაზინოში სათამაშოდ ჩაფრინდა.

უცხოელების სმირი ვიზიტების მიზეზი ისაა, რომ მეზობელ ქვეყნებში რადიკალურად იცვლება დამოკიდებულება კაზინოების მიმართ. აზერბაიჯანში 5-6 წლის წინ პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, როგორც ამბობენ, სათამაშო ბიზნესი იმის

სწორედ იმ იმედით, რომ ტურისტები „უფრო მეტს დატოვებენ, ვიდრე წაიღებენ“, მთავრობას ახალი წლიდან კანონში ცვლილებები შეაქვს და შეღავათებს სთავაზობს მათ, ვისაც კაზინოს გახსნა სურს. ამ სამთავრობო ინიციატივის მოტივი ტურიზმის განვითარებაა. მთავრობის გათვლით, მაგალითად შავი ზღვისპირეთის კურორტებზე, ტურისტების რიცხვი გაცილებით გაიზრდება, როცა იქ კაზინოების ბიზნესი აყვავდება.

ბიზნესმენები, რომლებიც ბათუმსა და ქობულეთში 100-ნომრიან სასტუმროს ააშენებენ, კაზინოს 10-წლიან ლიცენზიას ბონუსად მიიღებენ. აჭარაში დღეს ეს გადასახადი 250 000 ლარს შეადგენს. მათ კი, ვინც კაზინოს წყალტუბოსა და სიღნაღში გახსნის, ლიცენზია უფასოდ ერგებათ. ამით მთავრობა ინვესტორებს ამ ქალაქებში ფულის ჩასადებად ნაახალისებს. კაზინოს ბიზნესი სიღნაღის ტურისტულ პოტენციალს იმაზე მეტად გამოავლენს, ვიდრე ამ ისტორიული დასახლების „სიყვარულის ქალაქად“ გამოცხადება. „კოპიტნარის განახლებული აეროპორტით წყალტუბოში საერთაშო-



■ კაზინო „ივერია“, თბილისი 2009



გამო გააუქმა, რომ მის ვაჟს თამაშისთვის თავი დაენებებინა. სომხეთიც 2013 წლიდან კაზინოებს მხოლოდ სამ რეგიონში დაუშვებს. რუსეთში კი სათამაშო ბიზნესი უკვე მკაცრად ზონირებულია. „ეს ბიზნესი ძალიან არაეთიკურია. კანონიერ ქურდობას უდრის“, – მიაჩნიათ რუსეთის დუმაში და ივლისიდან დაწყებული თამაშს მხოლოდ ქვეყნის 4 რეგიონში უშვებენ, აკრძალვის ზონაში მოსკოვიც მოექცა. ამ ფონზე საქართველოს მართლაც აქვს შანსი, იქცეს სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი მოთამაშეებისთვის ნამდვილ სამოთხედ და ისინი არა მხოლოდ სათამაშოდ, არამედ კაზინოების მმართველებადაც ჩამოვიდნენ. ამის მაგალითი უკვე არსებობს – ახლად გახსნილ კაზინო „გრანდ საქართველოს“ ერთ-ერთი მენეჯერი რუსეთის მოქალაქეა.

საქართველოს მთავრობა გამორიცხავს კაზინოების ერთ-ერთ მთავარ რისკს – ფულის გათეთრების საფრთხეს, რაც 1998 წელს თურქული კაზინოების მასობრივი დახურვის მიზეზი გახდა. თურქეთში 11 წლის წინ გამოაშკარავეს, რომ კაზინო კორუფციის წყაროდ და არალე-

ნონს, უნდა გააანალიზოს, შეძლებს თუ არა ამის გაკონტროლებას. ამერიკაში ცენტსაც ვერ მოიპარავ. იქ კომპიუტერული სისტემა და სერიოზული დაკვირვება ხდება. აქ რამდენად მოხერხდება ასეთი კონტროლი, არ ვიცი“.

გიორგი ისაკაძე კი აცხადებს: „თუ ფულის გათეთრებაზე ვლაპარაკობთ, გამოდის, პირდაპირ ვაკეთებთ იმის დეკლარირებას, რომ ჩვენი სახელმწიფო სტრუქტურებია სუსტი. მე კი ვამბობ სანინალმდეგოს. ეს პროცესი იმდენად კონტროლდება, რომ მეფეცა, ასე მოხდეს. ფულის გათეთრების მილიონი სქემა არსებობს და მაშინ ბიზნესი ვერ გაგვიკეთებია?“

ფინანსური რისკის გარდა, განვითარებულ ქვეყნებში კაზინოებს სოციალური პრობლემების წყაროდაც მიიჩნევენ. თამაში იქ ისეთივე დამოკიდებულებად მიიჩნევა, როგორც ნარკომანობა ან ალკოჰოლიზმი. ამ სახელმწიფოებში პრობლემას აღიარებენ და არსებობს ტერმინიც – "Problem Gambler".

„ქართველებიც არიან აზარტულები, მაგრამ გაჭირვებამ მათ მეტი გამოცდი-

ნოსა და სლოტ კლუბში არსებული სურათიდან გამომდინარე, რთული არ არის ვივარაუდოთ, რომ იქ დადინა როგორც მდიდრები, ასევე ღარიბებიც; მდიდრები – გასართობად, ღარიბები კი ფულის „სამოვნელად“. კაზინო „აჭარას“ დღეში 1000-1200 ადამიანი სტუმრობს და ბევრს ეტყობა, რომ უკანასკნელი თეთრით შედის სათამაშოდ, იმ იმედით, რომ თეთრებს ქალაქის ფულად გადააქცევს.

ფსიქოლოგი ნანა ჩაჩუა მიიჩნევს, რომ თამაშზე დამოკიდებულთა მდგომარეობა ბოლო დროს კატასტროფული გახდა და გაათამაგდა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მას დასახმარებლად მიმართავენ. „როცა 20-მდე ადამიანი ამ პრობლემით ფსიქოლოგთან მიდის, ეს ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტს აქვს პრობლემა, რადგან, როგორც წესი, ადამიანების უმრავლესობა ამაზე ფიქრს გაურბის, პრობლემად არ აღიარებს და არც ფსიქოლოგის დახმარებას ითხოვს“. ამ კონტრასტს ბრიტანეთშიც ადასტურებენ. მხოლოდ შარშან, სტატისტიკის მიხედვით, დიდ ბრიტანეთში „პრობლემურ მოთამაშეთა“ ცხელ ხაზზე 50 ათასმა ადამიანმა ითხოვა დახმარება, თამაშის სერიოზული პრობლემა კი 300 ათასზე მეტს ჰქონდა.

ბრიტანეთში უამრავი ორგანიზაცია ზრუნავს იმ ადამიანებზე, ვინც თამაშზე დამოკიდებული ხდება. არსებობს პრევენციული პროგრამები, რომ ახალგაზრდა თაობას ალტერნატიული, უფრო ჯანმრთელი, გასართობი ან საგანმანათლებლო პროექტი შესთავაზონ. ჯერ კიდევ გაუმართავი ჯანდაცვის სისტემის გამო, ჩვენთან არ არსებობს არც ერთი სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც პრობლემურ მოთამაშეებზე იზრუნებდა. ეს ფუნქცია გარკვეულწილად ქალთა კლუბ „ჰეონს“ აქვს შეთავსებული, რომელიც რეაბილიტაციის პროგრამას ნარკომანებს სთავაზობს, მაგრამ მათი პაციენტების 90 პროცენტი მოთამაშეც არის.

ის, რომ თამაში ნარკოტიკა და ისეთსავე ლტოლვას იწვევს, როგორსაც წამალი, არც მოთამაშეები უარყოფენ. „ისეთი კაიფი მოაქვს, რომ რთულია ამისთვის თავის დაწება“, – ამბობს გია.

სათამაშო ბიზნესის აყვავება მთავრობას ტურიზმის განვითარებისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნია. ეს მომგებიანი იქნება ქვეყნის ბიუჯეტისთვისაც. თუმცა, ეკონომიკური ბრუნვის ზრდას სხვა პარალელური პროცესებიც ახლავს, რომელთა იგნორირების გამო, ერთი მხრივ, რისკის ქვეშ სწორედ ეკონომიკური სარგებელი დგება, მეორე მხრივ კი – ადამიანთა ფსიქიკური ჯანმრთელობა. **■**

## ■ „წყალტუბო შეიძლება ლას-ვეგასის ტიპის ქალაქად გადაიქცეს“, – სერიოზული სახით აცხადებენ ცვლილების ინიციატორები.

გალურად ნაშოვნია ფულის გათეთრების საშუალებად იქცა, რაშიც პოლიტიკოსებიც იყვნენ ჩართულები. მას შემდეგ თურქეთში ყველანაირი სათამაშო ბიზნესი აიკრძალა, მცირე სლოტ კლუბების ჩათვლით.

კაზინო ძირითადად ორ შემთხვევაში შეიძლება იქცეს ფულის გათეთრების საშუალებად – როდესაც სახელმწიფო ბერკეტები და კონტროლი სუსტია, ანდა როდესაც ამით დაინტერესებულია ვინმე თავად ხელისუფლებაში.

სწორედ იმის გამო, რომ სახელმწიფო ბერკეტები იყო სუსტი და კორუმპირებულ გარეგნებში თვითონ ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ ჩართულები, ქართველი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შვედრდნადის დროს კაზინო მართლაც შეიძლებოდა ყოფილიყო ფულის გათეთრების საშუალება. ახლა გამართული საგადასახადო სისტემის გამო, ეს რისკი მცირდება. თუმცა, მეორე საფრთხე თეორიულად მაინც რჩება.

იურისტ ზურაბ მარაქველიძის აზრით, „ხელისუფლებამ, რომელიც იღებს ამ კა-

ლება შემატა – რთულ სიტუაციაში ცდილობენ მარტივი გამოსავალი არ ნახონ. თამაში ჩვენთან რეალური პრობლემა არ არის. არ მგონია, ახალგაზრდობა დამოკიდებული იყოს ამაზე. მით უმეტეს, რომ სლოტ კლუბებს ვუზრდით გადასახადებს და მათი რაოდენობა უკვე შემცირდა“, – აცხადებს ირაკლი ლვალაძე.

თუმცა, სლოტ კლუბების რაოდენობის შემცირება მათი მფლობელებისთვის უფრო პრობლემა, ვიდრე მოთამაშეებისთვის. ლვალაძის არგუმენტი არაკომპეტენტურად ჟღერს, რადგან საქართველოში არ ჩატარებულა არანაირი კვლევა გასართობ ცენტრებში მოსიარულე ადამიანებზე. რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები დადინა კაზინოებსა და სლოტ კლუბებში, ვინ რისთვის თამაშობს, რამდენს აგებს იქ და დამოკიდებულია თუ არა თამაშზე. ვინ არის მოთამაშეც და პარალელურად ნარკომანიც ან ალკოჰოლიკიც. რამდენი მათგანია დაუსაქმებელი და, შესაბამისად, რამდენისთვის წარმოადგენს კაზინო საარსებო წყაროს. თუმცა, ნებისმიერ კაზინო-



ილუსტრაცია: ზაზა ტაბატაძე

გენდერული დისბალანსი

## გამქრალი გოგონები

სქესთა თანაფარდობის დარღვევით საქართველო მსოფლიოში პირველ ადგილზეა. 2008 წლის მონაცემებით, საქართველოში ყოველ 100 გოგონაზე 128 ბიჭი იბადება. მეცნიერები ამ მონაცემს სქესობრივი დისკრიმინაციის ინდიკატორად განიხილავენ და სელექტიურ აბორტებთან და ინფანტიციდთან, ანუ ახალშობილთა მკვლელობებთან, აკავშირებენ.

### თიკო ცომია

სხვადასხვა მონაცემით, მსოფლიოში 60-დან 107 მილიონამდე გოგოა გამქრალი. მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ინდონეზია და ჩინეთს აქვთ. თუმცა, პროცენტული დაანგარიშებით კავკასიის ქვეყნები სიის სათავეში არიან.

ექსპერტების აზრით, სქესებს შორის თანაფარდობის დარღვევა ორსულობის ადრეულ დიაგნოსტიკას უკავშირდება. ულტრაბგერითი გამოკვლევა ნაყოფის

სქესის დადგენისა და არასასურველი სქესის ნაყოფის მოშორების საშუალებას იძლევა. ასე გაჩნდა „გამქრალი გოგონების“ ცნება იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება ბიჭების მიმართ არის მიკერძოებული.

თანაფარდობა სქესს შორის საქართველოში 1994 წლიდან ირღვევა. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ჩვენთან ულტრასონოსკოპიის პრაქტიკა.

ალიარებულია, რომ ახალშობილებში სქესთა ნორმალური განაწილებისას ყო-

ველ 100 გოგონაზე 104-107 ბიჭი უნდა მოდიოდეს. ჩინეთში ყოველ 100 გოგონაზე 122 ბიჭი იბადება, საქართველოში კი 2008 წლის მაჩვენებელმა ჩინეთისას გაუსწრო და 100 გოგონაზე 128 ბიჭი შეადგინა.

დემოგრაფიის ექსპერტის გია წულაძის თქმით, ჩინეთის მონაცემები სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკით აიხსნება, რომელიც ერთი ბავშვის გაჩენაზეა მიმართული. საზოგადოებაც ვაჟზე ორიენტირებულია, ქალის როლი კი დაკნინებულია.



სასურველი შვილი - ბიჭი



ყველა გამოკითხული ექოსკოპისტი ადასტურებს, რომ ბიჭის ყოლის სურვილი განსაკუთრებით გამძაფრებულია მამებში. „კაცებს უფრო ხშირად ბიჭი უნდათ, თუმცა ყოფილა, რომ გოგოც გახარებათ, პირველი – განსაკუთრებით“, – ამბობს მკალავიშვილი.

საშა ფაჩუაშვილი: „კაცების 90 პროცენტს ცალსახად ბიჭი უნდა. ქალებში იგივე ვარიანტია, ოღონდ პირიქით“.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტების მიერ ქუჩაში გამოკითხული 48 ადამიანიდან 57 პროცენტს ურჩევნია ჰყავდეს ბიჭი, ვიდრე გოგო. გამოკითხულთაგან ნახევარს კაცები შეადგენდნენ. 24 კაციდან ბიჭის ყოლის სურვილი 66-მა პროცენტმა გამოთქვა, ქალებში ეს სურვილი ოდნავ უფრო შესუსტებული იყო (45 %).

58 წლის ქეთინოს უნდა ბიჭი ჰყავდეს, რადგან ბიჭი ძლიერი სქესის წარმომადგენელია და გვარის გამგრძელებელია. 37 წლის ვიასთის კაცი ოჯახის თავია და ყველა სფეროში ლიდერია. 4 წლის ლადო კი ამბობს, რომ მასაც, რომ გაიზრდება, ბიჭი ეყოლება, რადგანაც ბიჭის ყოლა ყველა კაცის ოცნებაა.

გამოკითხულთა 25 პროცენტი ამბობს, რომ ურჩევნია ჰყავდეს გოგო.

გოგონები უფრო საყვარლები არიან და ადვილი გასაზრდლებიც, – ამბობს 43 წლის ნელი.

27 წლის ლიას აზრით, გოგონები უფრო სანდონი არიან მშობლებისთვის. 22 წლის ანასაც გოგო ურჩევნია, რადგან გოგოები დედებს ეხმარებიან.

საბახტარაშვილის აზრით, დღეს საქართველოში შვილოსნობის პრობლემა მარტივად წყდება. შვილი განიხილება, როგორც ხარჯი და არა როგორც დოვლათის შემქმნელი. „ამაზე ხმამაღლა უჭირთ ლაპარაკი, თუმცა შვილს ისეთივე დატვირთვა აქვს, რაც სახედარს; ხაზი ესმება მის საქირებებს“, – ამბობს საბახტარაშვილი.

იქ გოგონები ქრებიან იმ ფონზე, რომ ზოგადად შობადობა მცირდება, ჩვენთან კი გოგონებსა და ბიჭებს შორის დისბალანსი გაზრდილი შობადობის ფონზე მიმდინარეობს.

ამ პარადოქსული მონაცემის ღრმა ანალიზი სათანადო კვლევების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ სპეციალისტები მხოლოდ ვარაუდობენ, რომ ჩვენთან ან დაბადებულთა აღრიცხვა არ ხდება სრულად, რაც გამქრალი გოგონების რაოდენობას ზრდის; ანდა გოგონებს, როგორც არასასურველ ნაყოფს, დედები სელექტიური აბორტებით გამიზნულად იშორებენ. „თუ ამ ვერსიას ვაყვებით, ყოველწლიურად საქართველოში 2000-ზე მეტი ქალი, შვილის არასასურველი სქესის გამო, მიზანმიმართულად უნდა იკეთებდეს აბორტს“, – ამბობს ნულაძე.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2007 წელს საქართველოში 20.000-მდე აბორტი გაკეთდა. სხვადასხვა გათვლით, აბორტების რიცხვი დაფიქსირებულზე 4-ჯერ მეტია, რადგან ჯერ კიდევ ხშირია არალეგალური აბორტების შემთხვევებიც.

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ ადგენს, რომ ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას; 12 კვირის შემდეგ კი აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით. შესაბამისად მათ, ვისაც ბიჭის გარეხა სურთ, სქესის დადგენა 12 კვირამდე ექნებათ.

რაც შეეხება სქესის შერჩევის საკითხს, ქართული კანონმდებლობა კრძალავს მხოლოდ ხელოვნური ჩასახვის მეთოდების გამოყენებას, სქესის შერჩევის მიზნით, თუმცა არაფერია ნათქვამი, ამავე მიზნით აბორტების აკრძალვის შესახებ. ეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, გივი ჯავაშვილის თქმით, ეს თემა დღემდე არც ეთიკის კომისიის განხილვის საგანი გამხდარა.

პროფესორ ზურაბ საბახტარაშვილის თქმით, ყოფილა შემთხვევები, როცა ორი გოგონას მშობლებს, თუ მესამე ბიჭი არ უჩნდებოდათ, გამოუთქვამთ აბორტის გაკეთების სურვილი. „მაგრამ ეს მხოლოდ ემპირიული დაკვირვებაა, რომელსაც ზურაბ საბახტარაშვილი კვლევები ვერ უმაგრებს“, – ამბობს ის.

ჩვენ მიერ გამოკითხული ხუთი ექოსკოპისტი კი ერთხმად აღიარებს, რომ მათ კლიენტებს შორის თითქმის ყველას აინტერესებს ბავშვის სქესი, უმრავლესობას კი ბიჭის ყოლა სურს.

ექიმი რადიოლოგი სერგო მათითაშვილი ამბობს, რომ გასასინჯად მასთან დღემდე 20-მდე ორსული მიდის. 10 პაციენტიდან რვას სქესი აინტერესებს. მათითაშვილის თქმით, შვილის სქესი განსაკუთრებით რეგიონებში აინტერესებთ. ახალ ტექნოლოგიებში გაუთვითცნობიერებელი მოსახლეობისთვის ექოსკოპიის საჭიროება მხოლოდ სქესის დადგენით შემოიფარგლება. „ამის გამო ხშირად ჩვიან ჩვენი კოლეგები რეგიონებიდან“, – ამბობს მათითაშვილი. თუმცა მსგავსი ეთიკური საკითხები არც სამედიცინო კონფერენციებზე განუხილავთ.

ტატიშვილის სახელობის საკონსულტაციო ენდოსკოპიის ცენტრსაც დღემდე საშუალოდ 20-მდე ორსული აკოთხავს. ექიმი რადიოლოგი ქეთევან მკალავიშვილი ამბობს, რომ მის კლიენტებს ადრე უფრო ხშირად, მაგრამ ახლაც აინტერესებთ ხოლმე ბავშვის სქესი, არასასურველი სქესის გამო აბორტი რომ გააკეთონ. ასეთი პაციენტები არ მალავენ, რატომ უნდათ სქესის გაგება. „მე რომ არ ვუთხრა, სხვა ეტყვის, ვერც დავეუბნავთ, ექოსკოპისტის მოვალეობა არ არის დამალვა, არამედ რეალობის აღწერა“, – ამბობს მკალავიშვილი.

ცენტრის ხელმძღვანელი საშა ფაჩუაშვილი პრაქტიკაზე დაყრდნობით ამბობს, რომ აბორტის გაკეთების მიზნით სქესის დადგენა კლიენტების 20 პროცენტს აინტერესებს. ასეთი შემთხვევები თვითონაც ჰქონია, რის გამოც, უარი განუცხადებია მომსახურების განუვაზეც და გასამრჯელოზეც. „როცა მიგმხვდარვარ, რისთვის აინტერესებთ სქესი, აღარ დამინერია პასუხი. ეს იქნებოდა ჩემი მონაწილეობა მკვლევლობაში“, – ამბობს ფაჩუაშვილი.

დავით ვასაძე „ჯანმრთელობის სახლის“ ერთ-ერთი ექოსკოპისტი. მისი თქმით, 18 კვირის შემდეგ უკვე თვალნათლივ ჩანს სქესი. ამბობს, რომ სქესის დადგენა ექოსკოპიით უფრო ადრეც შეიძლება: „კლიენტებს პრინციპულად არ ვეუბნები ადრეული ორსულობის პერიოდში სქესს. ამას მხოლოდ მაშინ ვაკეთებ, როცა ვიცი, რომ ეს მისი პირველი ორსულობაა და ბავშვს ნამდვილად გააჩენს. თუ განმეორებითი ორსულობაა, მაშინ არ ვეუბნები, რადგან ვიცი – თუ ერთი გოგო ჰყავს და ბიჭი უნდა, გოგოს შემთხვევაში, ნაეა და აბორტს ვაკეთებ. ეს ჩემი პირადი შეხედულებაა – არ ვუნყობ ხელს აბორტებს“, – ამბობს ვასაძე.

„ჯანმრთელობის სახლი“ კი ზოგადად იმით არის ცნობილი, რომ 10-11 კვირის ორსულთა გამოკვლევას ახდენს სქესის დადგენით. ამის შესახებ ინფორმაციას თავიანთ სარეკლამო ტექსტებშიც მიუთით-





გილოცავთ ახალ 2010 წელს!



**არქიმედეს**

გლობალ ჯორჯია  
სამედიცინო დაწესებულების ჯგუფი

თებენ. სავარაუდოდ, გამოკვლევა ცენტრისათვის მალაშემოსავლიანია: ცენტრს დღემდე საშუალოდ 20-მდე ქალი მიმართავს. გამოკვლევის ფასი კი 50 ლარია. ამ კლინიკაში სქესს ნაადრევად ადგენს დირექტორის მოადგილე, ამირან გურგენიძე. ის ამბობს, რომ პაციენტები, მართალია, ადრეული ორსულობისას ხშირად მიმართავენ, მაგრამ იშვიათად იშორებენ ნაყოფს. გურგენიძე იმასაც უშვებს, რომ სქესის 11 კვირაზე დადგენისას, შესაძლოა, შეცდომაც მოხდეს: „თუ ვერ ვხედავ სქესს, ასეც ვეუბნები და მოგვიანებით ვიბარებ ექოსკოპიაზე. არ ვიცი ასეთი ფაქტები ჩვენთან ყოფილა თუ არა, მაგრამ უშეცდომო ადამიანი არ არსებობს“, – ამბობს გურგენიძე. „100-დან მხოლოდ ერთ დედას არ უნდა გაიგოს შვილის სქესი. ჩემი აზრით, ეს სწორი არ არის, მეც მაინტერესებდა ვინ იქნებოდა, ბოლოს და ბოლოს, ბიჭს სხვანაირად ეფერები, გოგოს სხვანაირად“, – დასძენს ის. გურგენიძის აზრით, რადგან მოთხოვნა სქესის დადგენაზე მაღალია, მის აკრძალვას აზრი არ ექნება. სქესის ადრეული დიაგნოსტიკისთვის მნიშვნელოვანია ექიმის კვალიფიკაცია და გამოცდილება. ხოლო ის ექიმები, რომლებიც მშობლებს 18 კვირამდე ნაყოფის სქესს არ უმხელენ, უბრალოდ, ვერ ხედავენ.

**გენდერული დისკრიმინაცია**

საქართველოში გენდერულ დისკრიმინაციას საზოგადოებაში არსებული გენდერული სტერეოტიპები განაპირობებს. საზოგადოებებს, სადაც მაღალია ქალთა მიმართ დისკრიმინაცია, პატრიარქალური კულტურა აერთიანებთ. ასეთ საზოგადოებაში ბიჭი გოგოსთან შედარებით მეტად დაფასებული და სასურველია.

„საქართველოში გენდერული დისკრიმინაცია რომ პრობლემაა, ორი აზრი არ არსებობს“, – ამბობს ფსიქოლოგი მარინა ჩიტაშვილი და მაგალითად ჯანდაცვის და განათლების სფერო მოჰყავს, სადაც დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალებია, ხოლო გადანაცვლებების მიმღები კი – რამდენიმე კაცი.

ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი ფიქრობს, რომ ჩვენი საზოგადოების განწყობები და მოთხოვნები ფესვგამდგარ პატრიარქალურ კულტურაზე მიუთითებს.

გენდერის ექსპერტის ნანა ბერეკაშვილის თქმით, რაც უფრო ტრადიციულია საზოგადოება, მით უფრო ძლიერია გენდერული სტერეოტიპების როლი, სადაც ქალისა და კაცის თვისებები და მათ მიერ შესრულებული როლები მკაცრად არის განსაზღვრული და ერთიმეორის საპირის-

პიროდ მიიჩნევა. მაგალითად, გენდერული სტერეოტიპის მიხედვით, ქალი უნდა იყოს რბილი და დამთმობი, ხოლო მამაკაცი აგრესიული და უხეში, ქალის ადგილი სახლშია, კაცს კი აქვს გადაადგილების თავისუფლება. გენდერული სტერეოტიპები საფუძველს უქმნის სექსიზმს, ანუ ადამიანთა სქესის მიხედვით დისკრიმინაციას.

ფსიქოლოგიაში ცნობილია ე.წ. „სიძულვილის პირამიდის“ მოდელი, რომელიც გვეუბნება, რომ ყოველგვარი ძალადობა უთანასწორობაზე აგებული სტერეოტიპებიდან იწყება, – ამბობს ბერეკაშვილი.

საქართველოში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპების დეტალური კვლევა თითქმის შეუძლებელია, რადგანაც საფუძვლიანი კვლევები ამ თემაზე არც ჩატარებულა.

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა 2007 წელს 1500 პირის გამოკითხვა, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ ქცევასთან მიმართებაში, როგორცაა სიგარეტის მოწევა, ქორწინებამდე სქესობრივი ურთიერთობების დამყარება, ქალებს ორჯერ უფრო უფრო მკაცრ შეზღუდვებს უყენებენ, ვიდრე მამაკაცებს.

ექსპერტები ვარაუდობენ, რომ სელე-

ქტიური აბორტებისთვის საფუძველს გენდერული სტერეოტიპები ქმნის. და რომ გოგონებისადმი ასეთ უსამართლო დამოკიდებულებას შეიძლება ქალების განათლებითა და მათი ეკონომიკური გაძლიერებით ეშველოს. იდეა ის არის, რომ შეძლებული და განათლებული მშობლები გოგონების აღზრდაშიც ისევე დააბანდებენ ფულს, როგორც ბიჭებში. ყველა სტრატეგია ქვეყნის კულტურულ-სოციალური თავისებურებებიდან გამომდინარეობს და ინდივიდუალურია. მაგალითად, ინდოეთში ქალის მხოლოდ ეკონომიკურად გაძლიერება არ არის საკმარისი დისკრიმინაციის შესამცირებლად. ეკონომიკურად ძლიერი, მაგრამ გაუნათლებელი ქალი კიდევ უფრო მეტად უწყობს ხელს გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებას. უთანასწორობის და დისკრიმინაციის დაძლევა ქალთა განათლების გარეშე შეუძლებელია. საქართველოში არსებული პრობლემებიც ინდივიდუალურად, კვლევისა და განსჯის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. [4]

მასალის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო ელენე ცინცაძემ

**სხვა ქვეყნების გამოცდილება: განსხვავება და მსგავსება**

ინდოეთში მრავალი წყვილი მზად არის, შეწყვიტოს არასასურველი სქესის ორსულობა, რაც ძირითადად ქორწინების ტრადიციას უკავშირდება. ქალის გათხოვება ოჯახისთვის დიდალ დანახარჯთან არის დაკავშირებული. ინდოეთში ულტრასონოგრაფიის რეკლამა ასეთია: „გადიხადე 5000 რუპია დღეს და მოიგე 500 000 სვალ“. ჩინეთშიც და ინდოეთშიც სქესის შესახებ მშობლების ინფორმირება მუცლად ყოფნის პერიოდში უკანონოდ ითვლება.



სქესთან დაკავშირებული აბორტები აკრძალულია, თუმცა პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული და დამნაშავეები იშვიათად ისჯებიან.

ინდოეთში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ მშობლებისთვის გოგონები ნაკლებ ღირებულნი არიან, რაც ყოფით დეტალებშიც მჟღავნდება. მაგალითად,

ბებიასქალებს მხოლოდ ბიჭის დაბადების შემთხვევაში ჩუქნიან ფულს. ამასთან, გულგრილობა ყველა ქალიშვილზე როდი ვრცელდება. ინდოეთში პირველი გოგო ისეთივე ფასეულია, როგორც მისი ძმები, რაც არ ვრცელდება დანარჩენ ქალიშვილებზე. პირველი გოგოს დაბადების შემდეგ კვლავაც არის შანსი, რომ შემდეგი ბიჭი გაჩნდეს, მაგრამ ეს შანსი სულ უფრო მცირდება ყოველი შემდეგი გოგონას დაბადების შემდეგ. მშობლები კი ყოველ ჯერზე დაძაბულები ელიან სასურ-

ველი სქესის შვილს. ასევე, აღმოჩნდა, რომ ინდოეთში გამქრალი გოგონების რიცხვი გაცილებით მეტია მდიდარ რეგიონებში: მეტი ფული, განათლება, საზოგადოების უმაღლესი კასტის წევრობა მხოლოდ ზრდის ოჯახში ქალიშვილების მიმართ გამოხატულ დისკრიმინაციას. განათლებულ და შეძლებულ ქალებს ისეთივე სურვილები აქვთ, რაც გაუნათლებელ და ღარიბ ქალებს. განსხვავება ის არის, რომ თუ ღარიბ ოჯახში, სადაც 7 შვილი ჰყავთ, გოგოს დაბადება იმედგაცრუებას იწვევს, შეძლებულ ოჯახში, სადაც ძირითადად 2-3 შვილი ჩნდება, გოგოს დაბადება ტრაგედიაა. მიუკერძოებე გოგონების წინააღმდეგ რამდენიმე განვითარებულ, მდიდარ და განათლებულ ქვეყანაშიც შეინიშნება, მათ შორის – სამხრეთ კორეაში, ტაივანსა და სინგაპურში.

# ელიტისტური ლიბერალიზმი



საქართველოს ხელისუფლების იდეა ნაციონალური ესთეტიკის ზემოდან შეცვლაა. ეს კი, პირველ რიგში, „მოდერნიზებული“ სახელმწიფო ინსტიტუტების და ნაციონალური იდეოლოგიის შექმნას გულისხმობს.

გიორგი ცხადაია

„ლიბერალიზმის“ რუბრიკის პირველი თემების ზოგადი იდეის გამოსაკვეთად იმაზე ვილაპარაკებ, თუ რის შესახებ არ იქნება რუბრიკა. მაგალითად, ჩვენ არ ვიმსჯელებთ იმის შესახებ, თუ რომელი სახელმწიფოებრივი ნყობლება უფრო მართებულია: ლიბერალურ-დემოკრატიული თუ ავტორიტარული; არც იმაზე, თუ ლიბერალიზმის როგორი გაგება არსებობდა ინგლისელი ფილოსოფოსის, ჯონ ლოკის დროს; არც იმ თეორიულ საკითხებს მიმოვიხილავთ, რომლებიც ლიბერალიზმისა და კონსერვატივიზმის დაპირისპირებას განსაზღვრავდა სხვადასხვა ეპოქაში ამერიკასა ან ევროპაში. ჩვენ არ გვანტერესებს არც ის გამზადებული თეორიული სქემები, რომლებსაც განვითარებადი ქვეყნებისთვის გამოსცემენ ხოლმე დასავლური არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციები; შედარებით მეტ ინტერესს დამსახურებს ისეთი კრიტიკული თეორიული საკითხები, რომლებსაც ადგილობრივ სიტუაციას შევუსაბამებთ. ჩვენი მსჯელობები არ იქნება თეორიული მნიშვნელობებისგან დაცლილი, თუმცა, ძირითადად აქცენტი გაკეთდება საქართველოში არსებული პოლიტიკური და სოციალური რეალობის კრიტიკასა და შესაბამისი იდეოლოგიური საფუძვლების ანალიზზე. ბუნებრივია, რომ გაგვიჭირდება პრობლემებისა და იდეების მხოლოდ ქართულ კონტექსტში განხილვა და მთელ რიგ შემთხვევებში მოვიწვევს რეგიონული ან გლობალური მოვლენების ჩვენებულ ანალიზში ჩართვა. უფრო მეტიც, ჩვენი მიზანია ისეთი თანმიმდევრული „ლიბე-

რალური“ კრიტიკის შემოთავაზება, რომელიც აქტუალური იქნება როგორც ქართულ, ასევე გლობალურ კონტექსტში. იმისათვის, რომ ის ზოგადი თემები გამოვკვეთო, რომლებზეც ამ რუბრიკის განმავლობაში ვიმსჯელებთ, ქართული სოციოპოლიტიკური რეალობის ჩემეულ მოკლე ანალიზს შემოგთავაზებთ. შესაძლოა, მომავალში ეს თემები სხვა უფრო ყურადსაღები საკითხებით განვავრცოთ, თუმცა ჩვენი სანყისი ჩანაფიქრი მკითხველისთვის რომ ნათელი გახდეს, საჭიროდ მიმაჩნია, რომ „ლიბერალიზმის“ რუბრიკა სწორედ ასეთი ფორმით წარვადგინო. ლიბერალიზმი სხვა იდეოლოგიებისგან იმით გამოირჩევა, რომ ამოსავალ ნერტილად იღებს ინდივიდის თავისუფლებას. ლიბერალისტების მნიშვნელოვანია გარკვეული ინსტიტუტები, რეფორმები, იდეოლოგიები იმდენად, რამდენადაც ისინი პასუხობენ კერძო პირის, სრულუფლებიანი მოქალაქეების საჭიროებებს და მიზნებს. ლიბერალიზმისთვის საფრთხეს წარმოადგენს არა მხოლოდ ძალადობრივი ინსტიტუტების თვითნებური ქმედებები (მაგ.: ძალოვანი სტრუქტურების), არამედ უმრავლესობის აზრიც, რადგან როგორც ფრანგი მთაბრუნე ალექსის დე ტოკვილი იტყვოდა, „როდესაც ძალაუფლების მსახვრალ ხელს ჩემ თავზე ვგრძნობ, ნაკლებად მალეღვებს ვინ არის ის, ვინც მჩაგრავს“. ტოკვილი მიიჩნევდა, რომ დემოკრატიის პირობებში, შესაძლოა, მჩაგრელად იქცეს ის უმრავლესობა, რომელიც საერთო შეხედულებებს იზიარებს, ხოლო უმცირესობა კი მარგინალიზებული

გახდეს. შესაძლოა, მოხდეს პირიქითაც: უმცირესობამ დაჩაგროს უმრავლესობა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ლიბერალებად ის ადამიანები მიიჩნეოდნენ, ვინც საბაზრო ეკონომიკური თავისუფლების, პიროვნების თავისუფლებისა და მოდერნიზაციის იდეებს უჭერდნენ მხარს. ისინი ძირითადად არასამთავრობო სექტორში იყვნენ თავმოყრილნი და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისგან იმით გამოირჩეოდნენ, რომ გამოდნენ შოვინისტურ, ნეპოტიტურ და „ტრადიციულ“ მორალს. ეს დაპირისპირება იყო არა წმინდა იდეოლოგიური (ლიბერალები კონსერვატორების წინააღმდეგ), არამედ უფრო გეოპოლიტიკური და ესთეტიკური, თუ შეიძლება რომ ასე ვუნდოდოთ. როდესაც აღნიშნული არასამთავრობოების წარმომადგენლები ხელისუფლებაში მოვიდნენ, მათი ეს „ლიბერალიზმი“ გახდა თანმიმდევრული, როგორც იდეოლოგია და იქცა მემარჯვენე ლიბერალიზმად. მანამდე ისინი უბრალოდ ებრძოდნენ შევარდნაძის რეჟიმს და „დასავლური ღირებულებების“ დამკვიდრებას ცდილობდნენ. ხელისუფლებაში ყოფნის განმავლობაში კი გარკვეული იდეოლოგია შეიმუშავეს, რომლითაც ქვეყანა უნდა ემართათ. ჩვენი რუბრიკის ჩარჩოში ვეცდებით, რომ სწორედ ეს საკითხი გავშალოთ და უარყოფით კრიტიკასთან ერთად პოზიტიურ იდეებზეც გავამახვილოთ ყურადღება. ვინაიდან ხელისუფლების პოლიტიკა დაფუძნებული იყო სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების შენებაზე, ის თავისთა-



ვად გახდა ანტილიბერალური, რადგან აქცენტი კეთდებოდა აბსტრაქტულ იდეებზე და არა ადამიანებზე. შეიქმნა გარკვეული ტიპის დოგმებიც, რომლებიც მართალია, მემარჯვენე ლიბერალური იდეოლოგიებისგან აიღეს, მაგრამ არსებითად საბჭოთა აზროვნების კატეგორიებით შექმნილ კონსტრუქციებს წარმოადგენდა. მაგალითად, ავიღოთ ხელისუფლების მთავარი ეკონომიკური პოლიტიკის – ლიბერტარიანიზმის და ეკონომიკური მემარჯვენეობის იდეები. კახა ბენდუქიძე, რომელიც ამ იდეების მთავარი აპოლოგეტია, მიიჩნევს, რომ რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა სახელმწიფო ბაზარში, მით

ლიტიკურ ძალას წარმოადგენენ საქართველოში. თუმცა ეს ლიბერალურობა მათთვის არა თანასწორობის და თავისუფლების იდეების მხარდაჭერასა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაში, არამედ გარკვეული ტიპის ესთეტიკის დომინირებაში გამოიხატება. მათი ეს ესთეტიკა მოდის ხელისუფლებასთან ასოცირებული არსებიდან, მთავრობის პიარ კამპანიებიდან და არის „დასავლური“.

სინამდვილეში, არანაირი პრინციპული განსხვავება არ არსებობს, მაგალითად, ახლანდელ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და შვეარდნაძის დროინდელ მაუწყებელს

საკაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ გვჭირდება „სამხედრო-პატრიოტული“ აღზრდა, და რომ ხელისუფლების მიზანია ნატო-ში და ევროკავშირში „შესვლა“. თითქოს ხალხი კოლექტიურად უნდა შეიცვალოს, უნდა გავერთიანდეთ და ასე შევბაზოთ დიად დასავლურ ოჯახში, ისე, როგორც კომუნისტი ლიდერები აპირებდნენ კომუნისტურ შიშებს. ამ რიტორიკაში კი იკარგება ადამიანი (მოქალაქე, ინდივიდი...), სწორედ იმ ევროპული ლიბერალიზმის მთავარი საზრუნავი, რომელიც სააკაშვილს მიუწვდომელ ოცნებად წარმოუდგენია.

ხელისუფლების მსგავსი რიტორიკა მხოლოდ რიტორიკის დონეზე არ რჩება და

■ ხელისუფლებაში თვლიდნენ და თვლიან, რომ ყველაზე „ლიბერალურ“ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. თუმცა ეს ლიბერალურობა მათთვის არა დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებაში, არამედ გარკვეული ტიპის ესთეტიკის დომინირებაში გამოიხატება.

უფრო მეტად განვითარდება ეკონომიკა. აღნიშნული იდეა მკაცრად რიგიდულია და არა პრაგმატული. თითქოს ადამიანების კეთილდღეობას განსაზღვრავს ჩვენგან დამოუკიდებელი საბაზრო კანონები, რომელთა მუშაობაში ჩარევაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. შესაბამისად, მივიღეთ ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ბოლო ხანებში მიღებულ „თავისუფლების აქტში“ გამოიხატა და სახელმწიფოს მიერ ბაზრის მუშაობაში ჩარევას მაქსიმალურად ზღუდავს. ამგვარი ეკონომიკური პოლიტიკა, შესაძლოა, სულაც არ იყოს პრაგმატული იმ გაგებით, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებულმა ტენდენციებმა სწორედ სახელმწიფოს გაზრდილი როლი მოითხოვოს. ისევე, როგორც ეს მოხდა ამერიკაში ობამას არჩევის შემდგომ. ევროპის უმრავლესი სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკა კი საერთოდ სოციალური საბაზრო ეკონომიკის იდეებს ეფუძნება, რაც სწორედ ბაზრის მუშაობაში სახელმწიფოს ჩარევას გულისხმობს. ჩვენთან მსგავსი უკიდურესი ლიბერტარიანიზმი (ლიბერტარიანიზმი არის იდეოლოგია, რომელიც ბაზრის სრულ თავისუფლებას ქადაგებს), რაც უნდა გასაკვირი იყოს, პოსტსაბჭოთა აზროვნების შედეგია, თუ რატომ, ამაზე უფრო დანვრდილებით მომავალში ვისაუბრებთ.

სოციალური გარდაქმნებიც ხელისუფლებისთვის ერთგვარი პროექტია, რომელიც ზემოდან უნდა განხორციელდეს. ხელისუფლებაში თვლიდნენ და თვლიან, რომ ისინი ყველაზე „ლიბერალურ“ პო-

შორის. ერთადერთი, რაც შეიცვალა არის ის, რომ გარკვეულ ასპექტებში ესთეტიკურად ახლანდელი „პირველი არხი“ უფრო დახვეწილად გამოიყურება. ლიბერალიზმისა და ინკლუზიურობის (მოქალაქეთა ფართო მასების ჩართვისა და სხვადასხვა შეხედულებების გათვალისწინების) კუთხით ბევრი არაფერი შეცვლილა.

ხელისუფლება საკუთარ „ლიბერალურობას“ იმით ზომავს, თუ რამდენად პროევროპული და პროდასავლურია. ეს კი ერთგვარი შინაგანი თვისებები და პრეფერენციებია – მაგალითად, როგორც ის, რომ ერთი ადამიანი „ლედ ზეპელინის“ მოსმენას ანიჭებს უპირატესობას და მეორე – ალა პუგაჩოვსაი. ხელისუფლებისთვის „რუსეთზე“ ისეთი ადამიანია, რომელსაც რუსული კულტურა მოსწონს და შესაბამისად ესთეტიკურად არასრულყოფილია. თითქოს გამორიცხულია, რომ ადამიანს რუსული კულტურის ესთეტიკაც მოსწონდეს და ამავე დროს ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეებს უჭერდეს მხარს. მოკლედ, აქ „ლიბერალურობა“ სრულებითაც არ გულისხმობს იმას, რომ სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, ადამიანების საკუთრების უფლება, მშვიდობიანი დემონსტრაციების უფლებები და სხვ. დაცულია, არამედ იმას, რომ „დასავლური განათლების მქონე“ მაგარი ბიჭები (cool guys) უნდა აკონტროლებდნენ ჩამორჩენილ, „რუსეთზე“ ხალხს.

ხელისუფლების მსგავსი ელიტიზმი სწორედ იმ ყველაფრის ანტითეზას წარმოადგენს, რასაც შეიძლება „ლიბერალიზმი“ ვუწოდოთ. მაგალითად, მიხეილ

მას რეალური გამოძახილები აქვს. შედეგად ვიღებთ არაპრაგმატულ, ირაციონალურ და, როგორც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დევიდ მილიბენდმა უწოდა, თავზუხელალებულ (reckless) საგარეო პოლიტიკას, სამხედრო-მილიტარისტულ ნაციონალიზმს, შეზღუდულ საჯარო სივრცეს და მედიას, არაეფექტურ ეკონომიკურ პოლიტიკას და ქვეყნის გადაქცევას „ბიზნეს გარემოდ“, რომელსაც „მენეჯერები“ მართავენ.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რა მთავარი შეცდომა დაუშვეს არასამთავრობო და მედია ორგანიზაციებში გაფანტულმა ქართველმა „ლიბერალებმა“, როდესაც ხელისუფლებაში მათი „თანამებრძოლები“ მოვიდნენ. სამწუხაროდ, ბევრი მათგანი სწორედ იმ „ელიტისტური ნაციონალისტური ლიბერალიზმის“ მსხვერპლი გახდა, რომელიც ზემოთ დავახასიათეთ. მათ დაავინყდათ, რომ ლიბერალური აზროვნება, პირველ რიგში, იმის კრიტიკასა და მუდმივ შემონეშებას გულისხმობს, ვინც ძალაუფლებას ფლობს.

შევეცდებით, რომ ყველა ეს ზემოჩამოთვლილი თემა თანდათანობით განვიხილოთ, არსებული პრობლემები და შეცდომები გავანალიზოთ და, რაც მთავარია, პრობლემების ისეთი გადაჭრის გზებზეც ვისაუბროთ, რომლებიც, ჩვენი აზრით, უფრო დემოკრატიული და ლიბერალური იქნება; ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია იმ მოსაზრებების განხილვა და გათვალისწინება, რომლებსაც თქვენ – ჟურნალის მკითხველი „ლიბერალის“ ვებგვერდზე კომენტარების სახით გამოთქვამთ. ■



რადიო „ნაცნობი“ გეკატეხებათ  
კლუბში „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული საზარკულო
- სოცხალი მუსიკა







# ჩემი სხვახეობის დავობი სხუცყოფიდაა.

ნებისმიერი აუდიტორია იმსახურებს იმას, რომ მხოლოდ საუკეთესო მუსიკას მოუხმინოს. ამიტომ, ევლადერი რაც მორე ხარისხოვანია, ჩემთვისაც მიუღებელია. მე ვორეც American Express®-ს, ესე იგი, ვორეც საუკეთესოს. ის ზუსტად გეგმავს ჩემს მოგზაურობას, მთავაზობს სრულ სერვისს, დაწეებული ავია რეისებიდან და სასტუმროებიდან, დამთავრებული ავტომობილის ქირაობითა და მსოფლიო კრეისის მოწეობით.

ჩემი ცხოვრება ხელოვნებაა. ჩემი საკრედიტო ბარათი მისი სრულყოფის საშუალებაა.

იეხოვრეთ უკეთესად, აიღეთ ბარათი.  
დარეკეთ ნომერზე: 444 300 ან ეწეეთ  
გებ-გვერდს: [www.americanexpress.ge](http://www.americanexpress.ge)



American Express®-ის ექსკლუზიური წარმომადგენელი.



*My life. My card.*